

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტი

თამარ პატაშური

**სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტები
ინგლისური, ჩინური და ქართული ტექსტების მიხედვით**

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლელა აბდუშელიშვილი,

განათლებისა მეცნიერების დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ლიუ კუანგხუა,

ლანჭოუს უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი,

პროფესორი, მოწვეული კონსულტანტი

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია..... 6

Summary 9

 სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა..... 13

 კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები..... 14

 ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი დებულებები 14

 საკვლევი მასალა 16

 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 16

 ნაშრომის თეორიული ღირებულება..... 17

თავი I18

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოს სამართლის მომიხილვა18

 § 1.1. სამართლის წარმოშობა საქართველოში 18

 §1.2. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერება 18

 § 1.3. სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ტერმინები და მათი შინაარსი 20

 § 1.4. ანგლოამერიკული სამართალი 26

 § 1.5. განსხვავება კონტინენტური ევროპისა და..... 28

 ანგლოამერიკული სამართლის სისტემებს შორის..... 28

 § 1.6. ჩინური სამართლის წარმოშობის ისტორია და განვითარება..... 29

 § 1.7. კონფუციანიზმი და ლეგალიზმი..... 32

 § 1.8. კონფუციანიზმი..... 32

 § 1.9. ლეგალიზმი 32

 § 1.10. კონფუციანიზმის და ლეგალიზმის შედარება..... 33

 § 1.11. ჩინეთის სამართლის მოდერნიზება 34

 § 1.12. ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკის სამართალი..... 36

 § 1.13. სამართლებრივი უფლებები 39

 § 1.14. კანონის უზენაესობა..... 39

 დასკვნა..... 40

თავი II41

 თარგმნის სირთულე და მასთან დაკავშირებული პრობლემები..... 41

 § 2.1. სწორი თარგმანის განხორციელება..... 41

§ 2.2. კონტექსტი	42
დასკვნა.....	50
თავი III.....	51
თეორიული ცნებები	51
§ 3.1. სამართალმცოდნეობის ცნება.....	51
§ 3.2. იურიდიული ტერმინის ცნება.....	52
§ 3.3. ტერმინოლოგია.....	52
§ 3.4. ტერმინი.....	52
§ 3.5. ცნება.....	53
დასკვნა.....	53
თავი IV.....	54
იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებები	54
§ 4.1. იურიდიული ენა	54
§ 4.2. პოლისემია	55
§ 4.3. ეკვივალენტები	57
§4.4. ფუნქციური ეკვივალენტობა	57
§ 4.5. ფორმალური ეკვივალენტობა.....	59
§ 4.6. ტრანსკრიფცია.....	60
§ 4.7. აღწერითი თარგმანი	61
დასკვნა.....	62
თავი V	63
ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სინტაქსის შედარებითი ანალიზი	63
§ 5.1. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი თავისებურებები.....	63
§ 5.2. ქართული, ინგლისური და ჩინური დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები	64
§ 5.2.1. ქართული ენის სინტაქსი.....	64
§ 5.3. ინგლისური ენის სინტაქსი	67
§ 5.3.9. განსაზღვრება	74
§ 5.3.10. გარემოება	74
§ 5.4. ჩინური ენის სინტაქსი	75
§ 5.4.2. დამატება.....	77
§ 5.4.5. კითხვითი წინადადებები ნაწილაკი 吗 Ma	79

§ 5.4.6. კუთვნილების გამომხატველი განსაზღვრება.....	81
§ 5.4.7. განსაზღვრება და დამხმარე ნაწილაკი 的 De.....	84
§ 5.5 ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები.....	85
დასკვნა.....	123
თავი VI.....	124
მოდალობა- ქართული, ინგლისური და ჩინური სამართლებრივი.....	124
დოკუმენტების თარგმნისას.....	124
§ 6.1. მოდალობა ინგლისურ, ქართულ და ჩინურ ენებში და მისი გამოხატვის საშუალებები	124
§ 6.1.1. ზოგადი შესავალი.....	124
§ 6.2. მოდალური ზმნები	124
§ 6.3. მოდალური სიტყვები	125
§ 6.4. კილო.....	126
§ 6.5.1. კავშირებითი კილო.....	127
§ 6.5.2. ბრძანებითი კილო.....	127
§ 6.6. მოდალური ზმნები და ნაწილაკები	127
§ 6.7. ინფინიტივის შემცვლელი კონსტრუქცია.....	128
§ 6.8. მოდალური ზმნა CAN ინგლისურ ენაში და ქართულ ენაში მისი გრამატიკულ- სემანტიკური შესატყვისები.....	128
§ 6.8.1 II თურმეობითი.....	131
§ 6.8.2. წარსული წყვეტილი.....	131
§ 6.8.3. ნამყო უწყვეტელი.....	132
§ 6.8.4. ხოლმეობითი.....	132
§ 6.8.5. II კავშირებითი.....	132
§ 6.9. ინგლისური მოდალური ზმნა may და ქართულ ენაში მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები.....	133
§ 6.10. ინგლისურსა და ქართულ ენაში ვალდებულება/აუცილებლობის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები	135
§ 6.11. ჩინური მოდალური ზმნების თარგმნა	138
§ 6.12. მოდალობის სისტემის კვლევა ჩინური, ინგლისური და ქართულ ენების იურიდიულ თარგმანში სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის (SFG) პერსპექტივიდან.....	141
§ 6.13. ჩინური იურიდიული ენის თარგმნის კვლევის მიმოხილვა.....	143
§ 6.14. მოდალობის სისტემის თეორია.....	144

§ 6.15. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალობის გამომხატველი საშუალებების ინგლისური და ქართული თარგმანი: მახასიათებლები და პრობლემები.....	146
§ 6.15.1. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალური ოპერატორების ინგლისური თარგმნის ზოგადი მახასიათებლები	146
§ 6.15.2. პრობლემური საკითხები მოდალობის გამომხატველი საშუალებების თარგმანში ჩინურ იურიდიულ დისკურსებში	148
6.16. დასკვნა.....	158
დასკვნა.....	160
გამოყენებული ლიტერატურა და ჟურნალები:	169
გამოყენებული ლექსიკონები და ენციკლოპედიები:	173
ელექტრონული რესურსები:.....	174

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტები ინგლისური, ჩინური და ქართული ტექსტების მიხედვით. საგულისხმოა, რომ თანამედროვე საქართველოში იურიდიული განათლების ევროპულ და აზიურ (ჩინეთის) საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოება მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტების და ტერმინების შემუშავებასა და დახვეწას, არამედ კლასიკური სამართლებრივი განათლებისათვის იურიდიული ტერმინებისა და გამოთქმების დაუფლებასაც. შესაბამისად, ეს ლინგვისტური მიდგომა საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ მოცემულ ენებში სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის თავისებურებები, ლექსიკურ, გრამატიკულ და სინტაქსურ დონეზე.

თემის **აქტუალურობა** განპირობებულია საქართველოს, უცხოეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის საბაზრო ურთიერთობების გაფართოებით, მჭიდრო კომუნიკაციების დახმარებით და „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ – საქართველოსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობის გეგმებით. 2017 წლის მაისში ორმა ქვეყანამ ოფიციალურად მოაწერა ხელი მნიშვნელოვან დოკუმენტს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას“. ამას შედეგად მოყვა ინვესტიციების გამოყოფა, ბიზნეს კავშირები და აქტიურად ხელშეწყობა. ჩინეთი საქართველოს მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოს, უცხოეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის ფორმდება ხელშეკრულებები და კომპანიებს და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების გაღრმავება. ეს კი საჭიროებს ორენოვანი დოკუმენტების წარმოებას.

სადისერტაციო ნაშრომის **მიზანია**, სამართლებრივი დოკუმენტების ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე თარგმნის თავისებურებების გამოვლენა, ტენდენციების ანალიზი და საუკეთესო მოდელების ვარიანტების მიგნება. ხოლო, მეორე მხრივ, დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნისთვის მნიშვნელოვნად მთავარი ტენდენციების გარკვევას, პრობლემათა გადაჭრას და ანალიზს მოიცავს.

სადისერტაციო თემის **სამეცნიერო სიახლე** აღნიშნულ სამ ენაზე სამართლებრივი და საქმიანი დოკუმენტების თარგმნის შეპირისპირებით ანალიზში მდგომარეობს, რაც

ქართულ სამენოვან საქმიან გარემოში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. წარმოდგენილი თარგმანი და ჩვენს მიერ შეთავაზებული მათი დამღვევის გზები პირველადაა წარმოდგენილი ამ დარგის სამენოვანი სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტებში.

საკვლევი მასალა ემყარება სხვადასხვა სამართლებრივ წყაროებს: ოფიციალურ ტექსტებს, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის, თუ სხვა ოფიციალური პირის გამოსასვლელ სიტყვას, მთავრობის ანგარიშს, კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, პარლამენტის დადგენილებებს, მთავრობის ანგარიშებს, პრეზიდენტის წერილებს, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს და ა.შ.

დასახული მიზნების, ამოცანების და პრობლემის მოსაგვარებლად სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია **კომპლექსური მეთოდი**, კომპლექსური მეთოდი მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიზს, სამენოვანი დოკუმენტების ვარიანტებს. შეპირისპირების და კონტექსტის გათვალისწინებით შესაბამისი არჩევანის გაკეთებას.

ნაშრომის **თეორიული ღირებულება** მის პრაქტიკულობაში მდგომარეობს. მიღებული შედეგები გამოადგებათ მთარგმნელებს, მკვლევარებს, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს და ჩინურ-ქართულ-ინგლისური ენების პრობლემებით დაინტერესებულ ადამიანებს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს აღნიშნული ენების მცოდნე დიპლომატების, ლინგვისტების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარისათვის სასარგებლო, რეალური და მნიშვნელოვანი რჩევების მიცემაში.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შესავლს, ექვს თავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურულ სიას.

ნაშრომის **პირველ თავში** განიხილება სამართლის წარმოშობა საქართველოში, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერება, სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ტერმინები და მათი შინაარსი, ანგლოამერიკული სამართლის წარმოშობა, ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები, ინგლისი, აშშ, ჩინური სამართლის წარმოშობის ისტორია და განვითარება.

მეორე თავში წარმოდგენილია თარგმნის სირთულე და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სწორი თარგმანის განხორციელება და კონტექსტი.

მესამე თავში განხილულია თეორიული ცნებები, სამართალმცოდნეობის ცნება, იურიდიული ტერმინის ცნება, ტერმინოლოგია, ტერმინი.

მეოთხე თავი ეხება იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებებს: პოლისემიას, ეკვივალენტებს-ფუნქციურს და ფორმალურს. ტრანსკრიფციას და აღწერით თარგმანს.

მეხუთე თავი ეხება ქართული, ინგლისური და ჩინური ენების სინტაქსის შედარებით ანალიზს, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ლინგვისტურ თავისებურებებს თარგმანში, ქართული, ინგლისური და ჩინური დოკუმენტაციის სინტაქსურ თავისებურებებს, ოფიციალური ენის სინტაქსს და მის გათვალისწინებას თარგმანში.

მეექვსე თავი ეხება მოდალობას და თარგმანს ინგლისურ, ქართულ და ჩინურ ენებში და მისი გამოხატვის საშუალებებს. მოდალობის თარგმანის ლინგვისტურ და ინტერკულტურულ ასპექტებს და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სადისერტაციო თემის **დასკვნაში** მოცემულია სამართლებრივი და საქმიანი დოკუმენტების ბაზაზე დაყრდნობით მოცემული შედეგები.

Summary

The thesis considers aspects of translating of legal documents based on English, Chinese and Georgian texts. It is worth mentioning that approximation of legal education in modern Georgia to European and Asian (Chinese) educational systems requires not only development and improvement of legal documents and terms, but also acquiring of legal terms and explanations for classical legal education. Correspondingly, this linguistic approach will enable us to analyze peculiarities of translation of legal documents into the given languages on the level of vocabulary, grammar and syntax.

Actuality of the topic is preconditioned by the expansion of market relations between Georgia, foreign countries and China, owing to close communication and by plans for cooperation between Georgia and China by the name of “one belt one road”. In May of 2017 two countries officially signed a very important document “Free Trade Agreement between the government Georgia and the government of the People's Republic of China”. This resulted in allocation of investments, business relations and active facilitation. China is Georgia’s third major trade partner. Agreements are concluded between Georgia, foreign countries and China, also, relations between companies and organizations expand. This requires execution of bilingual documents.

Aim of the thesis is to reveal peculiarities of translation of legal documents into Georgian, English and Chinese languages, analyze tendencies and find better models and options. And from another side to reveal main tendencies, required for translation of documents into Georgian language and analyze existing problems.

Scientific novelty of the present thesis consists of comparative analysis of translation of legal and business documentation into the above-mentioned three languages, which is a significant breakthrough in Georgian three-language business environment. Presented translation and suggested ways of its execution is presented for the first time in this field of aspects of translation of legal documents into three languages.

Research material is based on different legal sources: official texts, speeches of Prime Minister, president or other officials, governmental report, laws, orders by the president of Georgia, resolutions of the parliament, presidential letters, different types of agreements, etc.

For dealing with the objective, the work deals with **complex method**, consisting of analysis of linguistic materials, three language versions of documents. Making corresponding choices considering comparison and context.

Academic value of thesis consists of its practicality. Results of the work will be useful for translators, researchers, specialists of foreign relations, and people, who are interested in problems of Chinese-Georgian-English languages.

Practical value of the work consists of counseling diplomats, proficient in those languages, linguists, specialists of foreign relations, students and other interested parties and giving helpful, real and important advices.

Thesis consists of introduction, five chapters, conclusion and reference list.

The first chapter of the work considers origin of law in Georgia, Georgian state and science of history of law, terms and contexts of monuments of law and other legislative acts, countries of Anglo American law, England, USA, history of origin and development of Chinese law.

The second chapter considers difficulties of translation and relevant problems, correct translation and its context.

The third chapter considers theoretical concepts, concept of law, legal terms concept, terminology, term.

The fourth chapter concerns legal language and peculiarities of translation of legal terminology: polysemy, equivalents – functional and formal. Transcription and polysemy and descriptive translation.

The fifth chapter concerns comparative analysis of Georgian, English and Chinese language syntax, linguistic peculiarities of translation of official business documentation, syntax peculiarities of documentation in Georgian, English and Chinese languages, syntax of official language and its consideration in translation.

The sixth chapter considers modality and translation in English, Georgian and Chinese languages and ways of expression. Linguistic and intercultural aspects of modality translation and other related issues.

Conclusion generalizes results of scientific research work.

შესავალი

შედარებით ენათმეცნიერებაში სამართლებრივი დოკუმენტაციისთვის თარგმანი, სამართლებრივი და საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნა, თარგმნის პრობლემა და ენათშორისი შეპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. სამართლებრივი დოკუმენტების თარგმანი იმდენად აქტუალურია, რომ მისი პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა. ასევე იზრდება თარჯიმნების დაინტრესება ამ სფეროს მიმართ, რაც მათ მნიშვნელოვან მოთხოვნებს უყენებს.

ცნობილია, რომ თეორიის გარეშეც ხდება თარგმნა, უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნა ეყრდნობა პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც ისტორია ქმნის, ეს უკვე თეორიაა. თეორიით შეიძლება ბევრი ნიმუშის გაცნობა, ის მის დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფს და უჩვენებს გზას. ამ გზას დადებითი შედეგის მოცემა შეუძლია. თეორიით უნდა დადგინდეს, თუ რომელ ასპექტში ხდება თარგმნის საკითხის გარკვევა: ენათმეცნიერებაში თუ ლიტერატურათმცოდნეობაში. დღესდღეობით, არსებობს მრავალი მეცნიერის მოსაზრება, რომ თარგმნის თეორია სამეცნიერო დისციპლინაა, რადგან სხვადასხვა მასალების თარგმანი ეს იქნება: საქმიანი, საინფორმაციო, სამართლებრივი, სამეცნიერო, პოლიტიკური, მხატვრული, ისტორიული, ემყარება რამდენიმე ენის (ჩვენს შემთხვევაში სამი ენის) ურთიერთობას.

თარგმნის პროცესი მოითხოვს ენების კანონზომიერების კარგად ცოდნასა და მათ ღრმად შეცნობას. ენის ცოდნის გარეშე ნათელია, რომ ვერ მოხერხდება, ან ვერ შესრულდება თარგმანი. ენა ისეთივე მასალას წარმოადგენს მთარგმნელისთვის, როგორსაც „ქვა მოქანდაკისთვის“. თარგმნის პროცესში სიტყვები არ არის ხშირად დედნის შესატყვისი, სიტყვები იდეის გამოთქმის საშუალებად გვევლინება, თარგმნის დროს სიტყვები დედნის ზუსტი შესატყვისი არც თავისი ადგილით კონტექსტის ტექსტშია და არც პირდაპირი მნიშვნელობით. თარგმანის დროს, დიდი ბედნიერებაა, თუ თარგმანი სრულყოფილია და დედნის შესატყვისი.

ასევე, ენა თავისი ფუნქციური სტილების ყველა ასპექტში, მუდმივად განიცდის მცირე ცვლილებებს, ენის მუდმივი, უწყვეტი შემოქმედებითი არსებობა მიმდინარეობს. უპირველეს ყოვლისა, უდავოა, რომ ეს პროცესი ჩადებულია ენის გამოყენების ფუნქციურ

მექანიზმებში და მისი აგებულების თავად სტრუქტურის დასაბამში. ენაზე დიდი გავლენა მოახდინა, ჩვენი ქვეყნის განვითარების დიდმა ტემპმა. ენაზე და მათ შორის, თანამედროვე ცხოვრების ყველა საკითხსა და სფეროზე დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის განვითარებამ დიდი გავლენა იქონია. ენას დიდ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური, თუ სოციალური მდგომარეობა სხვა ახალ საკითხებს და ამოცანებს უყენებს. XIX საუკუნეში გვხვდება სამართლებრივი დოკუმენტაციის ენა, ასევე, სამართლებრივი დოკუმენტაციის სტილი. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სფეროში ქართული ენის გამოყენებას დიდი ისტორია აქვს. ზუსტად, ამ პერიოდში ყალიბდება ენათმეცნიერული სტილისტიკაც. ეს პერიოდი, ისტორიულად მაინც მხატვრული ენის ფუნქციონირების სტადიად მოიაზრებოდა, რადგან სხვა სფეროები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი. XIX საუკუნიდან სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების სრულიად ახალი ასპარეზი და მნიშვნელობები გაჩნდა საქმის წარმოების, განათლების, საინფორმაციო ურთიერთობების და მეცნიერების სფეროში. ასევე, ადრეულ პერიოდში გვხვდება საქმიანი წერის თუ მიმოწერის დეტალები. ეს მიმოწერა ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური მდგომარეობის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყველაფერი სწრაფად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ყოფილმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ დასავლეთისკენ აიღო მიმართულება. ახლებურად გაანალიზდა შეხედულებები და გადაფასდა ღირებულებები.

ამჟამად, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია საბაზრო და ეკონომიკური კომუნიკაციის ეტაპობრივი განვითარება. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საგარეო განვითარება, საგარეო ვაჭრობა, ქართული ბაზრის დემოკრატიული შეცვლა, გარდაქმა სრულყოფილ ბაზრად, საერთაშორისო სავაჭრო ინსტიტუტებთან კოოპერაცია, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის წინსვლისთვის მთავარ მოვლენას სწორედ ამ სფეროთა ენობრივი მახასიტებლებით შესწავლა წარმოადგენს. ასე, რომ საქართველოს, დასავლეთსა და აზიას (ჩინეთს) შორის კავშირის გაღრმავება მხოლოდ ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით მოხერხდება, რაც პირდაპირ კავშირშია ლინგვისტურ კომუნიკაციასთან. შესაბამისად, სამართლებრივი, თუ საქმიანი დოკუმენტები ენის მცოდნეების დიდი ყურადღებისა და ინტერესის მიზანი ხდება.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა

თემის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს უცხოეთის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის საბაზრო კომუნიკაციების გაფართოებით, მზარდი კომუნიკაციებით სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამართლებრივში. მთარგმნელებს, სამართლებრივ სფეროში, სამართლებრივი და საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემა შეექმნათ. ახალბედა თარგმნელებს არ აქვთ გამოცდილება თარგმნონ სამართლებრივი დოკუმენტები. მთარგმნელებს შეექმნათ პრობლემა, თუ საიდან შეიძლება ისწავლონ და დახელოვდნენ ამ დარგში, რადგან არ არსებობს არანაირი ნათარგმნი, რომელსაც ისინი სწავლის პროცესში გამოიყენებენ.

გამოცდილ ჩინური ენის სპეციალისტებს ჯერ არ დაუწყიათ ამ საკითხზე მუშაობა. სამი ენის სამართლებრივი დოკუმენტების გაანალიზება მოითხოვს, მთარგმნელის მხრიდან სამივე ენის გრამატიკის სრულყოფილად ფლობას.

ქართულ ენაზე სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის სფერომ ბოლო რამდენიმე წელია დაიწყო განვითარება. ეს განაპირობა ორ ქვეყანას შორის ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებამ. ასევე, საქართველო უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი სატრანზიტო ქვეყანაა. სწორედ აქ წარმოიქმნება სამართლებრივი დოკუმენტების წარმოებისა და მათი სწორად თარგმნის საჭიროება. მთარგმნელთა მოსაზრებით და მათ თარგმნისას რა სირთულეებიც შეხვდრიათ ორი პრობლემური ჯგუფი გამოყვეს: 1)ამდენად საჭიროა სამართლებრივი დოკუმენტების მართებულად თარგმნა; 2) ტერმინოლოგიური შესიტყვებების გამართვა მათი შემდგომი წარმატებული გამოყენებისათვის.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის ასპექტების სტანდარტიზირება, და თარგმანის ქართულ ენაზე გადმოცემისთვის მთავარი თარგმნელობითი რთული მოვლენების გამოაშკარავება და სირთულეების დაძლევა. მისი ამოცანებია, ინგლისური, ჩინური და ქართული სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნილი ტექსტების შეპირისპირება შინაარსობრივი, ფორმალურ-სემანტიკური, ასევე, სტრუქტურულ-სემანტიკური კუთხით კვლევა. ინგლისურ და ჩინურ ენაზე სიტყვების თარგმნა, რომელთა ქართულ ენაზე თარგმნა გარკვეულ სირთულეებს იწვევს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი დებულებები

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, შერჩეული ნათარგმნი დოკუმენტებიდან გამომდინარეობს. სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნა ინგლისური, ჩინური და ქართული ტექსტების მიხედვით ქართულ სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანი სიახლეა. წარმოდგენილი პირველადაა სამართლებრივი დოკუმენტების სამენოვანი ანალიზი, დოკუმენტების ქართულიდან, ჩინურიდან და ინგლისურ ენებზე თარგმნის სირთულეები და სპეციფიკა. ასევე, შემოთავაზებულია რჩევები მთარგმნელობით მეთოდებთან მიმართებაში.

დისერტაციაში განხილულია შემდგომი ძირითადი დებულებები:

სამართლის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და მსოფლიოში. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პროფესიონალ იურისტთაგან ქართული სამართლის პირველ მკვლევრად გვევლინება ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), რომელმაც რამდენიმე გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ დარგში. ასევე, მიმოხილულია სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ტერმინები და მათი შინაარსი, ანგლოამერიკული სამართლის წარმოშობა, ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები (ინგლისი, აშშ, ავსტრალია). ჩინური სამართლის წარმოშობის ისტორია და განვითარება, კონფუციანიზმი და ლეგალიზმი.

გაანალიზებულია თარგმნის სირთულეები და მასთან დაკავშირებულ პრობლემები. თარგმნისას გრამატიკულ ჩანაცვლებას ისე ხშირად მივმართავთ, როგორც ლექსიკურს.

გრამატიკული ჩანაცვლება აუცილებელია ა) იმ კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს დედანში; ბ) თარგმანში ისეთი კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს დედანში; გ) ორ ენაში, თუ განსხვავდება ერთი და იმავე კატეგორიების ფორმები სხვადასხვა სტილისტური ნორმის გამოყენების მიხედვით.

1) იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურება. იურიდიული ენა მეცნიერულ ენათა რიგს განეკუთვნება, ის არსებობს როგორც სპეციალიზებული ენა. იურიდიული ენა წარმოადგენს და გამოხატავს სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციასთან ერთად და ხაზს უსვამს მის გამაერთიანებელ ხასიათს ინგლისურ ჩინურ და ქართულ სამართალში მულტიდისციპლინული გარე სამყაროს პირდაპირ, როგორც სპეციფიკური დისკურსის ინსტრუმენტი. იურიდიული ენა მიიჩნევა ერთ-ერთ რთულ ენად სპეციალობის ენებს შორის. მისი შემადგენელი ელემენტებია: მნიშვნელობა, სინტაქსი, ლექსიკა და სტილი.

2) ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სინტაქსის შედარებითი ანალიზის დროს გამოვყავით სამართლებრივი დოკუმენტაციის ენობრივი მახასიათებლები. სამართლებრივი დოკუმენტების ენა საერთო ენობრივ პრონციპებს ემყარება, სამართლებრივი ან ოფიციალური დოკუმენტების სტილის მახასიათებელიდან და შინაარსიდან გამომდინარეობს ტექსტის აგების სტრუქტურა.

3) ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში მოდალობა და მოდალობის გამოხატვის საშუალებები. მოდალობის სისტემის კვლევა ჩინური, ინგლისური და ქართული ენების იურიდიულ თარგმანში სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის (SFG) პერსპექტივიდან. მოდალობის მიხედვით განვიხილავთ წინადადების ტიპებს, რადგან მოდალობაში გადმოცემული აზრის მოტივი განსხვავებულია. სამართლებრივ ან ოფიციალურ დოკუმენტებში, ძირითადად გადმოცემულია ოფიციალური ინფორმაცია, ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს დავალება, ან რაიმეს საჭიროება შესასრულებლად.

4) ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალური ოპერატორების ინგლისური და ქართული თარგმანი: მახასიათებლები და პრობლემები. ჩინური მოდალური ოპერატორების თარგმნის ტენდენციების დეტალურად განსახილველად მოცემულ კვლევაში, უპირველეს ყოვლისა, შერჩეულია წარმოშობის მაღალი სიხშირის მქონე

პოზიტიური და ნეგატიური ჩინური მოდალური ოპერატორები და შემდეგ წარმოდგენილია ინგლისური შესაბამისობა PLLCD-ში. მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია PLLCD-დან მიღებული სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ჩინური, ინგლისური და ქართული მოდალური ოპერატორები. მიღებულ იქნა კლებადი თანმიმდევრობით წარმოდგენილი მონაცემები (იხილეთ ცხრილი 1).

საკვლევი მასალა

საკვლევი მასალა შეადგენს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტებიდან ამოღებულ ნიმუშებს, რომლებიც შევადგინეთ ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ჩინურ კომპანიაში მთარგმნელად მუშაობის დროს მასალები დანართის სახითაა წარმოდგენილი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

დასახული მიზნების და თარგმნისას შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად ნაშრომში გამოყენებულია, იურიდიული დისკურსის სპეციფიკური ჟანრი, რომელიც მოიცავს გამოთქმების უჩვეულო ფორმების გამოყენებას, სიტყვების შერჩევასა და წინადადებების შედგენას. სისტემურ-ფუნქციურ გრამატიკაში (SFG) მოდალობის სისტემის და სამართლებრივი ლინგვისტიკის, სამართლებრივი ენის თეორიის საფუძველზე. მოცემული კვლევა დაიგეგმა ჩინური იურიდიული დისკურსების ინგლისურად და ქართულად თარგმნაში მოდალობის სისტემის შეფასებისა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის მიზნით. ჩინური იურიდიული დოკუმენტების ანალიზის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით. გამოყენებით ჩინური იურიდიული დოკუმენტების დახმარებით დადგინდა, რომ ჩინური სამართლებრივი დისკურსების მოდალობის სისტემის ინგლისურ და ქართულ თარგმანში სამი აშკარად განსხვავებული თვისება არსებობს. ამ თვისებებით ვლინდება, რომ ჩინური იურიდიული დისკურსების თარგმნაში გამოიყენება ენის მრავალფეროვნება, კანონმდებლობის სიზუსტისა და უფლებამოსილების ხარჯზე. ასევე წარმოდგენილია თარგმნის რამდენიმე მეთოდის ტექნიკა და შემოთავაზების განხილვა, ჩინური იურიდიული დისკურსების

მოდალობის სისტემის ჩინურიდან ინგლისურსა და ქართულ ენაზე თარგმანთან დაკავშირებით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის მთავარი არსი იმაშია, რომ სამართლებრივ დოკუმენტებზე თარგმნის დროს დაკვირვება გვეხმარება გამოვყოთ ინგლისურ-ჩინური სამართლებრივი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნის მახასიათებლები და კანონზომიერებები ეს, გვეხმარება სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნის პრობლემების მოგვარებასა და ტერმინთა სისტემების ჰარმონიზაციაში.

თავი I

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოს სამართლის მომიხილვა

§ 1.1. სამართლის წარმოშობა საქართველოში

სავარაუდოდ, პირველყოფილ წინასახელმწიფოებრივ საზოგადოებაში არსებობდა ერთიანი მონონორმები და წეს-ჩვეულებები, სადაც ერთ ნაკადად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ხასიათის ქცევის წესები. თუ რელიგიის ცნების ქვეშ ვიგულისხმებთ ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებას ღმერთის თუ ღმერთების შესახებ და მათ დამოკიდებულებას ადამიანებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მნიშვნელობა დიდი იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში სიტყვა „სარწმუნო“ რიგ შემთხვევებში დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება. მისი მნიშვნელობა აგრეთვე ერთგული, საიმედო, ნამდვილი, შეურეველი. შესაბამისად, სარწმუნოება ითვლებოდა, საიმედო, ნამდვილ მოძღვრებად, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში (მეტრეველი 2013:10-11).

§1.2. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერება

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებას დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა და სამართალი ყალიბდებოდა ჩვ. წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში, ბუნებრივია, შედარებით დაგვიანებულად წარმოგვიდგება ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის კვლევა XVIII საუკუნეში დაიწყო (მეტრეველი 2013:10-11).

ქართული სამართლის შესწავლის მოთავედ უნდა მივიჩნიოთ ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში ფართო საკანონმდებლო საქმიანობა გააჩაღა. ვახტანგ VI-მ სწავლულ კაცთა კომისია შექმნა, ხელმძღვანელობდა მას და თვითონაც მონაწილეობდა საკანონმდებლო საქმიანობაში. ვახტანგ VI-ს დამსახურება ის არის, რომ

„იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო“. ამ გზით ვახტანგ VI-მ სჯულმდებლობის დიდი კრებული შეადგინა და ამით საქართველოს პირველი მისტორიის სახელი დაიმკვიდრა. ვახტანგ VI-მ შეკრიბა ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორცაა: ბექასა და აღბუღას სამართალი, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, კათალიკოზთა სამართალი და ისინი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა. მან საკუთარი სამართლის წიგნიც შეადგინა და დაურთო კრებულს. ამავე კრებულში მოათავსა მან უცხოურიდან ნათარგმნი წიგნები, როგორცაა: ებრაული სამართლის ქართული ვერსია და სომხურის ქართული ვერსია (მეტრეველი 2013:10-13).

ვახტანგ VI-მ სჯულმდებლობის დიდი კრებული შეადგინა და ამით საქართველოს ისტორიაში ქართული სამართლის პირველი მკვლევრის, სამართლის პირველი ისტორიკოსის სახელი დაიმკვიდრა.

ქართული სამართლის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ბატონიშვილებმა (ვახუშტი, იოანე, დავითი), მ. ბროსემ, პ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ, დ. ფურცელაძემ, ალ. ხახანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და სხვა.

უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პროფესიონალ იურისტთაგან ქართული სამართლის პირველ მკვლევრად გვევლინება ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), რომელმაც რამდენიმე გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ დარგში (ნ.ურბნელი, ძგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, თბ.,1890; ნ.ურბნელი ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, რჩეული იურიდიული ნაწერები (ხიზანიშვილი1892:45).

„ქართული სამართლის ისტორია“ ივ. ჯავახიშვილის ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფია. 1907 წელს ივ. ჯავახიშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა „ქართული სამართლის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული XII საუკუნის დამდეგამდის“, რომლის ბეჭდვა დაიწყო 1909 წელს აღმანახ „ერში“, მაგრამ ცენზურის მიერ აღმანახის გამოცემის შეჩერების გამო პუბლიკაციაც შეწყდა. 1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი (მეტრეველი 2013:13-14).

თუ წარმოვიდგენთ, რომ რელიგიური შეხედულებებით გაჟღენთილი ტრადიციები, ეს ეხება ასევე ქცევის წესებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მოქმედებდნენ, ენაში ამ

ქვეყნის წესებს, თუ ჩვეულებებს თავისი ნიშანი უნდა დაეტოვებინათ. ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანებში სამართალი” იხმარებოდა როგორც ზედსართაული, ასევე არსებითი სახელის მნიშვნელობით. მაშასადამე „სამართალი“ ნიშნავდა სამართლიანს, სწორს და სამართალსაც დღევანდელი გაგებით („სამართალი წარმართა მათ მიუთხრას“(მ.12,18) „სამართალი“ სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით უფრო გვიანდელი ჩანს. უფრო ძველი უნდა იყოს სტადიალურად, ისტორიული სიმაღლის თვალსაზრისით „წესი“, „რიგი“, „ჩვეულება“, „ჯერი“.

§ 1.3. სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ტერმინები და მათი შინაარსი

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის გადმოცემა სამართლის აღმნიშვნელი ტერმინების განხილვით უნდა დავიწყოთ.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით სამართლის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაშიც და ამჟამადაც იხმარებოდა და იხმარება „კანონი“. კანონს კი ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და სამართალს უდრიდა. კანონი გულისხმობდა ასევე სამართლის მუხლსაც, იქნებოდა იგი საერო თუ საეკლესიო სამართლის ძეგლი. ტერმინ „კანონს“ სასჯელის მნიშვნელობაც მიეცა. აქედან გამომდინარე, „განკანონება“ დასჯას ნიშნავდა (ჯავახიშვილი 1982:24).

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კანონი მხოლოდ სამართლის წიგნის მუხლს როდი ნიშნავდა, არამედ მთლიანად კანონების კრებულს, სამართლის წიგნს, რომელშიც შედიოდა ცალკეული კანონები.

ივ. ჯავახიშვილი იკვლევს, რომ ტერმინი „კანონი“ ქართული არ არის, იგი ბერძნულიდან შემოვიდა ქართულში და თვით ბერძნულში ერთ-ერთი სემიტური ენიდანაა შესული, რომელშიც კანონი ლერწამს ნიშნავდა (ჯავახიშვილი 1982:24).

საბერძნეთში „კანონს“ ხუროს ხის იარაღს უწოდებდნენ, რომელიც სისწორის დასაცავად, შესამოწმებლად გამოიყენებოდა. შემდეგ საბერძნეთშიც სამართლის წიგნებს „კანონს“ ეძახდნენ იმიტომ, რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად მიიჩნეოდა ... მსოფლიო კრებების შემოღების შემდგომ „კანონს“ მსოფლიო და

ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებას ემახდნენ, რომლებშიც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნოება“, საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადა სამღვდლოებასა და მრევლს, სხვადასხვა დანაშაულებებისათვის, სარწმუნოების წესიერების და სინდისის წინაშე (ჯავახიშვილი 1982:24).

ივ. ჯავახიშვილი არკვევს ტერმინ „სამართლის“ ეტიმოლოგიასა და შინაარსს. მისი დაკვირვებით სამართალი „სამართლისაგან“ წარმოდგება, რაც თავდაპირველად „სწორს“ ნიშნავდა. ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ სამართალი წარმოდგა „მართისაგან“ ანუ ვერტიკალისაგან, ანუ სწორისაგან და ამის შემდეგ მიიღო მან სამართლის მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ სამართალი ნიშნავს „იმას, რაც თითოეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფაცხოვრებისა და მოქმედება- დამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ განსაზღვრულ მცნებად მიაჩნია...“ (ჯავახიშვილი 1982:28) სამართლის ასეთი ცნება ძვირფასია, იშვიათია. ჩვენს სამართალმცოდნეებს ვურჩევდით გამოეყენებინათ იგი ამ პრობლემის კვლევისას.

სამართლის სინონიმად ძველ ქართულში სჯულიც იხმარებოდა. ეს ტერმინი ზმნა „სჯისგან“ უნდა იყოს ნაწარმოები და „თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.“ ძველ ქართულ სამართალში „სჯულს“, „შჯულს“ მაინც სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედო და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა (ჯავახიშვილი 1982:29).

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით სამართალს ზოგჯერ „გაჩენილი“ სამართალი ერქვა, რადგან მას აჩენდა ანუ ადგენდა სხვადასხვა წოდების კრება, მეფე ან სახელმწიფო დარბაზი. თვით სამართლის „გაჩენის“ ანუ ჩამოყალიბების მოქმედებას, პროცესს „განჩინებაი“ ეწოდებოდა, რაც განაჩენსაც უდრიდა (ჯავახიშვილი 1982:29).

საკანონმდებლო კრების მიერ ბჭობისა და შრომის შედეგად მიღებულ სასამართლო წიგნს „ძეგლი“ ეწოდებოდა, რომელსაც მიიღებდა ანუ დადებდა კრება (ჯავახიშვილი 1982:29).

რაც შეეხება კოდიკოს ან კოდექსს – ლათინური წარმოშობისაა და ქართულშიც გამოიყენებოდა. კოდექსი შეკვრას, წიგნს ნიშნავდა, კოდიკო კი – უფრო ვრცელ კრებულს,

ამასთან, ისინი შინაარსით ერთიანსა და მთლიანს ნიშნავს, იგი კანონების უბრალო, მექანიკური გროვა არ არის (ჯავახიშვილი 1982:29)..

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და სხვა წყაროებში ვხვდებით ტერმინ „ჩვეულება-საც“. ჩვეულება არ ნიშნავს ერთი, ცალკე აღებული ადამიანის ქცევის წესს. ჩვეულებაში მთელი საზოგადოების ან საზოგადოების ნაწილის (ჯგუფის, წოდების, კლასის) ზნე და ქცევის წესი იგულისხმება (ჯავახიშვილი 1982:29).

„წესდება“ წესის დადებიდან მოდის. წესი კი სამოქმედო სახელმძღვანელო იყო როგორც ეკლესია-მონასტრების, ისე სახელმწიფო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირებისათვის.

„განგება“ იმავე წესს ნიშნავდა. „განგება“ საზოგადოდ გამართვას, მოწყობას ნიშნავდა“. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, „განგება“ მართვას უფრო ნიშნავდა.

ფეოდალურ საქართველოში საკანონმდებლო აქტების სხვა სახეებსაც ვხვდებით. მათ შორის: წიგნი, სიგელი, გუჯარი, დაწერილი, ბრძანება, ხელი, ოქმი.

„წიგნი“ ყოველგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური (კერძო) საბუთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო.

„სიგელი და გუჯარი“ მეფის მიერ ნაბოძებ საბუთს ეწოდებოდა.

„ბრძანება და ოქმი“ მეფეთა განკარგულებები.

„ხელი“ ქვაზე ამოკვეთილი მეფის ბრძანება იყო.

სიგელის მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგჯერ ბრძანება და პეტიცია გამოიყენებოდა.

„დაწერილი“ იმ საბუთს ეწოდებოდა, რომელიც მეფის მიერ არ იყო გამოცემული. მაგრამ ზოგჯერ საკანონმდებლო აქტსაც შეიცავდა. ეს წყარო XV საუკუნემდე ჩანს. ამის შემდეგ კი ქრება.

„პიტაკი“ იგივე სიგელია.

მაგალითად: სიგელი – წყალობის სიგელი ბაგრატ და კონსტანტინე მეფეებისა-ჯავახიშვილებისადმი, 1468 წ.

გუჯარი – საკანონო გუჯარი თეიმურაზ პირველისა ალავერდისადმი, 1612 წ.

ბრძანება – გიორგი ბატონიშვილისა და ბოქაულთუხუცესის ზურაბისადმი ლარგვისის მონასტრის შეუვალობის შესახებ, 1778 წ. იგივე შეიძლება ითქვას ოქმზეც, რადგან ოქმი მეფეთა განკარგულებასაც აღნიშნავდა. მაგალითად:

ოქმი – გიორგი მეფისა დავით გარეჯის წინამძღვრის არზაზე მონასტრის ყმების ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, 1779 წ.

ხელი – ხელი რუსულიდან მეფისა კავთის მამულის შეუვალობის შესახებ (ჯავახიშვილი 1982:35).

წარმართული ხანის რელიგიური წარმოდგენებით- ქცევის წესს- „რიგს“ ღმერთი აძლევდა ხალხს აქედან იღებს სათავეს გამოთქმა „მორიგე ღმერთი“, ე. ი. ისეთი ღმერთი, რომელიც ქვეყანას, მასში მცხოვრებ ხალხს, ქცევის გარკვეულ წესს (რიგს) უწყალობებს და ადამიანთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს. „რიგი-ს“ მომცემ ღმერთს ეძღვნებოდა კვირაში ერთი დღეც – მორიგისა.

„რიგი“ ტერმინი მოგვიანებით, ქრისტიანულ ხანაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ სამართალში. მოვიგონოთ ქართული სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი „გარიგება ხელმწიფის კარისა“. ცხადია, „რიგი“ დროთა ვითარებაში მნიშვნელობას იცვლიდა. მოგვიანებით, ფეოდალური მონარქიის ხანაში, როდესაც მეფე ღვთის სწორად წარმოდგინებოდა „რიგისა“ და „გარიგების“ მიცემა მეფის, ხელმწიფის საქმე გახდა.

„მორიგე ღმერთი“ ძველი ქართული წარმართული მითოლოგიის მიხედვით უზენაესი ღვთაება იყო და სწორედ უზენაესს უნდა დაედგინა, დაეწესებინა ქცევის წესი.

„რიგის“ ერთ-ერთი უძველესი ქართული სოციალური მნიშვნელობის სიტყვა-ტერმინია. იგი ქართულიდან უნდა იყოს სომხურში შესული, როგორც ამას ჰრ. აჭარიანიც აღიარებდა (მეტრეველი 2013:23).

პროფ. ილია აბულაძის მიერ შეკრებილი ძველი ქართული ენის მასალების მიხედვით „წესი“ ნიშნავდა კანონს, სჯულს, განაწესს, ბუნებას და ა.შ. სჯულში უძველეს ხანაში რელიგიაც იგულისხმებოდა და სამართალიც. გამოთქმაში წესრიგი, სწორედ იმ გარემოების გამოძახილია, რომ „წესი“ და „რიგი“ ერთმანეთის ანალოგიური შინაარსის მატარებლები იყვნენ და ბუნებრივად გაჩნდა გამოთქმა „მოწესრიგება“, „მოაწესრიგა“ და ა.შ.

შუა საუკუნეებში ჯურ კიდევ ასხვავებენ წესსა და სამართალს. XIV საუკუნის საკანონმდებლო ძეგლებში, მაგ., ბექა მანდარტურხუცესის სამართლის წიგნში (49-ე მუხლი), ერთმანეთისაგან გამიჯნულია „წესი“ და „სამართალი“. იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვენენ, თუ ცოლსა შეირთავს, იგი წესია – სამართალი – არა“. (მეტრეველი 2013:24).

„..... წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუანი არა ემართლებინ.....“

ჩვენი აზრით „ალაგის“ წესში უნდა იგულისხმებოდეს ტერიტორიული თემისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულება, რაღაც მსგავსია იმისა, რასაც ძველი რომაელები იუს გენციუმი-მა მხოლოდ მოგვიანებით მიიღო საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა, ხალხთაშორისი სამართლის მნიშვნელობა.

XIV საუკუნის ქართველი კანონმდებლისათვის „სამართალი“ უფრო ფართო და მნიშვნელოვანი ცნებაა ვიდრე „წესი“. ქართულად თარგმნილი ოთხთავის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში (ადიშის ოთხთავი 897 წ.) გვხვდება „წეს“- არს“ (მ.22,17) მნიშვნელობით საჭიროა, უნდა, ჯერ-არს (მეტრეველი 2013:26).

სამართალი დიდხანს ინარჩუნებდა რელიგიურ ელფერს და, აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე ფიცს, რელიგიურ მტკიცებულებას დიდ მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზოგან ფიცი უნივერსალური მტკიცებულებაც კი უნდა ყოფილიყო. ქართული სამართლის მასალების მიხედვით ფიცი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო.

ქართული ყოფისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ქართული სამართლის მასალების მიხედვით წესის და რიგის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა „ჯერი“, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ფიცს, უპირატესად კი განსაწმენდელ ფიცს ნიშნავდა.

ქცევის სავალდებულო წესს სხვადასხვა ქართველურ ტომში, მათ სატომო ენებში (დიალექტებში), ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვით არ გამოხატავდნენ. ამიტომაც შეიძლება „წესი“ „რიგი“ და „ჯერი“ სხვადასხვა დიალექტიდან მომდინარეობს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღიარეს ისტორიკოსებმა წინარე სახელმწიფოებრივი დონის სამართლის, წინარე სამართლის არსებობა, ლ. ს. იავიჩს შესაძლებლად მიაჩნია ე. წ. არაიურიდიული, არასამართლებრივი სამართლის არსებობა. ასეთი სამართალი არსებობდა

სახელმწიფოსა და სამართლის არსებობამდე, მათ საკანონმდებლო გაფორმებამდე. ის არსებობდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, მორალურ წესებში, ფაქტობრივად ჩამოყალიბებულ ნორმებში (ფელდბურგი 1992: 34).

თუ როგორ, რა გზით შექმონდათ ქცევის წესებში ცვლილებები, ამის წარმოსადგენად უნდა მოვიშველიოთ სათანადო ეთნოგრაფიული მასალები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქცევის წესებში ცვლილებების შეტანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქადაგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქადაგის ფუნქციათა შორის უმთავრეს წარმოადგენდა ა) შუამავლობა ხალხსა და „ღვთისშვილებს“ შორის, ბ) მომავლის წინასწარმეტყველება, გ) სახატო საქმეების მოწესრიგება, ხატის უძრავი ქონების გაზრდა და ეს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მოწესრიგება... რჯულის წესების ჩამოყალიბებასა დადგენაში მონაწილეობა...

ტომის ყველაზე ავტორიტეტული სალოცავის საშუალებით შედიოდა ცვლილება ქცევის წესებსა და ნორმებში.

სპარტაში ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის დასასრულს ყოფილან სპეციალური მოხელეები – ეფორები, რომელთაც ევალებოდათ, ღვთაების ნაკარნახევი ქცევის წესები და ნორმები ეუწყებინათ ხალხისათვის.

ოთხთავის ქართული თარგმანის უძველესი ხელნაწერების მიხედვით „სასჯელი“, „საშჯელი“, „სარჩელი“, ნიშნავდა სასამართლოს, სამართალს, გასამართლებას, განაჩენს, მსჯავრის დადებას. ეს გარემოება გვაგულისხმებს, რომ სიტყვა-ტერმინი „სამართალი“ ყალიბდებოდა დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო პრაქტიკის წიაღში, სატომო ტერიტორიული ერთეულების დონეზე და მხოლოდ მოგვიანებით, სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ჩნდება ტერმინი „სასამართლო“ ჯერ ზედსართავი სახელის სახით – მართლის, სამართლიანის და სწორის მნიშვნელობით და მხოლოდ გვიან არსებითი სახელის სახით, მაგ., „სამართალი წარმართთა მან მიუთხრას ან კიდევ „თანა-წარჰვალთ“ სამართალსა და სიყვარულსა ღმრთისასა (მეტრეველი:28-30).

სამართლისა და რელიგიის ერთმანეთისგან გამიჯვნა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ქრისტიანული მოძღვრება გადაიქცა

სამართლის თეორიულ საფუძვლად. თანაც საერო სამართალს გაემინჯა საეკლესიო სამართალი ქრისტიანული სულიერი ფასეულობებისა, ქრისტიანული კულტურისა და მორალისა.

საინტერსოა ქართული ენისათვის დამახასიათებელი უძველესი იურიდიული ტერმინოლოგია. ძველი ქართული ენის დონეზე პროფ. ილია აბულაძემ დააფიქსირა „დალ-დება“, „ხელმწიფება“ და „ფლობა“. მაშასადამე, „დალ-დების“ სინონიმი იყო „ხელმწიფება“. ერთ დროს „ძალა“ და „ხელი“ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, მაგრამ შეინიშნებოდა სხვა ტენდენციაც. „ხელი“ ნიშნავდა წესს და სავარაუდოდ, სამართალსაც. ძალაუფლება და ხელისუფლება დღეს იდენტურ ცნებებად გვეჩვენება. შორეულ წარსულში ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. რუსთაველთან ვკითხულობთ „გაჭრა“ ხელია მიჯნურთა. „გაჭრა“ აქ ველად გავარდნას ნიშნავს, ხოლო, „ხელი“ წესს, მოვალეობას, საქმეს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ხელი ამ შემთხვევაში ქცევის წესს ანუ დაახლოებით სამართალს ნიშნავს.

§ 1.4. ანგლოამერიკული სამართალი

ანგლოამერიკული სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნებისა და ბრიტანეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშს სამართალი (გ.ხუბუა 2004: 216).

დიდ ბრიტანეთში დღემდე მოქმედებს ფიქცია, რომლის თანახმადაც უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებს პარლამენტის ზედა პალატა. თუმცა, სინამდვილეში საქმე ეხება პარლამენტისაგან განცალკევებულ, დამოუკიდებელ სასამართლოს (ჭანტურია 200:90).

სამოსამართლო პრეცედენტული სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადენს ლონდონის ცენტრალური სასამართლოების გადაწყვეტილებები. ამავე დროს, სამოქალაქო სამართალწარმოებაში რეალურად იზრდება ადგილობრივი სასამართლოების - Country Court მნიშვნელობა სასამართლოს, სულ უფრო ძლიერდება პოზიტიური კანონმდებლობის (სტატუტების) როლიც. ინგლისის Law Commission 1965 წლიდან მოყოლებული აქტიურად განიხილავს საკანონმდებლო რეფორმის საკითხებს. XIX საუკუნის ინგლისის კონსერვატორი მოსამართლეების უმრავლესობა საკმაოდ თავშეკავებულად ხვდებოდა

საკანონმდებლო რეფორმებს. დროთა განმავლობაში საკანონმდებლო რეფორმების მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ინგლისელ მოსამართლეთა შეხედულებები ნაკლებად განსხვავდება კონტინენტური ევროპის მოსამართლეთა შეხედულებებისაგან (ხუბუა 2004: 216).

კაზუსტიკა – Case Law- ანგლოამერიკული სამართლის სისტემისთვის არის დამახასიტიბელი. ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებზეა ორიენტირებული კაზუსტიკა (ხუბუა 2004: 217).

ბრიტანული სამართლის სისტემისაგან რამდენადმე განსხვავდება ამერიკული სამართალი. ამავე დროს, ამერიკული სამართლის მეთოდოლოგია ბრიტანულის მსგავსია. ამერიკულ და ინგლისურ სამართალს შორის განსხვავება, ძირითადად, ეფუძნება პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ინგლისი უნიტარული სახელმწიფოა, ხოლო ამერიკა-ფედერაციული, რომელიც მოიცავს 50 მართლწესრიგს პლუს ფედერალური მართლწესრიგი. აშშ-ში კერძო სამართალი, ძირითადად შტატების განმგებლობას განეკითვნება. თითოეულ შტატს აქვს საკუთარი საკანონმდებლო კრება და საკუთარი, მეტწილ შემთხვევაში, სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს, ასევე, სამსაფეხურიანი ფედერალური სასამართლო სისტემის პარალელურად (ხუბუა 2004: 217).

ამერიკის შტატებს აქვთ ფართო კანონშემოქმედებითი უფლებამოსილებები. კანონშემოქმედებითი საქმიანობის დეცენტრალიზაციის მიუხედავად, ამერიკული სამართალი აყალიბებს ერთიან სისტემას. „ამერიკული სამართალი“, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა სამართლის სკოლებში ისწავლება. ამერიკული სამართლის ერთიანობაზე ზრუნავს სამართლის მეცნიერება, მთელი რიგი ნაციონალური ორგანიზაციები (ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, სამართლის სკოლების ასოციაცია და სხვ.) (ხუბუა 2004: 217).

§ 1.5. განსხვავება კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის სისტემებს შორის

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკულ სამართლის ოჯახის ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება პოზიტიურ კანონმდებლობას, როგორც სამართლის წყაროს. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითადი წყაროა. ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის უმთავრესი წყაროა სასამართლო პრეცედენტი. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პრეიუდიციებს არა აქვთ მბოჭავი ძალა, მაშინ როდესაც ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში პრეიუდიციებს ასეთი მბოჭავი ძალა აქვთ. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.“ საქართველოში მოსამართლე, ისევე როგორც კონსტიტუციური სამართლის ოჯახის სხვა ქვეყნებში, სამოსამართლო სამართლით შებოჭილი არ არის. (ხუბუა 2004: 217).

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახებს ახასიათებთ გარკვეული მსგავსებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ანგლოამერიკული სამართალი უკვე არ არის „წმინდა“ პრეცედენტული სამართლის სისტემა, რამდენადაც სოციალური ურთიერთობების ბევრი სფერო მოწესრიგებულია პოზიტიური (დაწერილი) სამართლით (statutory law). ამერიკელი იურისტისათვის კანონის შინაარსი არის ის, რასაც ამ კანონის შესახებ ამბობს უზენაესი სასამართლო. თავის მხრივ, კონტინენტური ევროპის მოსამართლეები ხშირად იყენებენ პრეიუდიციებს, ხოლო ანგლოამერიკული სამართლის ოჯახის მოსამართლეები პრეცედენტების დიფერენცირების (distinguishing) გზით ცდილობენ „უსიამოვნო“ პრეცედენტისაგან განთავისუფლებას (ჭანტურია 2000:91).

შედარებით უმნიშვნელოა კონტინენტურ ევროპასა და ანგლოამერიკულ ოჯახს შორის არსებული მატერიალურ-სამათლებრივი განსხვავებაც. ეს განსაკუთრებით ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს (ხუბუა 2004:217).

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს შორის განსხვავება, უმთავრესად, ეფუძნება იურიდიული აზროვნების წესსა და მეთოდებს. ევროპის ქვეყნებში სამართლის სისტემის ერთიანობის მიღწევის ერთადერთი საშუალება იყო კოდიფიკაცია.

კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი. ინგლისში, კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებით, ბატონობდა აზროვნების სამოსამართლო სტილი. ბრიტანელი მოსამართლე კონცენტრირებული იყო კონკრეტულ შემთხვევაზე, მაშინ როდესაც კონტინენტურ ევროპაში სამართლის პროფესურა დაკავებული იყო ზოგადი საკითხების და არა კონკრეტული შემთხვევის ანალიზით.

კონტინენტური ევროპის იურიდიული აზროვნების წესი დედუქციურია- მიმართულია ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. კონკრეტული ევროპის იურისტი სამართლის ზოგადი ნორმის საფუძველზე წყვეტს კონკრეტულ შემთხვევას. ანგლოსაქსონური იურისტის აზროვნება ინდუქციურია- მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ანგლოსაქსონური სამართლის ოჯახის იურისტი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე აყალიბებს ზოგად პრინციპს.

სამართლის კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ნელ-ნელა ქრება (ხუბუა 2004:217).

§ 1.6. ჩინური სამართლის წარმოშობის ისტორია და განვითარება

ჩინური სამართალი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ჩინეთის თანამედროვე სამართალი გერმანიკულ სამოქალაქო სამართალსა და ჩინეთის ტრადიციებს ემყარება (ლიანგ1989:55-91).

ჩინური სამართლებრივი სისტემა ემყარება კონფუცის ფილოსოფიას. კონფუცის ფილოსოფიას ეფუძნება ასევე კოდიფიცირებული კანონი და სისხლის სამართალიც. 1911 წლის რევოლუციის შემდეგ ჩინეთის რესპუბლიკამ მიიღო დასავლური სტილის სამართლებრივი კოდექსი. ჩინური სამოქალაქო სამართალი ემყარება გერმანულ სამართალს. 1949 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ჩინეთზე საბჭოთა კავშირის სისტემამ და სოციალისტურმა სამართალმა გავლენა იქონია.

ეტაპობრივად გლობალიზაციის ტრანსფორმაციის გავლენით იცვლება სამართალის შიდა ელემენტები, რომელიც გავლენას ახდენენ ჩინეთზე.

სამართალი ჩინურ ენაში ითარგმნება როგორც fǎ (法). ჩინური იეროგლიფი fǎ ნიშნავს „შიშს“, „სწორს“, „ზუსტს“. ეს იეროგლიფი დაკავშირებულია წყლის გასაღებთან (氵). ეს იეროგლიფი ასევე აღნიშნავს „სტანდარტს, ნორმას ან მოდელს“. დერკ ბოდემ (Derk Bodde) და კლარენს მორისმა (Clarence Morris) დაადგინეს, რომ fǎ ასოცირდება yì (義- სთან, ნიშნავს „სოციალურ უფლებებს“) (ბოდე:1973). მონტესკიეს თარგმანში „De l'esprit des lois“, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნდა აღწერილია განსხვავება ჩინურ fǎ-სა და დასავლეთის სამართალს შორის. სიტყვა LAW-ს დასავლურ ენებში ოთხი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩინურ ენაში li-ს 理: „ბრძანება“, li 禮: „წესები“, ", fǎ ნიშნავს 法: „ადამიანის სამართალს“ and zhi-ს 制: „კონტროლის“ მნიშვნელობა აქვს (იენი:1981).

fǎ-ს წინამორბედი იყო xíng (刑), რომელიც ნიშნავდა თავის მოკვეთას. Xíng მოგვიანებით დაკავშირებული იყო სასჯელთან. ისტორიულად შანგის წიგნში (Shang Shu – უძველესი 5 კლასიკური ლიტერატურის წიგნი) ნახსენებია „ხუთი სასჯელი“: დასვირინგება, დამახინჯება, დასახიჩრება, კასტრაცია და სიკვდილი. Xíng-ის მნიშვნელობა არა მხოლოდ სასჯელის მნიშვნელობას ნიშნავდა, არამედ სახელმწიფო აკრძალვებსაც, რისი კანონდარღვევაც უნდა დასჯილიყო. კლასიკური მნიშვნელობით, xíng არის Xíng Bù (刑部, ლიტ. ნიშნავს „სასჯელთა დეპარტამენტს“) ასევე იმპერიულ ჩინეთში კი ეს გამოიყენებოდა იურიდიული დეპარტამენტის მნიშვნელობით (მაკნაითი:1992).

ჩინეთის ორი მთავარი ფილოსოფიური სკოლა, კონფუციანიზმი და ლეგალიზმი, განიხილავდა სამართალს და ასევე სამართლის იდეის გავლენას ჩინეთზე. მოკლედ რომ განვიხილოთ, კონფუციანიზმის მიზანი იყო, ადამიანს გასჩენოდა სირცხვილის გრძნობა და ეს მას დაეხმარებოდა იმაში, რომ არ მოქცეულიყო არასწორად. ლეგალიზმის თანახმად, სამართალი სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. კონფუციანიზმი ეყრდნობა იმ ტრადიციას, რომლის თანახმადაც, ლიდერი მართავს ჩინეთის სახელმწიფოს. ლეგალიზმი კი ადგენს კანონს, რომელსაც იმპერატორი უნდა ემორჩილებოდეს. საერთო ფაქტორი ამ ორი მიმდინარეობისა არის ის, რომ კანონმა უნდა დაიცვას მოქალაქეები (ფარაჰი:2008).

ეს კონცეფცია გაგრძელდა მთელი იმპერიის პერიოდის განმავლობაში, რესპუბლიკელების პერიოდში და დღესაც მოქმედებს.

ბევრი სხვა ცივილიზაციისგან განსხვავებით, სადაც დაწერილი სამართალი პატივსაცემი იყო და ხშირად ღვთაებრივი წარმომავლობა ჰქონდა, კანონი ჩინეთის დასაწყისში განიხილებოდა წმინდა, საერო თვალსაზრისით და მისი თავდაპირველი იერსახე კონფუციანელმა მოაზროვნეებმა განავითარეს. წინათ ჩინეთის იმპერატორები აკონტროლებდნენ მთელ ტერიტორიასა და მოსახლეობას - ესეც ლეგალისტური იდეაა, რაც ჩნ-ს დადგენილი იყო. ეს იდეა ტრადიციულად ჩინეთში დამკვიდრდა და სწორი საქციელი გახდა ხალხისთვის მისაბამი. Xing ადგენს, რომ თუ ადამიანი არასწორად მოიქცევა, ქმედების გამო სასჯელიც დაუწესდება.

ცინგის დინასტიის დროს სამართლის კოდექსის რეფორმით სცადეს, რომ ის მიემსგავსებინათ გერმანული კოდექსისთვის. ეს მცდელობა განხორციელდა და 1912 წელს საცდელი კონსტიტუცია ჩამოყალიბდა. ეს კონსტიტუცია კანონის შესაბამისად მოიცავდა თანასწორობის იდეას, ქალთა უფლებებს, მოქალაქეთა და ასევე სამთავრობო უფლებებს. 1982 წლამდე, კულტურული რევოლუციის განადგურების შემდეგ, გაიყო ინტელექტუალური და სამართლებრივ პროფესიონალთა დონე, ინდივიდუალური აზრის იდეა შეერწყა და გავლენა იქონია ჩინეთის სამართალზე (ჩიუ:1965).

ამჟამინდელი კონსტიტუცია შეიქმნა 1982 წელს. V მუხლში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ადამიანი, თუ ორგანიზაცია ემორჩილება კანონს. III მუხლი კი ადგენს სახალხო კონგრესის და სახელმწიფო ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას ხალხთან მიმართებით. ჩინეთში 1987 წელს დაიწყო დავების გადაჭრა სასამართლოში.

§ 1.7. კონფუციანიზმი და ლეგალიზმი

კონფუციანიზმი და ლეგალიზმი არის ორი უმთავრესი სამართლებრივი და ფილოსოფიური თეორია, რომლებიც განვითარდა გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში (ჩინეთში მმართველობის პერიოდი ძვ. წ. 771-403 წლები, ძვ. წ. 722-479). ეს ორივე თეორია გავლენას ახდენს ჩინეთის კულტურულ, სოციალურ და სამართლებრივ ნორმებზე.

§ 1.8. კონფუციანიზმი

კონფუციანიზმის იდეა უკავშირდება ადამიანს. ადამიანის მიმართ ოპტიმისტური ხედვა, რომ ადამიანი ტრადიციული ნორმების გათვალისწინებით არ ჩაიდენს ცუდ საქციელს, რადგან ადამიანს აქვს სირცხვილის შეგრძნება. კონფუციანიზმი უფრო მისაღებია ჩინელებისთვის და მისგან დადგენილი ნორმები, ვიდრე მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციები. ეს იდეოლოგია ადამიანის შინაგანი ხასიათისა და საზოგადოების წრეებზე ახდენს გავლენას. კონფუციანიზმი არ კრძალავს დადგენილ სამართლებრივ რეგულაციებს.

კონფუციანიზმის იდეოლოგიის თანახმად, არ არის მიღებული სამართლებრივი ნორმებით საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

§ 1.9. ლეგალიზმი

კონფუციანიზმი ეფუძნება „ლი-ს“ თეორიას, ლეგალიზმი კი – სამართლებრივი კოდექსით არეგულირებს საზოგადოებრივ წესრიგს. სამართალმცოდნეების აზრით, ადამიანი დაბადებულია ეშმაკად და ყველას საკუთარი ინტერესი ამოძრავებს. სამართალმცოდნეების მიერ, ხალხისთვის მორალურად დაძალება, რომ მოიქცნენ სათანადო ნორმებში დადგენილი დაწერილ კანონებში და კანონდარღვევის შემთხვევაში კი აკისრებს ადამიანებს სასჯელს.

სამართალმცოდნეებმა, ის სამართალი შეიმუშავეს, რომლსაც მართავს სახელმწიფო და არა – მმართველები. ეს უზრუნველყოფს პიროვნულ ჩარევას და მიკერძოებულობას. „უმოქმედობა“, რომელიც სამართალმცოდნეებმა წამოაყენეს, არის „ვუვეის“ ცნება, რომელიც კონფუციონიზმისგან განსხვავდება.

§ 1.10. კონფუციანიზმის და ლეგალიზმის შედარება

მმართველს, როგორც კონფუციანიზმის დროს არსებობდა, ჰქონდა ყველანაირი უფლებამოსილება სამართლიანობის გადასაწყვეტად. მაშასადამე, კონფუციანიზმის მსგავსად, ლეგალიზმიც ადგენს შეურაწყოფის ფაქტებს. ფაქტია, რომ იმპერატორმა ცინგმა შეიმუშავა მკაცრი კანონები, უმკაცრესი სასჯელები. საერთოდ არ არსებობდა შეწყალება სულ უმნიშვნელო დანაშაულზეც კი. მაგალითად, წვავდნენ წიგნებს, ხალხს, რომელთაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ, მარხავდნენ ცოცხლად. იმპერატორი ცინის დროს კანონს დიდ პატივს სცემდნენ და ითვალისწინებდნენ. ჩინეთში ეს სისასტიკე მისი მოღვაწეობის შემდეგაც კიდევ 14 წელი ვრცელდებოდა.

კონფუციანიზმი და ლეგალიზმი აურზაურის დროს წარმოიშვა. ორივე ამ მიმდინარეობის მიზანი იყო ქვეყნის ხელახალი გაერთიანება. ეს ორი თეორია ერთმანეთის საპირისპიროდ ვითარდებოდა. ერთი უარყოფდა კანონით ხალხის დამორჩილებას, მეორე კი – კანონით საზოგადოების წესრიგის დამყარებას. რა ჰქონდათ საერთო ამ ორ თეორიას? სიმართლეა, რომ არცერთი თეორია არ არის სრულყოფილი, რომ დამყარდეს საზოგადოებრივი წესრიგი. მიუხედავად ამისა, ორივე თეორიას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ჩინეთის კულტურულ და სამართლებრივ განვითარებაზე. ახლა ეს გავლენა აშკარაა დღევანდელ ჩინეთზე.

მიუხედავად ამისა, კონფუციონისტური იდეოლოგია გახდა ჩინეთის ტრადიციული სამართლის ფუნდამენტი. კანონმცოდნეთა სკოლამ შექმნა ტრადიციული სამართლებრივი სისტემის ჩარჩო. ხანის დინასტიის დროს შენარჩუნდა ცინგის მმართველობის დროინდელი სამართლებრივი სისტემა, მაგრამ ის სისასტიკეები, რომლებიც იმ დროს არსებობდა, შეამსუბუქეს, ამ ყველაფერზე კი გავლენა იქონია კონფუციონისტური ფილოსოფიის საზოგადოებრივმა კონტროლმა.

ხანის დინასტია ოფიციალურად ცნობდა სამართლის ოთხ წყაროს: liü (律 : „კოდიფიცირებული სამართალი“), ling (令: "იმპერატორის მიერ დადგენილი წესები"), ke (科: „წინა დინასტიიდან შემკვიდრეობით დატოვებული კანონები“) და bi (比: „პრეცედენტები“). მათ შორის ყველაზე მაღლა იდგა bi (比: „პრეცედენტები“). ბევრი სამართლის მცოდნეები არ იყვნენ ადვოკატები, მაგრამ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში კარგად გათვინობიერებულები იყვნენ (ჩიუ:1965).

კოდიფიცირებული სამართალი თანგის დინასტიის დროს დასრულდა Tang Code of CE 624-ით (თანგის CE 624 კოდექსი). დიდი მინგის კოდექსმა, რომელიც ცინგის კოდექსის ნიმუში იყო, გადაფარა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით ოჯახებსა და რიტუალებში, ასევე საგარეო ურთიერთობებში. ბევრი ისტორიკოსი, მათ შორის, მაქს ვებერი, მიიჩნევს, რომ კონფუციანიზმის ცნება, მორალურად უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე სამართლებრივი კოდექსი. ეს XX საუკუნის შუა ნახევარშიც კი დადგინდა, რომ სამართალი საიმპერატორო ჩინეთის საზოგადოებაში არ იყო მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ყველაფერს მოჰყვა კრიტიკა. სინოლოგებმა დაადგინეს, რომ იმპერიულ ჩინეთში საგულდაგულოდ იყო შემუშავებული სისხლის და სამოქალაქო სამართალი. იმ დროის როცა ევროპაში კი საერთოდ არ ჩანდა სამართლის კვალი (იუ 2001).

მიჩნეულია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ გამოეყოფოდა სისხლის სამართლის კოდექსს. საეჭვოა, არსებობდა თუ არა სამოქალაქო კოდექსი ჩინეთის სამართალში. კვლევებმა ცხადყო, რომ სამართლებრივი სამუშაოები იყო ძირითადად სამოქალაქო დავები. სამოქალაქო სამართლის სისტემა გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დარღვევის დროს.

§ 1.11. ჩინეთის სამართლის მოდერნიზება

1839 წელს ლინ ძესუნის მფარველობით შესრულდა დასავლური ტექსტების თარგმანი. თონკვენ კუანის სისტემური თარგმანებიც მოწმობს, რომელიც 1862 წელს შესრულდა, რომ 1920 წლიდან დაიწყო ძირითადად სამართლებრივი ენის და ტექსტების უფრო მაღალ დონეზე განვითარება. 1896-1936 წლებში სამართლებრივი თარგმანი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ცინგის დინასტიის პერიოდში სცადეს, რომ შეედგინათ სამართლებრივი კოდექსი, რომელიც ევროპულ მოდელს დაექვემდებარებოდა. გერმანიის

გამარჯვებამ საფრანგეთსა და რუსეთზე იმოქმედა რომ შეემუშავებინათ სამართლებრივი კოდექსი. იაპონია იყო პოლიტიკის და სამართლებრივი რეფორმის მოდელი. მიღებული სამართლებრივი კოდექსი მიიჩნეოდა სანიმუშო მოდელად.

XX საუკუნის მიწურულს ტრადიციული ჩინური სამართლის მიმართ შეიცვალა დამოკიდებულება. ბევრი ჩინელი და XX საუკუნის ევროპელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ტრადიციული ჩინური სამართლის სისტემა იყო ჩამორჩენილი და ბარბაროსული. მკვლევრების თანახმად, XVIII საუკუნის ევროპის სამართლებრივი სისტემა შეადარეს XVIII საუკუნის სამართლებრივ სისტემას. შედეგი უფრო დადებითი აღმოჩნდა ვიდრე მოელოდნენ. 1990 წელს სამართლებრივი რეფორმის დროს სადამსჯელო დეპარტამენტი შეიცვალა- იურიდიულ დეპარტამენტად (fa bu 法部).

§ 1.12. ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკის სამართალი

ჩინეთის სახელმწიფო რესპუბლიკის სამართალი ძირითადად ეფუძნება სამოქალაქო სამართლის სისტემას.

სამართლებრივი კოდექსი იყოფა ექვს ნაწილად: კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციულ სამართალი.

1949 წელს, კომუნისტების გამარჯვების შემდეგ ახლად დაარსებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მაშინვე გააუქმა ძველი ჩინეთის რესპუბლიკის სამართლებრივი კოდექსი და ცდილობდნენ, რომ შეექმნათ სოციალისტური სამართლის სისტემა, რომელიც საბჭოთა კავშირის სამართლებრივი სისტემის ასლი იყო. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გახლეჩის (1960-1989) და კულტურული რევოლუციის (1966-1976) შემდეგ ყველა სამართლებრივი ნაშრომი და მთლიანად სამართლებრივი სისტემა დაინგრა (ჰუნგი1985: 42-45).

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ჩინეთმა რამდენიმე კონსტიტუცია შეცვალა. პირველი მცდელობა, როდესაც დაიწყო ჩინელებმა კონსტიტუციაზე ფიქრი, იყო ცინგის დინასტიის პერიოდი (1902-1912). რამდენიმე მაკონტროლებელმა ჯგუფმა გამოაქვეყნა სხვადასხვა კონსტიტუცია ცინგის დინასტიის პერიოდსა და 1949 წლამდე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებამდე.

1954 წლამდე, სანამ კანონი დადგინდებოდა, მათ გამოაქვეყნეს პირობითი კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია მთლიანად საბჭოთა კონსტიტუციას ეყრდნობოდა. ეს უარყვეს უფლებბელყვეს და სამართლებრივად თითქმის არ შესულა ძალაში, მაგრამ ეროვნული სახალხო კონგრესის არჩევნების დროს, მას უმაღლესი სახელმწიფო ძალა ჰქონდა.

მეორე სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია კულტურული რევოლუციის იდეოლოგიის ბაზაზე მოდელირდა და ძალაში შევიდა 1975 წელს. ამ კონსტიტუციით წინა კონსტიტუციის იდეოლოგია იდევნებოდა და ადგენდა კომუნისტური პარტიის სახალხო კონგრესს. ამ კონსტიტუციით მთლიანად შეიცვალა წინა კონსტიტუციით მოქმედება. მაგალითად, თანასწორუფლებიანობის უფლება და კერძო საკუთრების უფლებები (ჰუნგი1985: 45-54).

მესამე კონსტიტუცია 1978 წელს მიიღეს. ამ ვერსიაში კულტურული რევოლუციის იდეოლოგია ამოიშალა, მაგრამ კვალი მაინც დატოვა.

მოუხედავად ამისა, რეფორმისტებმა მოიპოვეს ძალაუფლება. მათი მიზანი იყო ამ კონსტიტუციის დამხობა და ყურადღების გამახვილება ეკონომიკის მშენებლობასა და მოდერნიზებაზე.

ტენგ სიაოპინის რეფორმებით დაიწყო (1979) სამართლებრივი სისტემის განახლება და ხელისუფლების შეურაცხყოფის შეზღუდვა და ძალაუფლების გადაჭარბება.

1982 წელს სახალხო კონგრესმა მიიღო ახალი სახელმწიფო კონსტიტუცია, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო ლიდერებისათვის თეორიულად შესაძლებელ დიდ პასუხისმგებლობის მინიჭებაზე.

1982 წელს მიიღეს ახლანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია ჰგავს პირველ კონსტიტუციას. მასში მეტი უფლებებია ჩადებული ვიდრე წინა კონსტიტუციებში. ეს უფლებები მოიცავს თანასწორუფლებიანობას, პოლიტიკურ უფლებებს, რელიგიურ თავისუფლებას, პიროვნულ თავისუფლებას, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, კულტურულ და საგანმანათლებლო უფლებებსა და ოჯახურ უფლებებს. ეს უფლებები დაკავშირებულია სოციალურ უფლება-მოვალეობებთან. ეს უფლება-მოვალეობები მოიცავს უსაფრთხოებას, კეთილსინდისიერებას, ქვეყნის ინტერესებს, ჯარში მსახურებას, გადასახადების გადახდას. ეს უფლება-მოვალეობები კონსტიტუციაში რა არის გადაჭარბებული.

კონსტიტუცია ადგენს, რომ ეროვნულ სახალხო კონგრესი არის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო. ეროვნული სახალხო კონგრესი ადგენს შემდეგს:

ორი მესამედი უმრავლესობით კონსტიტუციის ცვლილებას, კანონმდებლობის გამოქვეყნებას, ოფიციალური პირების არჩევის და გადარჩევის უფლებას განსაზღვრავს. ასევე, ბიუჯეტს, ეკონომიკური და სოციალური განვითარებად გეგმარების კონტროლს განსაზღვრავს.

ეროვნული სახალხო კონგრესი მოიცავს ასევე მუდმივმოქმედ კომიტეტს, რომელსაც უფრო მეტი ფუნქცია აკისრია სესიაში, როდესაც სახალხო კონგრესი არ იღებს მონაწილეობას. 1955 წლიდან მუდმივმოქმედ კომიტეტს აქვს ძალაუფლება. 1982 წლის კონსტიტუციით მათ

დაეკისრათ კანონზე მუშაობა. ეროვნული სახალხო კონგრესი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იერარქიულად ყველაზე მაღალ დონეზეა. ამას მოსდევს ავტონომიური რეგიონები, რაიონები, ქალაქები, სოფლები. დაბალი საფეხურის მთავრობის წევრები პირდაპირ არიან არჩეულები, ხოლო მაღალი დონის წევრებს კი დაბალი საფეხურის წარმომადგენლები ირჩევენ.

კონსტიტუცია ადგენს საკუთარ უზენაესობას. კომუნისტური პარტიის უზენაესობით, კონსტიტუცია და სამართალი არ არის უზენაესი. ეს ყოველივე მარქსისტული სამართლის ხედვაა. ეს სტრუქტურა მოიცავს სამართლის წესის აღიარების სიმცირეს ფილოსოფიურ და ისტორიულ ჭრილში. ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება ქმედებით და არა კონსტიტუციით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში როდესაც ახალ კანონს იღებენ, მასზე დიდ გავლენას ახდენს გარკვეული წყაროები. ეს არის ტრადიციული ჩინური ხედვა სამართლის როლთან დაკავშირებით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური ფონი, ტაივანში გერმანულზე დაფუძნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართალი და ჰონგ-კონგში ინგლისურზე დამყარებული საერთო სამართალი.

1990 წელს სამართლებრივი რეფორმა გახდა მთავრობის პრიორიტეტი. ჩინეთის მთავრობამ ჩაატარა ლეგალიზაციის (法 制 化) რეფორმა. ეს რეფორმა მოიცავდა სამართლებრივი სტრუქტურის და საკანონმდებლო ორგანოს რეფორმას.

ჩინეთში სასაქონლო ნიშნის სამართლის კოდექსი 1995 წელს მოდიფიცირდა, რათა უფრო კარგად დაეცვათ უცხოელთა სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეთა უფლებები.

კონსტიტუციური საკითხების გარდა, ჰონგ-კონგი და მაკაო ინგლისის საერთო სამართლისა და პორტუგალიის სამართალს იყენებენ.

1992 წელს ჩინეთის მთავრობას რომ დაეკმაყოფილებინა დიდი მოთხოვნა უცხოელი კომპანიებისთვის ჩინეთის ბაზარზე, ამისათვის ჩინეთის იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფოს სამრეწველო და სავაჭრო ადმინისტრაციულმა საბჭომ გამოსცა კანონი დროებითი უცხოური კომპანიების ოფისების რეგულაციის შესახებ.

ამის შედეგად, უცხოურ ცნობილ კომპანიებს ჰონგ-კონგში მიეცათ საშუალება დაეარსებინათ ფილიალები და ამის შემდეგ კი ისინი პეკინსა და შანხაის ბაზრებზეც გავიდნენ.

დაიწყო შიდა იურიდიული ინდუსტრიის დაცვა და უცხოელ იურისტებს არ მისცეს ჩინელებმა საშუალება, რომ მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესებში

ჩინეთის სამართლებრივი ბაზარი აგრძელებს განვითარებას. ჩინეთის სამართალი და რეგულაციები და კანონი ეხმარება უამრავ შიდა ბაზარზე არსებულ ჩინურ ფირმას უცხოელებთან მუშაობაში, რათა უფრო უკეთ შეხვდნენ ეკონომიკის ბუმის გამოწვევებს. აზიური სამართლისა და ბიზნეს ჟურნალის (Asia Law and Business magazine) თანახმად, ჩინეთში ცნობილია შემდეგი იურიდიული ფირმები: King & Wood PRC Lawyers, Commerce & Finance Law Offices, Fangda Partners, Haiwen & Partners, Jun He Law Offices and Lehman, Lee & Xu (ჰუნგი1985: 60-75).

§ 1.13. სამართლებრივი უფლებები

კლასიკურ ჩინურში ცნება right-ს „უფლებას“ არ აქვს სემანტიკური ეკვივალენტი. დასავლეთიდან გამოჩნდა უფლებების იდეა ჩინურში. უფლების თარგმანი quánlì (权利) გამოჩნდა უილიამ მარტინის (William Alexander Parsons Martin) თარგმანში 1864 წელს ჰენრი უიტონის (Henry Wheaton) საერთაშორისო სამართლის ელემენტებში.

§ 1.14. კანონის უზენაესობა

ჩინურად კანონის უზენაესობა ითარგმნება fǎzhì (法治). 1990 წლებში მსგავსი ცნება yǐ fǎzhì guó (依法治国: "governing the nation with law") „ხალხის მართვა კანონით“ და jiànshè shèhuì zhǔyì fǎzhì guójiā (建设社会主义法制国家): building a socialist rule of law state)- „სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალისტური წესით შექმნა“ იქცა კომუნისტური პარტიის ოფიციალურ პოლიტიკად. 1999 წელს ეროვნულმა სახალხო კონგრესმა ჩინურ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, გაერთიანდა ორივე ცნება მეხუთე მუხლში (ლი :199-220).

2002 წლის 27 აგვისტოს გატარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადმინისტრაციული ნებართვის სამართალი Administartive Permission Law, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივლისს.

ამ კანონს მთლიანად ეროვნული სახალხო კონგრესი ან კომიტეტი ამტკიცებს. ადმინისტრაციულ რეგულაციებს სახელმწიფო საბჭო არეგულირებს. ადგილობრივ რეგულაციებს ადგილობრივი სახალხო კონგრესი არეგულირებს, რომელსაც ადმინისტრაციული დამტკიცებაც შესაძლოა დასჭირდეს. გარკვეული გარემოებების გარდა, მინისტრებს ან სააგენტოებს არ აქვთ დამტკიცების ძალაუფლება. საკანონმდებლო კანონში იერარქიულად ეს გაწერილია (სუნი:2009).

მიუხედავად ამდენი მცდელობისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონის უზენაესობა მაინც განიცდის რეპრესიებს. ეს განსაკუთრებით გამოწვეულია ჩინეთის მთავრობის ჩარევით.

დასკვნა

სამენოვანი სამართლებრივი დოკუმენტაციის ენა, ისტორია ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ. XIX საუკუნეში გვხვდება სამართლებრივი დოკუმენტაციის ენა, ასევე, სამართლებრივი დოკუმენტაციის სტილი. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სფეროში ქართული ენის გამოყენებას დიდი ისტორია აქვს. ზუსტად, ამ პერიოდში ყალიბდება ენათმეცნიერული სტილისტიკაც. ეს პერიოდი, ისტორიულად მაინც მხატვრული ენის ფუნქციონირების სტადიად მოიაზრებოდა, რადგან სხვა სფეროები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი. XIX საუკუნიდან სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების სრულიად ახალი ასპარეზი და მნიშვნელობები გაჩნდა საქმის წარმოების, განათლების, საინფორმაციო ურთიერთობების და მეცნიერების სფეროში. ასევე, ადრეულ პერიოდში გვხვდება საქმიანი წერის თუ მიმოწერის დეტალები. ეს მიმოწერა ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური მდგომარეობის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული იყო.

თავი II

თარგმნის სირთულე და მასთან დაკავშირებული პრობლემები

§ 2.1. სწორი თარგმანის განხორციელება

თარგმნა ნიშნავს, გამოხატო ზუსტად და სრულყოფილად ერთი ენის საშუალებებით ის, რაც უკვე გამოხატულია სხვა ენის მეშვეობით ისე, რომ არ დაირღვეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობა (ფეოდოროვი 1958:11). ყოველთვის, როდესაც მოხდება ფორმის ან შინაარსის დარღვევა, ეს გამოიწვევს ძალიან უხეში შეცდომის დაშვებას. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საუკეთესო საშუალებაა სიტყვასიტყვითი თარგმანი, რადგან სხვადასხვა ენას განსხვავებული ენობრივი მახასიათებლები აქვთ. ამიტომ ასეთი ტიპის თარგმანი ყოველთვის როდია შესაძლებელი: მთარგმნელმა თავი უნდა აარიდოს, როგორც უხეში შეცდომების დაშვებას, ისე სიტყვასიტყვით თარგმნას.

სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა ორიგინალის სწორი გაგება როდი ნიშნავს სწორედ თარგმნას. განსაკუთრებული სირთულე ჩნდება მაშინ, როდესაც უნდა მოხდეს სამი ენის ელემენტებს შორის შესატყვისის მოძებნა. ძალიან ხშირად თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როდესაც სათარგმნი ტექსტის შინაარსი გასაგებია, მაგრამ ძალიან ძნელია მისი გამოხატვა სხვა ენაზე, ანუ ძნელია მოიძებნოს ენათშორისი შესატყვისობები.

ის, რომ თარგმანი შესაძლებელია, მეტყველებს იმაზე, რომ სამი ენის ელემენტებს შორის შესაძლებელია არსებობდეს სრული თანხვედრა. ამა თუ იმ კონტექსტში სამი ენის ელემენტები ფუნქციურად შეესიტყვება ერთმანეთს იმ ეკვივალენტების სახით, რომლებიც თარგმნისას გამოიყენება.

ენობრივ ელემენტებს, კონტექსტის მიუხედავად, სხვა ენაში შეიძლება მუდმივი ეკვივალენტები ჰქონდეს. მუდმივი ეკვივალენტებია სპეციალური ტერმინები, სიტყვა-რეალიები, საყოფაცხოვრებო სიტყვები ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობით. ყველა შემთხვევაში კონტექსტი განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას (მათეშვილი 2003:46).

§ 2.2. კონტექსტი

კონტექსტი – ესაა მეტყველების მონაკვეთი, რომელიც აუცილებელია სიტყვათა მნიშვნელობის გასაგებად და შესარჩევად. მოცულობის მიხედვით ის სხვადასხვანაირია. ძალიან ხშირად ეკვივალენტები შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის დონეზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის შერჩევას თარგმნის დროს.

სამი ენის სიტყვებს შორის შეიძლება არსებობდეს შემდეგი ურთიერთმიმართება:

ა) მოცემულ სიტყვას მეორე და მესამე ენაში ყოველთვის ერთი ვარიანტი შეესაბამება. ასეთ ურთიერთმიმართებას ეწოდება მუდმივი ეკვივალენტი. მაგალითად: - O.N.U, 联合国 Liánhéguó) – გაერო.

ბ) მოცემულ სიტყვას შეიძლება შეესაბამებოდეს სხვა ენაში მთელი რიგი კონტექსტური ეკვივალენტები, რომელთა უმეტესობაც შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული ლექსიკონში. მაგალითად: suffrage, 选举权 Xuǎnjǔquán – საარჩევნო ხმა, მოწონება.

გ) მოცემულ სიტყვას არ გააჩნია შესატყვისი სხვა ენაში. ამ შემთხვევაში მოცემულია არა თარგმანი, არამედ ახსნილია სიტყვის მნიშვნელობები, მაგალითად: 中止 (Zhōngzhǐ), withdrawal, discontinue – საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სხვის სასარგებლოდ.

თარგმნისას ეს სამი ეტაპი ქმნის გარკვეულ სირთულეებს. უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელმა უნდა იცოდეს მუდმივი ეკვივალენტი, უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ მეხსიერებას. ხშირად მას არ აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს მოცემული ტერმინის არსებული ეკვივალენტი საკუთარი თარგმანით. მუდმივი ეკვივალენტები გამოიყენება ტერმინების, რეალიების, სხვადასხვა საგაზეთო ლექსიკის მყარი შესატყვისობების სათარგმნელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკვივალენტების გამოყენებას სიტუაციის მიხედვით. ხშირად უარი უნდა ვთქვათ სიტყვასიტყვით თარგმანზე, მაშინაც კი, როდესაც ის არ ეწინააღმდეგება თარგმნის ენის შინაარსს, იმის გამო, რომ ენის მატარებელი სხვა ფორმას გამოიყენებს მოცემულ სიტუაციაში.

მეორე შემთხვევაში მთარგმნელის წინაშე სხვა ამოცანა დგას. უნდა შეარჩიოს ის ეკვივალენტი, როელიც მოცემულ კონტექსტში უფრო შესაფერისია.

მესამე შემთხვევაში, მთარგმნელ-თარჯიმანმა თვითონ უნდა მოძებნოს ეკვივალენტი, რისთვისაც მან ზუსტად უნდა იცოდეს ცნების შინაარსი, რომელიც გამოხატულია სათარგმნი სიტყვით. ამგვარად ხდება ტერმინების, რეალიების, ნეოლოგიზმების თარგმნა, რომელიც არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში, რომლითაც სარგებლობს მთარგმნელი, ანდა რომლებსაც არა აქვს თარგმნის ენაში შესატყვისი (ჯაში2003:56).

სათარგმნი სიტყვას შეიძლება მრავალი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომლებიც შეიძლება სათარგმნი ენაში გადმოიცეს სინონიმების მთელი რიგით. იმისათვის, რომ სწორად ითარგმნოს სიტყვა, უნდა განისაზღვროს სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში, შემდეგ უნდა შეირჩეს ერთ-ერთი სინონიმები. ხშირად ორენოვან ლექსიკონებში არ არის მოცემული ყველა მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ განმარტებით ლექსიკონს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლექსიკონი იძლევა საჭირო მნიშვნელობას, მაგრამ არცერთი მათგანი არ უხდება მოცემულ კონტექსტს, მაშინ მთარგმნელი ან თარჯიმანი თვითონ ეძებს საჭირო სინონიმს, ეყდნობა ენის საკუთარ ცოდნას. არც თუ იშვიათია, რომ სიტყვის მოცულობის მიხედვით სხვადასხვა ენის სიტყვები განსხვავდებიან. ბევრ ფრანგულ სიტყვას ახასიათებს ფართო სემანტიკა, რომელიც მოიცავს სიტყვათა მთელ რიგ მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში თარგმნისას გვიხდება სიტყვათა მნიშვნელობების კონკრეტიზირება.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში სიტყვა კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და ითარგმნება მთელი გამონათქვამის შემადგენლობაში (ჯაში2003:68).

სხვადასხვა ენაში სიტყვები, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა ერთმანეთს ემთხვევა, შეიძლება არ დაემთხვეს გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროს. მაგ: vif ფრანგულში ნიშნავს „მკვირცხლს“, ხოლო vifs applaudissements-ში იგი ითარგმნება როგორც „მხურვალე აპლოდისმენტები“.

მორფოლოგიური თავისებურებანი და სიტყვათა სინტაქსურ კავშირებში ეს თავისებურებანი სხვადასხვაგვარია და შეუძლიათ ასახონ სიტყვათა მნიშვნელობაში ცვლილებები. ასე, მაგალითად, არსებითი სახელი ინგლისურ ენაში იცვლის მნიშვნელობას სიტყვის რიცხვის მიხედვით, ხოლო ზმნა, პირდაპირი დამატების ქონა-არქონის მიხედვით.

სიტყვას ახასიათებს სტილისტური თავისებურებანი. ეს თავისებურება შეიძლება იყოს ნეიტრალური, დადებითი ან უარყოფითი. სტილისტური თავისებურების გადმოცემა

აუცილებელია პოლიტიკური ტექსტების თარგმნისას. სხვათა შორის, მსგავსი მნიშვნელობების სიტყვების სტილისტური შეფერილობა ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს, ხშირად ინგლისურ ერთ სიტყვას შეესაბამება ქართულ ენაში ორი ან რამდენიმე სიტყვა, რომლებიც სხვადასხვა სტილისტური შეფერილობით ხასიათდება.

მთარგმნელი ვალდებულია კარგად შეისწავლოს შეპირისპირებით პლანში არა ცალკეული სიტყვები, არამედ სიტყვათა მთელი რიგი, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა გააჩნიათ (სინონიმური რიგები). ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან თარგმნისას უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ნიუანსები, ამა თუ იმ სიტყვის ჩასმა სხვადასხვა კონტექსტში (ჯაში2003:68).

თარგმნისას გრამატიკულ ჩანაცვლებას ისე ხშირად მივმართავთ, როგორც ლექსიკურს. გრამატიკული ჩანაცვლება აუცილებელია: 1) იმ კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს დედანში; 2) თარგმანში ისეთი კატეგორიების გამოსახატავად, რომლებიც არ არსებობს დედანში; 3) ორ ენაში, თუ განსხვავდება ერთი და იმავე კატეგორიების ფორმები სხვადასხვა სტილისტურ ნორმების გამოყენების მიხედვით.

განსხვავება არსებობს მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით. მაგალითად, სიტყვის რიცხვის შეცვლა. As part of the UN , 作为联合国的一部分 (Zuòwéi liánhéguó de yībùfèn) – გაეროს ფარგლებში. სხვადასხვა ენაში არსებობს წინადადების აზრობრივი ცენტრის გამოყოფის სხვადასხვა საშუალება (ჩინურ-ინგლისური ლექსიკონი2010).

თარგმნისას ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ წინადადებების აზრობრივი ცენტრის გამოყოფა, რომელიც გამონათქვამის ბირთვს შეიცავს. ეს ის ახალი ინფორმაციაა, რომელსაც გამოხატავს წინადადება. წინადადების ერთი და იმავე სინტაქსური სტრუქტურის დროს აზრობრივი ცენტრი შეიძლება იყოს სხვადასხვა.

საზოგადოებრივ პოლიტიკური მასალები საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც სტილისტური ისევე ჟანრობრივი თვალსაზრისით. ისინი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: დოკუმენტურ-საქმიანი მასალები (კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები, პარტიის წესდება, დიპლომატიური დოკუმენტები, ნოტები, დეკლარაციები, ხელშეკრულებები და სხვა).

თითოეულ ამ ჯგუფს აქვს თავისებურებები, რომლებიც თარგმნის სპეციალურ სიმნელებს ქმნის. პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციალური ტერმინოლოგიის, სხვადასხვა რეალიის, განსაკუთრებული მყარი შესატყვისების სიუხვე. მთარგმნელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა გააფორმოს მსგავსი დოკუმენტი.

მეორე ჯგუფში ბევრი სიტყვა და გამოთქმაა, რომლებიც დაკავშირებულია მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციასთან, თუ ისინი ეძღვნება რომელიმე ისტორიულ საკითხს, შეიცავს ბევრ ტერმინს, ისტორიულ რეალიებს, საკუთარ სახელებსა და სხვა.

მესამე ჯგუფი გამოირჩევა ემოციურად შეფერილი ელემენტების შედარებითი სიუხვით, რომელშიც მოცემულია ავტორის გრნობები და იწვევს ემოციებს მკითხველსა თუ მსმენელში. ესენია: სიტყვები დადებითი თუ უარყოფითი სტილისტური მახასიათებლებით. ხატოვანი გამოთქმები, სინტაქსური ფიგურები, ციტატები და სხვა. თარგმნისას აუცილებელია გამოხატო და გადმოსცე ტექსტის ყველა ეს ექსპრესიული თავისებურებანი.

პოლიტიკურ სტატიებში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით ფრთოსანი გამონათქვამები, ციტატები, ყოველთვის უნდა მოიძებნოს ციტატის შესაბამისი თარგმანი. არ შეიძლება მთარგმნელმა თავისი სიტყვებით თარგმნოს ციტატა, თუ ის რომელიმე ნაწარმოებიდანაა ამოღებული.

რაც შეეხება გრამატიკულ თავისებურებებს, უნდა ავლნიშნოთ, რომ არსებობს სინტაქსური ფიგურები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ორატორის მეტყველებაში, მოწინავე სტატიაში, მიმართვებში, მისაღმებასა და მასალებში.

სინტაქსური ფიგურები ეფუძნება გრამატიკულ კონსტრუქციებს მსგავსებასა და სიტყვების გამეორებებს. მნიშვნელოვან სინტაქსურ ფიგურებს განეკუთვნება გამეორება, პარალელიზმი, ვარიაციები.

თარგმნისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს გამოსახატავ ცნებათა მნიშვნელობებში. ამას გარდა, პუბლიცისტიკაში გამოიყენება ანტითეზა. რიტორიკული შეკითხვები და შემახილები, რომლებიც თარგმნისას არ ქმნის პრობლემას.

ძველი დროიდან მოყოლებული თარგმანი ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ფარგლებში: თავისუფალი თარგმანი, სიტყვასიტყვითი, პარაფრაზირება, ადაპტირება, რედაქტირება, პლაგიატი, პაროდია და ა. შ. ამასთან ერთად მას მრავალგვარი დატვირთა და ფუნქცია ჰქონდა და აქვს: ეპოქების მიხედვით, ის ემსახურებოდა ახალი ინფორმაციებს გავრცელებას (მეცნიერული, ტექნიკური, ლიტერატურული); ენის დახვეწას; ახალი ლიტერატურული ჟანრების აღმოჩენას: (საზეიმო სიტყვა, ეპოპეა, კომედია...), ახალი მწერლებისა და ნაწარმოებების აღმოჩენას, წერის ახალი მანერის გაცნობას (სერვანტესი, დანტე...); ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების შემოტანას (ლათინური, ბერძნული, ან სხვა ენებიდან განხორციელებული თარგმანები); გემოვნების ჩამოყალიბებას: უცხო ტექსტების ინტერპრეტაციას; ერის ფორმირებას: უფრო და უფრო მეტი რაოდენობის მკითხველისათვის ახალი ინფორმაციების გადაცემას, რომლებზეც მანამდე მხოლოდ კლერკებს მიუწვდებოდათ ხელი და ა. შ.

მაშინ როდესაც თარგმანსა და მის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს ამაზე ერთერთ ცნობილ თეორეტიკოსს ვ. ნ. კომისაროვს, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას გამოყოფს თანამედროვე თარგმანის თეორიაში, რომლებსაც შემდეგი სახით აყალიბებს:

1. თარგმანი, ზოგადად, განიხილება როგორც ენათშორისი კომუნიკაციის საშუალება. თარგმანი, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის საშუალება თარგმნის ცნების განსაზღვრას ისახავს მიზნად. თარგმანი, ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ფაქტორების გამოვლენას შეისწავლის, განიხილავს ამ ფაქტორების ურთიერთზემოქმედების კვლევას და თარგმანის ეკვივალენტობის პრობლემას.

2. მთარგმნელი ახორციელებს თარგმანს, თარგმანი განიხილება, როგორც მეტყველების თავისებური სახეობა. მნიშვნელოვანია მთარგმნელის სააზროვნო ოპერაციების ანალიზის გაკეთება, გაანალიზდეს, როგორ ხდება თარგმნის ვარიანტების შერჩევა და დედნის შინაარსის გაანალიზება.

3. ერთ ენაზე შექმნილი ტექსტიდან მეორე ენაზე შესაქმნელ ეკვივალენტური ტექსტზე გადასვლა მოიაზრება თარგმნად. ამ შემთხვევაში თარგმნა განიხილება როგორც საწყისი

ტექსტის „ტრანსფორმაციები“, ანუ ორ სტრუქტურას (ტექსტს) შორის მიმართებათა აღწერის ხერხები.

4. ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირებისას განიხილება თარგმანის პროცესი. თარგმნის პროცესის დროს, სხვადასხვა ორენოვან ტექსტს შორის, ასევე, ტექსტის ელემენტებს შორისაც ეკვივალენტობა დგინდება.

ვფიქრობთ, კომისაროვის ამ კლასიფიკაციას შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი მიმართულება: თარგმნის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ თარგმანი არ არის მხოლოდ ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის მეორე ენაზე გადმოტანა, აგრეთვე ის არის აუცილებლად ამ ენით გამოხატული კულტურის, კულტურული რეფერენციების, კულტურული პრესუპოზიციების თარგმნაც. აქედან გამომდინარე, ტექსტის ინტერპრეტაცია ყოველთვის თან ახლავს თარგმნის პროცესს.

თარგმანზე საუბრისას არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ნეოლოგიზმების თარგმნის პრობლემას. მათი თარგმანი განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებს მთარგმნელს. ამ სირთულეებს, უპირველეს ყოვლისა, ქმნის ის, რომ მიმღებ ენაში შეიძლება არ არსებობდეს ის მოვლენა, რომელსაც წყარო ენაში ახალი სიტყვა გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში მიმღებ ენას უმეტესწილად ან სესხულობს ამ სიტყვას და საკუთარ ლექსიკურ ფონდში აფიქსირებს იმ თავისებურებებს, რომლებიც მის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებსახასიათებს. მაგალითად, არსებითი სახელის სესხების შემთხვევაში მისთვის სახელობითი ბრუნვის ნიშნის „ი -ს“ დართვა. იშვიათ შემთხვევაში მიმღები ენა საკუთარ სისტემაზე დაყრდნობის და ახალი სიტყვების წარმოების საშუალებების გამოყენებით თვითონ ქმნის ამ ახალ სიტყვას. ქართული ენა, ამ მხრივ, საკმაოდ მოქნილია, რომელიც ახალი საინტერესო ტერმინების შემუშავების საშუალებას იძლევა, თუმცა, სამწუხაროდ, მთარგმნელები, დარგის სპეციალისტებთან ერთად, სესხებას ანიჭებენ უპირატესობას (ჯაში2003:78).

ამასთან ერთად, ამ შემთხვევაში ვაწყდებით კონცეპტუალიზაციის პრობლემას. მთარგმნელი, განსაკუთრებით ზეპირი თარგმანის შემთხვევაში, მონაწილეობს ტერმინების მეორეული შექმნის პროცესში (secondary term formation), როგორც ამას ამტკიცებს ხუან საგერი (Juan Sager). ამ შემთხვევაში მთარგმნელს უწევს გამოავლინოს როგორც

ლექსიკოლოგის, ასევე ტერმინოლოგის თვისებები, ჩაატაროს გარკვეული კვლევა კონკრეტული სფეროს სპეციალისტთან. მიმართოს სესხების ფენომენს ან შესთავაზოს საკუთარ ენაში ახალი, ორიგინალური ტერმინების შემოღება. ამ მოვლენას სპეციალისტებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მეორეული ფორმაცია“ (secondary formation) დაარქვეს. ამ შემთხვევაში მკვლევრები ცდილობენ პასუხი გასცენ ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორცაა: „მეორეული ფორმაცია“ სხვა მატრიცას იყენებს თუ იმავეს, რაც სპეციალიზებულ კორპუსში ვლინდება? ეს მატრიციები დამახასიათებელი იქნება თუ არა ეკვივალენტების მექანიზმისათვის? ვინაიდან ვიცით, რომ ეკვივალენტობის დადგენა ყოველთვის კონტექსტში ხდება. რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ნეოლოგიზმს მთარგმნელმა შინაარსობრივი და ფორმალური შესატყვისი მოუძებნოს საკუთარ ენაში?

ამასთან ერთად ნეოლოგიზმი შეიძლება განვიხილოთ ტერმინოლოგიის შექმნის ერთ-ერთ საშუალებად, არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ ხელთ არსებული ლექსიკა ყოველთვის არ ითვალისწინებს ტიპისა და სახეობის სპეციფიკას. ყველაზე ადეკვატური გამოსავალი იმისათვის, რომ აუცილებელი გამჭვირვალობა შევინარჩუნოთ ნეოლოგიზმის შექმნა. ასეთ შემთხვევაში ნეოლოგიზმი ენის ლექსიკური მარაგიდან შერჩეული სიტყვაა, რომელსაც ვანიჭებთ სახელდებით ფუნქციას.

როდესაც თარგმნის პრობლემებზე ვსაუბრობთ, საინტერესო ფენომენს წარმოადგენს ტრიადა: ნეოლოგიზმები, სპეციალიზებული თარგმანი და ტერმინოლოგიის შექმნა. ტერმინოლოგიის სამყაროში ურთიერთობა ამ ტრიადის წევრებს შორის ყოველთვის არ მოიაზრება კითხვით თუ როგორია მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება. იმის სტრატეგიულმა სურვილმა, რომ რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს ტერმინოლოგია ლექსიკოლოგიიდან გამოვყოთ და ცალკე დისციპლინად ჩამოვაყალიბოთ, მკვლევრები მიიყვანა ისეთ ცნების შემოღებამდე, როგორცაა ნეონიმი (neonym), რომელსაც ხშირ შემთხვევაში ნეოლოგიზმისაგან განასხვავებენ. საინტერესო იქნებოდა ამ თვალსაზრისით, გვცოდნოდა როგორია ნეოლოგიზმების სპეციალისტების სულ მცირე დაინტერესება მაინც სინტაგმატური ან ტერმინოლოგიური კონსტრუქციით სემანტიკური ნეოლოგიზმისათვის, თუმცა კორპუსში ამ ორი ფენომენის გამოვლენა არც თუ ისე ადვილია და ამ საქმეში ვერც ლინგვისტური ინჟინერია გვიწევს დახმარებას.

ზოგიერთი სპეციალისტი ნეოლოგიზმს მიიჩნევს ნასესხების ოფიციალურ კონკურენტად. ნასესხებისა, რომელიც ყოველთვის განიხილება როგორც უუფლებო, არასასურველი (malvenu) ვინაიდან მისი წარმოშობის წყარო „გარეგანი“ (externe) მატრიცაა. ისმება კითხვა: ამ შემთხვევაში უნდა დავინახოთ თუ არა კონკურენცია ე.წ. „მთარგმნელობით“ ნეოლოგიზმსა და „ოფიციალურ“ ნეოლოგიზმს შორის? აღსანიშნავია, რომ გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოებში ნაკლები ყურადღება ექცევა ნეოლოგიზმების თარგმნის კოგნიტიურ, სოციოლოგიურ, თვით ეკონომიკურ ასპექტებსაც. ამ შემთხვევაში ისმის კიდევ ერთი კითხვა: დიდი ტერმინოლოგიური მონაცემების ბაზების შინაარსის გადაჭარბებული საკრალიზაცია ხომ არ მიგვიყვანს სპეციალიზებულ ენაში არაადეკვატური ეკვივალენტების გავრცელებამდე, რომლებიც სპეციალისტის თვალში ნეოლოგიზმად შეიძლება ჩაითვალოს (ჯაში2003:34).

თუ ამ პრობლემას ევროპის ფარგლებში განვიხილავთ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ევროკავშირის ტრაქტატის“ 55-ე მუხლის შესაბამისად ევროპის მამებმა თითოეულ ენას შესაბამისი სტატუსი დაუდგინეს. თუმცა მიუხედავად არაერთი მსჯელობისა ლინგვისტური მრავალფეროვნების დაცვისა და განმტკიცების შესახებ, ევროკავშირის ინსტიტუტებს არ განუვითარებიათ ვოლუნტარისტული პოლიტიკა ლინგვისტური მოწყობის კუთხით. მათ ეს საკითხი სახელმწიფოებს, ან როგორც ბურდიუ (Bourdieu) იტყოდა, „ლინგვისტურ ბაზარს“ მიანდეს. ევროკავშირმა ძალიან ცოტა პროექტი დააფინანსა, რომლებიც ეხება ენების დინამიკისა და მთარგმნელობითი ნეოლოგიზმის პრობლემატიკას. იმავდროულად ოფიციალური ტექსტები სულ უფრო და უფრო ხშირად მხოლოდ ინგლისურ ენაზეა შედგენილი, რაც აიძულებს მთარგმნელს ხელი მიჰყოს ძალზე დელიკატურ მეორეულ ფორმაციას მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებითაც ისინი აღჭურვეს. შესაბამისად, სავსებით კანონზომიერად ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ერთგვაროვანია ამ ტექსტების ინტერპრეტაცია. თუ გავითვალისწინებთ მათი წაკითხვის მრავალგვარობას (plural reading), რასაც ენათა და კულტურათა მრავალფეროვნება განაპირობებს და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი არასოდეს არის საბოლოო და ამომწურავი, ის ყოველთვის ღიაა იმისათვის, რომ მას არაერთგზის დავუბრუნდეთ. თარგმნი არის ჰერმენევტიკა იმ გაგებით, რომ მისი ჩაწერა ისტორიაში მუდმივად ხელახლა

წარმოაჩენს ორიგინალს (ჩვენ მას იმდენჯერ ვუბრუნდებით, რამდენჯერაც ხელახლა ვუბრუნდებით თარგმანს). ვინაიდან ორიგინალთან ყოველი ახალი მიბრუნების დროს აღმოვაჩენთ მისი გაგების ახალ წყაროებს, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელობებს შორის არსებულ მოულოდნელ ურთიერთობებთან.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორი თარგმანის განხორციელება შეიძლება ორიგინალის სწორი გაგების შემთხვევაში. თუმცა ორიგინალის სწორი გაგება როდი ნიშნავს სწორედ თარგმნას. პოლიტიკურ სტატიებში ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მიზნით ფრთოსანი გამონათქვამები, ციტატები, ყოველთვის უნდა მოიძებნოს ციტატის შესაბამისი თარგმანი. არ შეიძლება მთარგმნელმა თავისი სიტყვებით თარგმნოს ციტატა თუ ის რომელიმე ნაწარმოებიდანაა ამოღებული.

თავი III

თეორიული ცნებები

§ 3.1. სამართალმცოდნეობის ცნება

ტერმინი სამართალმცოდნეობის ცნება, იგივე იურისპუდენციის განმარტება და განსაზღვრა არ არის მარტივი ამოცანა და არსებობს მისი მრავალი დეფინიცია. მისი შინაარსი არის საკმაოდ ვრცელი და კომპლექსური.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით სამართალმცოდნეობა თავის თავში მოიცავს სამართლის შესახებ მეცნიერებათა ერთობლიობას; იურისტების პრაქტიკულ საქმიანობას, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებს.

სამართალს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. სამართალი ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების რეგულირების მიზნით;
2. სამართლის ნორმის, როგორც ქცევის ზოგადსავალდებულო წესის, მოქმედება ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე;
3. სამართალს ახასიათებს მოქმედების პრეტენზია;
4. სამართლის ნორმას ახასიათებს იძულებით განხორციელების შესაძლებლობა.

სამართალი შეიძლება განვმარტოთ, როგორც ნორმათა ერთობლიობა, რომლის დაცვაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებით (ხუბუა2004:39).

ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, იურისპუდენცია არის მეცნიერება სამართლის შესახებ.

სამართალი არ არსებობს საზოგადოების გარეშე და საზოგადოება სამართლის გარეშე. ისინი ერთად მოიაზრებიან (ალექსიძე2010:39).

§ 3.2. იურიდიული ტერმინის ცნება

კონცეპტი არის საგნების აბსტრაქტული და ზოგადი მენტალობების ერთგვარი წარმოჩენა. სამართლის შემთხვევაში იურიდიული ტერმინის კონცეპტი შეიძლება განსაზღვრავდეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ რეალობებს და ობიექტურ სამართალს. ეს არის ინტელექტუალური პროცესი, რომელსაც მივყავართ კანონის, იურიდიული პრაქტიკის, იურისპრუდენციის დაკვირვებამდე. ეს პროცესი განსაკუთრებულად რთულია, რადგან ეს ეყრდნობა ხშირად ცვალებად და წინააღმდეგობრივ პროცესს.

იურიდიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რომ ყველა სამართლებრივი კონცეპტი ეფუძნებოდეს იმ ატრიბუტებს, რომლებსაც ატარებს. მან უნდა აღწეროს მიზეზი, საბაზი და დააკავშიროს განსხვავებული კრიტერიუმები. ამგვარად, მან უნდა მოახდინოს კონცეპტის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიკაცია და განსაზღვროს მათი ორმხრივი კავშირები (ალექსიძე2010:44).

§ 3.3. ტერმინოლოგია

სიტყვა ტერმინოლოგია არის პოლისემიური. ის აღნიშნავს:

1. დისციპლინას, რომელიც ეხება სპეციალიზებულ ტერმინებს;
2. პრაქტიკას, ანუ ერთობას იმ გამოყენებული პრინციპებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ტერმინების თავმოყრას და მათ გამოყენებას.
3. ერთი სპეციალობის სფეროს ტერმინების გაერთიანება.

ყველა სფეროს საკუთარი ტერმინოლოგია. მეცნიერება არ არსებობს ტერმინოლოგიის გარეშე. ჩვენ შეიძლება ტერმინოლოგია განვსაზღვროთ, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს ტერმინების სტრუქტურას, ფორმაციას, განვითარებას და გამოყენებას სხვადასხვა სფეროში (ალექსიძე2010:48).

§ 3.4. ტერმინი

სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც ზუსტად აღინიშნება მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში გარკვეული ცნება (საგამომცემლო ლექსიკონი2004:301-304).

§ 3.5. ცნება

ცნება, მენტალური კატეგორია, რომელიც გამოიყენება მოვლენების, ობიექტების, სიტუაციების, ქცევისა და ადამიანთა კლასიფიკაციისთვის იმის შესაბამისად, რაც აღიქმება (ან მიიჩნევა) ზოგად თვისებებად: აზროვნების ფორმა ან აზრი, რომელიც საგნებსა (სინამდვილის მოვლენებს) და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ--ცნობარი:2004)

დასკვნა

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცნებების განმარტება აუცილებელია მთარგმნელებისათვის. ეს მათ დაეხმარებათ იურიდიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყველა სამართლებრივი კონცეპტი უნდა ეფუძნებოდეს იმ ატრიბუტებს, რომლებსაც ის ატარებს. აუცილებელია, მთარგმნელებმა ერთმანეთისგან განასხვავონ ეს თეორიული ცნებები.

თავი IV

იურიდიული ენისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებები

§ 4.1. იურიდიული ენა

იურიდიული ენა მეცნიერულ ენათა რიგს განეკუთვნება და სპეციალიზებულია. იგი წარმოადგენს და გამოხატავს სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციას და ხაზს უსვამს მის გამაერთიანებელ ხასიათს ფრანგულ სამართალში „მულტიდისციპლინური“ გარე სამყაროს პირდაპირ, როგორც სპეციფიკური დისკურსის ინსტრუმენტი. იურიდიული ენა ითვლება ერთ-ერთ რთულ ენად სპეციალობის ენებს შორის. მისი შემადგენელი ელემენტები ტერმინოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა თუ სტილი საკმაოდ რთულია და მოითხოვს სიღრმისეულ ცოდნას.

იურიდიული თარგმანი ეხება სამართალმცოდნეობის სფეროს. სამართალმცოდნეობა კავშირშია ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ მახასიათებლებთან, იგი წარმოადგენს ცალკე დარგს. მყარ პრაქტიკულ საჭიროებებს პასუხობს იურიდიული თარგმანი, რომელიც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სამართლის ზოგადი თეორიის მხრივ. არასოდეს კარგავს აქტუალობას იურიდიული თარგმანი, ის ხშირი მოვლენა იყო წარსულშიც და რჩება დღესაც (ალექსიძე 2006:60).

მხოლოდ იურისტებისათვის წარსულში განკუთვნილი იყო მკვდარ ენაზე შედგენილი ტექსტების თარგმანი (მაგალითად, ლათინური ტექსტები) და მაღალი ხარისხის ნაშრომებიც სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა. ამჟამად უფრო მიდგომებს წამოჭრილი პრობლემები ეხება დროსა და სივრცეში.

სხვადასხვაა იურიდიული თარგმნის მიზნები: სამართლებრივი დოკუმენტი (კონტრაქტი, ანდერძი) ან დაწერილი სამართლის წესი (კანონი, ხელშეკრულება, ბრძანება, წესდება..). იურიდიული ტერმინოლოგია შეადგენს ტექნიკურ ენას, რომელსაც იყენებს იურისპრუდენცია და იურისტთა სამყარო საყოველთაო ენის საპირისპიროდ, რომლისგანაც ის განსხვავდება სინტაქსური და სტილისტური თავისებურებებით. მისი მთავარი წყარო

წერილობითი დოკუმენტაციაა, იქნება ეს ოფიციალური დოკუმენტები (კანონი, ტრაქტატები, სამართლებრივი გადაწყვეტილებები) თუ არა (კონტრაქტები, ანდერძები, აზრთა გაზიარებები...). იურიდიული ტერმინოლოგიის ეს თავისებურება მრავალ პრობლემას უქმნის მთარგმნელს, განაკუთრებით როცა საქმე ეხება ტექსტის გაგებასა და ინტერპრეტაციას, გარდა ამისა, ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის როგორც კონცეპტუალურ პლანში (რასაც განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს კანონების თარგმანი ბილინგვურ ქვეყნებში (მაგ., კანადაში), საერთაშორისო შეთანხმებებისა და ისეთი დოკუმენტების თარგმანი, როგორცაა ნოტარიული აქტები), ასევე ფორმის თვალსაზრისით(მათეშვილი 2003: 59).

იმისათვის, რომ მთარგმნელს მის საქმიანობაში დაეხმაროს და მოამარაგოს ის აუცილებელი ხერხებით და საშუალებებით, რომლებიც მას ასე აკლია, შეიქმნა ორი ორგანიზაცია: ერთი – ევროპაში, ხოლო მეორე – კანადაში. პირველის მთავარი ფუნქციაა ევროკომისიის ხელშეწყობით სამართლის ტერმინოლოგიის ლექსიკონების შედგენა ენების წყვილების მიხედვით (გერმანულ-ფრანგული, ინგლისურ-ფრანგული, გერმანულ-ესპანური...) მეორეს მთავარი ფუნქციაა ტერმინოლოგიური კვლევების საერთაშორისო ცენტრის შექმნა, რომელიც გაერთიანდა INFOTERM-ში.

§ 4.2. პოლისემია

არ უნდა დაგვავიწყდეს პოლისემიის ცნება იურიდიული ტერმინებისა თუ იურიდიული ტექსტების თარგმანის დროს, რომელიც განიხილება როგორც მთავარი დაბრკოლება იურიდიული ენის „სიცხადისათვის“. „ერთი სიტყვა ერთი იდეის გამოსახატავად, ერთი იდეა თითოეული საგნისთვის“. ასეთი იყო მათი დევიზი, რომელთაც მოისურვეს იურიდიული ენის ორგანიზება როგორც მეცნიერული ენისა, მაგრამ „ზუსტი“ მეცნიერებებისგან განსხვავებით, რომლებშიც სპეციფიკური ტერმინების პოლისემიურობა შედარებით მცირეა, სამართალი მოიცავს ძალზე მრავალფეროვან რეფერენტულ სამყაროებს, ენის დონეებისა და გამონათქვამის წყაროებს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პოლისემების გამოჩენა. ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს სამართლის ენის სპეციფიკურობა სხვა სპეციალობების ენებთან შედარებით.

როდესაც საქმე ეხება იურიდიული ტექსტების თარგმანს ან სხვადასხვა ენების იურიდიული მონაცემების ბაზის გამოყენებას, სამართლის ამ მახასიათებელს მოყვება მზარდი სირთულეები,

პოლისემია იურიდიულ ტექსტში სვამს ძირითადად ინტერპრეტაციის პრობლემას. მართლაც, როგორ უნდა გავიგოთ მსჯელობის კონტექსტში გამოთქმა Contradictory Report, 矛盾报告 (Máodùn bàogào) წინააღმდეგობრივი ოქმი: საქმე ეხება ოქმს, რომელიც სხვას ეწინააღმდეგება (ზოგადი მნიშვნელობა სიტყვისა „წინააღმდეგობრივი“) თუ ოქმს, რომელშიც სასამართლოს წინაშე წარსდგნენ სხვადასხვა მხარეები.

დიდი ხანია, იურისტები ცდილობენ ამ სირთულეების გადალახვას სამართლის შემუშავებისა და შედგენის ნორმალიზების საშუალებით. მათ რამდენიმე გამოსავალიც კი შემოგვთავაზეს:

– კომპოზიტების შედგენა, მაგ. seizure stop, 扣押停止 (Kòuyā tíngzhǐ) ყადაღის შეჩერება, donation partage „შემოწირულობის ნაწილი“, 捐赠分享 (Juānzèng fēnxiǎng”);

– სიტყვათა ჯგუფის მთლიანად გამოყენება Foreign to France 出国到法国 „უცხოელი საფრანგეთში“ (Chūguó dào fàguó), action in justine ,法庭诉讼 , (Fǎtíng sùsòng)“სასამართლო პროცედურა“;

– არაბუნდოვანი სინონიმების გამოყენება: act 行为 (Xíngwéi) „ქმედება“ (გამოყენებული ზოგადი მნიშვნელობით) გახდება acting „, ability „, 代理 (Dàilǐ), 能力 Nénglì „ქმედება, უნარი“.

იურიდიული ენის გამარტივების მცდელობას ხშირად მივყავართ ახალი პოლისემების შექმნამდე; მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ (bailiff, (法警), (fǎjǐng) “მანდატური” არქაული და პოლისემიური ტერმინით act 行为 (Xíngwéi). ასევე უცხო ტერმინების (განსაკუთრებით ინგლისურის) გაჩინურება ხშირად ზრდის პოლისემების რაოდენობის გაზრდას ენაში.

ამასთან ერთად, ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ინტერპრეტაციის პრობლემები, რომლებსაც წარმოშობს პოლისემიური ტერმინი, იმ პრობლემებისაგან რომლებიც ბუნდოვანი სიტყვის გამო იქმნება. მართლაც, პოლისემიასთან საქმე გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა სტაბილურია და შესაბამისი დეფინიციები საკმაოდ გამოკვეთილია. ეს განსხვავება „ბუნდოვანსა“ და „პოლისემიას“ შორის სამართალში

არც თუ ისე რადიკალურია, ვინაიდან ის დიდი ხნის გამვალობაში ინტერპრეტაციის შესახებ კამათის წყარო იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიული ტერმინების თარგმანს, მაგალითად, თუ ვთარგმნით ინგლისური ან ჩინური ენიდან ქართულად, ართულებს ის, რომ ერთი და იმავე ტერმინს აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. იურიდიული ტერმინები ქართულ და ინგლისურ ენაში მთლიანად განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ აუცილებელია, ტერმინების კონტექსტში თარგმნა.

§ 4.3. ეკვივალენტები

იურიდიული თარგმნის ძირითადი სირთულეებია დენომინაციები, კონსტრუქციები და სემანტიკური თავსებადობა, შეთანხმება. ჩინური იურიდიული ლექსიკონი ინგლისურ ეკვივალენტებთან ერთად სწორედ ამ მიდგომას იყენებს.

ერთენოვანი ქვეყნის იურიდიული ტექსტის თარგმნა წარმოადგენს ერთგვარ გადასვლას ერთი იურიდიული კულტურიდან მეორეზე. ყველა ქვეყანას ხომ იურიდიული სფეროს საკუთარი სისტემა აქვს შემუშავებული. ამ შემთხვევაში მთარგმნელმა სპეციფიკური ცნების უნდა შეუდაროს წყარო კულტურას. ამ ინტერკულტურულ ტრანსფერს აადვილებს შემდეგი ოთხი სტრატეგია: ფუნქციური ეკვივალენტობა, ფორმალური ეკვივალენტობა, ტრანსკრიფცია და აღწერითი თარგმნა.

§4.4. ფუნქციური ეკვივალენტობა

ფუნქციური ეკვივალენტობის განხილვისას საქმე ეხება ინტერკულტურულ ადაპტაციას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი the cour d'Assises –roughly the equivalent of the English Crown Court’ 高等法院——大致相当于英国刑事法庭 (Gāo děng fǎ yuàn ——dàzhì xiāngdāng yú yīngguó xíngshì fǎtíng) „სისხლის სამართლის სასამართლო ეკვივალენტია ინგლისის სასამართლოსი“ (ჩალმერზი 1994:15);

In time conviction, 在时间上的信念 (Zài shíjiān shàng de xinniàn) “დროული გამჯავრდება” = being satisfied beyond reasonable doubt, 满足超越合理怀疑 (Mǎnzú chāoyuè hélǐ huáiyí) „კმაყოფილი გონივრული ეჭვს მიღმა“ (ბრიჯი,1994: 173); mortgage = 抵押贷款, (dīyā dàiikuǎn)

“ იპოთეკა“ (ბრიჯი, 1994: 152). ამ მაგალითის მიხედვით კარგად ჩანს, რომ არსებობს განსხვავებები კონოტაციის და დეტონაციის ზემოთ მოცემულ ორ რეფერენტებს შორის, მაგრამ თარჯიმანმა უნდა დაარწმუნოს, რომ ეს განსხვავებები მისაღებია მოცემული კონტექსტისათვის.

ეს ხერხი არის ესთეტიკურად დამაკმაყოფილებელი, რადგან ტერმინი როგორცაა Crown Court, 刑事法庭 (Xíngshì fǎ tíng), „სამეფო სასამართლო“ ავთენტურია (ნამდვილი, სარწმუნო) ინგლისური ენის მცოდნე მკითხველისთვის. ეს ქმნის გარკვეულ სირთულეს მთარგმნელსა და მკითხველს შორის. მკითხველისათვის ნაცნობი ტერმინი მას საშუალებას აძლევს გაიგოს მინიმალური, ან ყოველ შემთხვევაში იქმნის მიხვედრის (გაგების) ილუზიას. იურიდიული ენის ზოგიერთი სპეციალისტისათვის ეს მიიჩნევა როგორც იდეალური თარგმნის მეთოდი. თუმცა უფრო რეალურად რომ შევხედოთ, ეს მეთოდი უფრო გამართლებული იქნებოდა რომანის ან გაზეთის სტატიის სათარგმნად, ვიდრე იურიდიული ტექსტების, რადგან ეს გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ეს მეთოდი იძლევა ასევე ანონალიებს, როგორც შემდეგ მაგალითშია: Queen ' s counsel, 英国王室法律顾问 (Yīngguó wángshì fǎlǚ gùwèn) „სამეფო სასამართლო“ (გუსდორფი 1993:85).

იდეოლოგიური თვალსაზრისით, ეს ხერხი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ეთნოცენტრიზმი, როცა ვთარგმნით ერთი ქვეყნის ენიდან, რომელშიც გამოყენებულია პოლიტიკურ ეკონომიკური უპირატესობა, ფორმალური ეკვივალენტობა არის მიჩნეული, როგორც კულტურული იმპერიალიზმის ფორმა და წარმოადგენს დომინანტი ენის პერსპექტივას.

ხოლო, თუ ვთარგმნით რომელიმე ლინგვისტურ უმცირესობის გაერთიანების ენას, ეს მეთოდი ხდება საშუალება დამტკიცდეს მისი კულტურული იდენტობა. ამისი ნათელი მაგალითია კანადის ორენოვანი პროვინციები (კვებეკი და ა.შ.).

§ 4.5. ფორმალური ეკვივალენტობა

ფორმალური ეკვივალენტობა, სადაც საქმე ეხება «ლინგვისტურ» ეკვივალენტობას, რომელიც ნიშნავს უფრო სალიტერატურო თარგმანს, თუ ეს შესაძლებელია. მაგალითად, constitutional council = 宪法委员会 (Xiànfǎ wěiyuánhui) „საკონსტიტუციო საბჭო“ (კერნზი და მაკეონი 1995: 109); notary = 公证 (Gōngzhèng) „სანოტარო“ (დიქსონი 1994: 33). ენის ან ისტორიის მოულოდნელი შემთხვევითობები ქმნიან ფორმალურ ეკვივალენტობას, რომელიც ხანდახან ქმნის ასევე ფუნქციურ ეკვივალენტობას შესაძლო ანაქრონიზმთან; მაგალითად, court of appeal = 上诉法院 (shàngsù fǎyuàn) „სააპელაციო სასამართლო“; police court = 警察法庭 (Jǐngchá fǎtíng) (actuallement Magistrates' court) „პოლიციის სასამართლო“; Assize Court = 巡回法院 (Xúnhuái fǎyuàn), “ასიზების სასამართლო” (remplacée en 1971 par la Crown Court).

თარგმნის ამ მეთოდის მომხრე თუ მოწინააღმდეგე არგუმენტები არის იმის საპირისპირო, რომლებიც წარმოდგენილი არიან ფუნქციონალური ეკვივალენტობის მისამართით. შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი უპირატესობები:

- ის არის გამჭვირვალე და ნათელი, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სირთულეების გარეშე ტერმინების წარმოშობა;

- ის გამოხატავს და მოიცავს ყველაზე დიდ პატივისცემას ენისა და კულტურის, რომელიც არის წარმოდგენილი კულტურული იმპერიალიზმის ანტიპოდების მიმართ, ფუნქციონალური ეკვივალენტობასთან მიმართებით.

ეს მეთოდი მოიცავს ასევე უარყოფით მახასიათებლებსაც.

- კალკები, როგორცაა: 预防性拘留 (Yùfáng xìng jūliú) = detention preventive = “პრევენციული დაკავება” =, Correctional Court = tribunal correctionnel = 矫正法院 (jiǎozhèng fǎyuàn) “აღმზრდებლობითი სასამართლო”, delicts = 违法行为 (wéifǎ xíngwéi), “დელიქტი” რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მთარგმნელის უარყოფითი სურათი, რომელიც ძალიან ჰგავს ორიგინალის ტექსტის ასლს, მიწებებულია მასზე.

- მსგავსი ეკვივალენტები ქმნის გაუცხოების განცდას, შეგრძნებას მკითხველის თვალში. მაგალითად, ინგლისური ტერმინი an instruction (ფოლგერი 1989: 10),

გამოყენებულია როგორც ეკვივალენტი ჩინური სიტყვისა 条指令 (Yítiáo zhī lìng) („ინსტრუქცია“), შეიძლება ნიშნავდეს „წესსაც“ და ა.შ.

§ 4.6. ტრანსკრიფცია

ეს მეთოდი ემსახურება ძირითად ტერმინის წარმოებას, ისე რომ მას მუდმივად ემატება კომენტარი პირველად გამოჩენის (გამოყენების) შემდეგ: მაგალითად, the Cours d'assies – the courts that try such serious crimes as murder, rape and robbery. “სისხლის სამართლის სასამართლო განიხილავს ისეთ მძიმე დანაშაულებს, როგორებიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება და ძარცვა.” 高等法院——审判谋杀、强奸和抢劫等严重罪行的法院 (Gāo děng fǎ yuàn - shěn pàn móu shā, qiáng jiān hé qiǎng jié děng yán zhòng zuì xíng de fǎ yuàn).” (სეიჯი 1996: 35). თუ ტერმინი არის გამჭვირვალე ან თან ახლავს ახსნა, ამ შემთხვევაში კომენტარი აღარ არის აუცილებელი: Less serious crimes, such as theft, are tried by three judges alone in the Tribunal correctionnel.” 不太严重的罪行，如偷窃，只由三名法官审理，由审判庭惩戒教官审理。” (Tài yán zhòng de zuì xíng, rú tōu qiè, zhǐ yóu sān míng fǎ guān shěn lǐ, yóu shěn pàn tíng chéng jiào guān shěn lǐ. ") „პირველი ინსტანციის სასამართლოს სამი მოსამართლე განიხილავს ისეთ დანაშაულებს, რომლებიც ნაკლებად მძიმეა, მაგალითად: ქურდობა“ (სეიჯი, 1996: 35).

ეს მიდგომა არ ქმნის ორაზროვნების არანაირ რისკს. ასე რომ ის არის სასარგებლო რამ სპეციალისტისათვის. რაც შეეხება ტერმინზე კომენტარს, ეს არის კარგი საშუალება და შემთხვევა აუხსნას მკითხველს სხვადასხვა მნიშვნელობა ორ სისტემას შორის, მაგალითად: civil party application = mechanism enabling the victim of a crime to add an action for civil damages to the criminal proceedings“ 民事当事人适用=使犯罪受害人能够在刑事诉讼中增加民事损害赔偿诉讼的机制.” (Mín shì dāng shì rén shì yòng = shǐ fàn zuì shòu hài rén néng gòu zài xíng shì sù sòng zhōng zēng jiā mín shì sǔn hài péi cháng guān sòng de jī zhì) “სამოქალაქო მხარის აპლიკაცია=მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მსხვერპლს იმ ზიანის მიყენებისთვის რაც სისხლის სამართლის საქმის წარმოებისთვის არის“ (კერნზი და მაკეონი 1995:202).

§ 4.7. აღწერითი თარგმანი

ეს მეთოდი ემსახურება კულტურული თავისებურების ახსნას ჟანრული ტერმინების გამოყენებით. ამგვარად, ტრილოგია contraventions, delits, crimes არის მიღებული შემდეგი ეკვივალენტებისგან minor offences, major offences and serious crimes = 轻微罪行, 重大罪行, 严重罪行 (Qīngwéi zuìxíng, zhòngdà zuìxíng, yánzhòng zuìxíng) = “უმნიშვნელო დანაშაულები, ძირითადი სამართალდარღვევები და სერიოზული დანაშაულები” (უესტონი 1991: 119) ან minor infringements, intermediate offences and serious crimes = 未成年人侵权行为, 中间的罪行, 严重的罪行 (Wèi chéngnián rén qīnquán xíngwéi, zhōngjiān de zuìxíng, yánzhòng de zuìxíng) “უმნიშვნელო დარღვევები, საშუალო სამართალდარღვევები და სერიოზული დანაშაულები” (კერნზი და მაკეონი 1995: 147). ამ ხერხის ძირითადი უარყოფითი მხარე არის ის, რომ ხშირად რთულია, მოძებნო ლაკონიური და ზუსტი, ნათელი ფორმულაცია.

ეს ნიშნავს, რომ როდესაც ვახერხებთ, ვიპოვოთ ზუსტი და ნათელი თარგმანი, ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავაკავშიროთ სიზუსტე კითხვის სიადვილესთან.

შესაძლებელია ამ ოთხი მეთოდის გადაადგილება ერთ კონტინუუმში (სივრცეში): ერთ უკიდურესობაში მდებარეობს ის ხერხები, რომლებიც ორიენტირებულები არიან წყარო ენაზე (ტრანსკრიფცია, ფორმალური ეკვივალენტობა), მეორე უკიდურესობაშია მოთავსებული ის ხერხები, რომლებიც ორიენტირებულია სათარგმნ ენაზე (ფუნქციონალური ეკვივალენტობა) მაშინ, როდესაც აღწერითი თარგმანი მდებარეობს ამ ორ პოლუსს შორის. ეს სქემა ირეკლავს შედარებითი სამართლის ტენდენციებს, რომლებიც შეიძლება იყოს ორიენტირებული წყარო სისტემაზე ან სამიზნე სიტემაზე. არჩევანი ამ ორ შესაძლო საშუალებს შორის ეფუძნება იდეოლოგიურ თუ ესთეტიკურ კრიტერიუმებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაციურს.

ამდენად, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მიმღები ადრესატის იდენტობა და მოლოდინები (ლინგვისტური ვარიანტი, ცოდნის დონე) და ნათარგმნი დოკუმენტის ფუნქცია, დანიშნულება, რაც შეიძლება სულაც არ ემთხვეოდეს ორიგინალს. მაგალითად, გარანტიის თუ საერთაშორისო კონტრაქტის შემთხვევაში, თუ ნათარგმნი ტექსტი შექნილია იმისათვის, რომ მისცეს მას იურიდიული ეფექტი, ამ შემთხვევაში მთარგმნელი თავის სტრატეგიებს მიმართავს იმ ენისკენ, რომელზეც ასრულებს თარგმანს; ამის საპირისპიროდ, თუ თარგმანი პასუხობს უბრალოდ ინფორმაციის მიღების საჭიროებას, აქ დაჭერილი უნდა

იქნას მთავარი აზრი, სასურველია რეფორმულაცია მოხდეს საწყის ენაზე, ამ შემთხვევაში ნათარგმნი იქნება როგორც ორიგინალის მარტივი კომენტარი.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ იურიდიული ენა მეცნიერულ ენათა რიგს განეკუთვნება, ის არსებობს როგორც სპეციალიზებული ენა. იურიდიული ენა წარმოადგენს და გამოხატავს სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებულ მრავალ ფუნქციასთან ერთად და ხაზს უსვამს მის გამაერთიანებელ ხასიათს ინგლისურ ჩინურ და ქართულ სამართალში მულტიდისციპლინური გარე სამყაროს პირდაპირ, როგორც სპეციფიკური დისკურსის ინსტრუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული ენა მიიჩნევა ერთ-ერთ რთულ ენად სპეციალობის ენებს შორის.

თავი V

ქართული, ინგლისური და ჩინური ენის სინტაქსის შედარებითი ანალიზი

§ 5.1. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი თავისებურებები

ოფიციალურ-საქმიანი ენის სინტაქსი ეფუძნება ნორმებს და საერთო ენობრივ პრინციპებსა, მაგრამ, ტექსტის აგების სტრუქტურასა და წესს უმეტესად განსაზღვრავს საქმიანი დოკუმენტების სტილი, ოფიციალურ-საქმიანი ენის სინტაქსისთვის დამახასიათებელია ნიშან თვისებები

რამდენადაც წინადადებაში გამოთქმული აზრის მიზანი სხვადასხვაგვარია, წინადადებათა ტიპები საინტერესოა მოდალობის მიხედვით, ოფიციალური დოკუმენტები გადმოგვცემს ინფორმაციას, გამოხატავს ნება-სურვილს ან ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან, დავალებას. ოფიციალურ ტექსტებში გამოყენებული წინადადების შინაარსიდან ვადგენთ, რომ ეს წინადადებები გამოხატავს დავალებას, მეორე პირისგან მოითხოვს შესრულებას. სამართლებრივ დოკუმენტებში თხრობითი და ბრძანებითი წინადადებებია მოდალობის მიხედვით მიღებული. მოდალობით გადმოიცემა, მთქმელის დამოკიდებულება სინამდვილესთან, რეალობასთან სხვადასხვა საშუალებით. უტყუარობას, დადასტურებას გამოხატავს თხრობითი სახის სამართლებრივი დოკუმენტები. მთავარია მთქმელმა გადმოსცეს უტყუარი, ნამდვილი ფაქტი. ამ სტილის წინადადებებს ვხვდებით ძირითადად სამართლებრივ დოკუმენტებში. მეორე პირისადმი მიმართული მთქმელის გადაწყვეტილება სამართლებრივ ტექსტებში, ასევე მნიშვნელოვანია. ასეთი წინადადებები გადმოგვცემს ბრძანებას, რომელიც მეორე პირმა, ადრესატმა უნდა შეასრულოს. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა აიგოს ოფიციალურ-სამართლებრივ ტექსტებში წინადადებები (ლომია 2016:117)

§ 5.2. ქართული, ინგლისური და ჩინური დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები

§ 5.2.1. ქართული ენის სინტაქსი

სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა შეკავშირების წესებს და არკვევს სიტყვაფორმის ფუნქციას წინადადებაში. სინტაქსი გრამატიკის ნაწილია და შეისწავლის წინადადებას, წინადადების წევრებს და მათ ურთიერთკავშირს.

წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. წინადადება განისაზღვრება როგორც შესიტყვება, ქართული ენის მორფოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, რომელსაც უმთავრესად ქმნის უღლებადი სიტყვა ზმნა და მასთან დაკავშირებული სახელები.

წინადადებაში შემავალ სრულმნიშვნელოვან სიტყვას წინადადების წევრი ჰქვია. ქართულ ენაში, სინტაქსის თანახმად, წინადადების წევრებია: ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი, ირიბი, უბრალო დამატებები, განსაზღვრება და გარემოება. ამათგან ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატებები მთავარი წევრებია, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი.

მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები ერთმანეთთან სინტაქსურ წყვილებს (სინტაგმებს) ქმნიან.

შეთანხმება ჰქვია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარ სიტყვას.

მართვა ეწოდება სინტაქსური ურთიერთობის ისეთ სახეს, რომლის დროსაც მთავარი სიტყვა დაქვემდებარებულისაგან იმ ფორმას მოითხოვს, რომელიც მას არა აქვს.

მართვა შეკავშირების ისეთ სახეს ეწოდება, როდესაც ძირითადი სიტყვა დამოკიდებულს მხოლოდ, შინაარსობრივად, აზრობრივად იკავშირებს. თუ დაქვემდებარებული სიტყვა ფორმაუცვლელია, მაშინ ამგვარი შეკავშირებაა შესაძლებელი.

ქართულ ენაში ზმნა განსაზღვრავს წინადადების სინტაქსურ მექანიზმს. ქართული ზმნა ან ერთპირიანია, ან ორ- და სამპირიანი.

აბსოლუტურზმნიანი წინადადების მექანიზმს ქმნის მართვა, სუბორდინაცია (*ზის იგი, შენდება ის*). სახელი, მორფოლოგიურად დაკავშირებული ზმნასთან, მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.

რელატიურზმნიანი წინადადება ორი სახისაა: გარდამავალზმნიანი (*აშენებს ის მას, სთხოვს ის მას მას*) და გარდაუვალზმნიანი (*ემალება ის მას, უშენდება ის მას*).

რელატიურზმნიან წინადადებაში მართვის ადგილს იჭერს კოორდინაცია. როდესაც ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების (სუბიექტისა და ობიექტის) ბრუნვებს, სახელები თავის მხრივ მართავენ ზმნის პირს და ითანხმებენ რიცხვს ამას ეწოდება კოორდინაცია. კოორდინაციის ცენტრი არის, ზმნა-შემასმენელი იგივე ძირითადი კოორდინატი, სახელები – კოორდინატები, რომლებიც სამი სახისაა: დიდი, მცირე და უმცირესი.

დიდია ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.

მცირეა ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვს.

უმცირესია ის კოორდინატი, რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს.

შესაბამისად, კოორდინატთა სხვადასხვა საფეხურზე გადანაწილებიან ზმნასთან დაკავშირებული სუბიექტური, ირიბობიექტური და პირდაპირობიექტური პირები. მაგალითად, გარდამავალზმნიან წინადადებაში *მან სთხოვა მას იგი – მან* დიდი კოორდინატია, *მას* – მცირე კოორდინატი, *ხოლო იგი* – უმცირესი; გარდაუვალზმნიან წინადადებაში *ის ემალება მას – ის* დიდი კოორდინატია, *მას* – მცირე კოორდინატი.

წინადადების არამთავარ წევრები, შეიძლება დახასიათდეს ასე:

ზმნა-შემსმენელს ან ზმნური წარმოშობის სხვა რომელიმე წევრს ახლავს უბრალო დამატება. ის მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში დასმული თანდებულიანი თუ უთანდებულო სახელებით გადმოიცემა. მეტად მრავალფეროვანია ქართულში უბრალო დამატება, მისი კითხვებია: ვისი (ქმნილი)? რისა? რით? რაზე? ვისზე? ვისში? რასთან? ვისგან? და სხვა (ჩიქობავა 1998:70-89).

განსაზღვრება ახლავს სახელს და ახასიათებს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? რანაირი? სადაური? როდინდელი? რამდენი? მერამდენე? ვისი? რისა?

მოქმედების *ადგილს, დროს, როგორობას, მიზეზსა და მიზანს* აღნიშნავს გარემოება. მისი კითხვებია: სად? რატომ? როდის? რისთვის? როგორ? გარემოება ხუთი სახისაა: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის.

განკერძოებულ სიტყვებსა და გამონათქვამებს უწოდებენ წინადადებაში ისეთ გამონათქვამებს და სიტყვებს ხშირად, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს, განკერძოებული ადგილი უჭირავს და სასვენი ნიშნებით გამოიყოფა. ესენია: განკერძოებული გარემოება, განკერძოებული განსაზღვრება, ჩართული, დანართი, მიმართვა.

შინაარსის ანუ მოდალობის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და კითხვა-ძახილის.

აგებული მის მიხედვით წინადადება ქართულში სამი სახისაა: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივია წინადადება, რომელშიც მხოლოდ თითო მთავარი წევრია წარმოდგენილი. შემადგენელ მთავარ წევრთა მიხედვით ქართულში მარტივი წინადადება შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამ- და ოთხშემადგენლიანი.

შერწყმულია წინადადება, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება (მაგ.: რამდენიმე ქვემდებარე, რამდენიმე შემასმენელი, რამდენიმე დამატება და ა.შ.) და ისინი ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან (ჩიქობავა 1998:90-100).

რთულია წინადადება, რომელიც წარმოქმნილია ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადების შეერთებით. რთული წინადადება ორგვარია: თანწყობილი და ქვეწყობილი. თანწყობილი წინადადება შედგება სინტაქსურად თანასწორი წინადადებებისგან. ქვეწყობილი წინადადება შედგება სინტაქსურად არათანასწორი წინადადებებისგან, რომელთაგან ერთი მთავარია, მეორე – დამოკიდებული.

საკავშირებელი სიტყვების მეშვეობითაც და უკავშიროდაც შეიძლება რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა შეერთება. კავშირიანი შეერთების დროს

გამოიყენება: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზედები.

ფუნქციის მიხედვით დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რა როლს ასრულებს ის მთავართან მიმართებით, ფუნქციურად ის მთლიანად მთავარს მიემართება (მთავრის მიმართ დამოკიდებული: პირობითი, შედეგობითი...) თუ მთავრის რომელიმე წევრს (ქვემდებარული, პირდაპირდამატებითი, ირიბდამატებითი, განსაზღვრებითი, ადგილის გარემოებითი...).

§ 5.3. ინგლისური ენის სინტაქსი

თავისი შემადგენლობის მიხედვით, არსებობს წინადადების ხუთი ტიპი: მარტივი გაუვრცობელი, მარტივი გავრცობილი, რთული თანწყობილი, შერწყმული და რთული ქვეწყობილი.

1. მარტივი გაუვრცობელი წინადადება მხოლოდ მთავარი წევრებისაგან-ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შედგება.

David works. დავითი მუშაობს;

2. მარტივი გავრცობილი წინადადება ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა შეიცავს მეორეხარისხოვან წევრებსაც:

David works *at a factory*. დავითი მუშაობს ფაბრიკაში;

3. რთული თანწყობილი წინადადება შედგება ორი ან მეტი დამოუკიდებელი წინადადებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ან მაერთებელი კავშირებით, ან მათ გარეშე.

მთავარი მაერთებელი კავშირები შემდეგია: And, but, for (და, მაგრამ, რადგანაც);

He came home *and* I told him everything. ის გუშინ მოვიდა შინ და მე ყველაფერი ვუთხარი;

4. შერწყმული წინადადება შეიცავს რამდენიმე ქვემდებარეს ერთი და იმავე შემასმენელთან ან რამდენიმე შემასმენელს ერთი და იმავე ქვემდებარესთან:

რამდენიმე ქვემდებარე ერთი და იმავე შემასმენელთან:

Mother and father went to the village. დედა და მამა სოფელში წავიდნენ.

რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან.

We washed, dressed, and went to school. ჩვენ დავიბანეთ, ჩავიცვით და წავედით სკოლაში;

5. რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებისაგან:

We shall perform this task (Principal clause), if we work well (subordinate clause), if (subordinate conjunction).

ჩვენ შევასრულებთ ამ დავალებას, თუ კარგად ვიმუშავებთ. ჩვენ შევასრულებთ ამ დავალებას (მთავარი წინადადება). თუ კარგად ვიმუშავებთ (დამოკიდებული წინადადება), თუ (მაქვემდებარებელი კავშირი) (გახოკიძე 1994:197).

§ 5.3.1. ელიპტიკური (უსრული) წინადადება

წინადადება უსრულია, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (რომლებიც ადვილად იგულისხმება). ეს წინადადებები შეიძლება დაიშალოს რთულ ქვეწყობილ წინადადებად.

What time is it? *Two o'clock*. რომელი საათია? ორი საათია.

Is that clear? *Quite*. გასაგებია?. სრულიად.

§ 5.3.2. დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები

არსებობს დამოკიდებული წინადადების ხუთი ტიპი.

ესენია: ქვემდებარული დამოკიდებული, შემასმენლური დამოკიდებული, დამატებითი დამოკიდებული, განსაზღვრებითი დამოკიდებული და გარმოებითი დამოკიდებული წინადადებები.

1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შედის that, whether, if მაქვემდებარებელი კავშირებით ან who, what, which, where, how, why კავშირებითი სიტყვებით. ე.ი. ნაცვალსახელებით და ზმნიზედებით:

That he will come here is quite clear. (What is clear?) რომ ის აქ მოვა, სრულიად ნათელია. (რა არის ნათელი?)

2. შემასამენლური დამოკიდებული წინადადება ასრულებს შედგენილი შემასამენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შემოდის იმავე კავშირებითი სიტყვებით, რითაც ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება.

This is what I told you yesterday. ეს არის რაც მე გითხარი გუშინ.

3. დამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს დამატების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

იგი წინადადებაში შემოდის იმავე კავშირებითი სიტყვებით, რითაც ზემოთ აღნიშნული დამოკიდებული წინადადებები.

He says that he is busy. (What does he say?) ის ამბობს, რომ მოუცლელია. (ის რას ამბობს?).

1. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. იგი წინადადებაში შედის კავშირებითი სიტყვებით. ეს კავშირებითი სიტყვებია მიმართებითი ნაცვალსახელები who, whom, which, that, whose და ზმნიზედები where, how, why:

The girl who is sitting there is my sister. გოგონა, რომელიც იქ ზის, ჩემი დაა. (რომელი გოგონაა ჩემი და?);

2. გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს გარემოების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. თავისი შინაარსის მიხედვით გარემოებითი წინადადება შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის.

მთავარი ტიპებია დროისა, რომელიც წინადადებაში შედის when, as, after, till, before, as soon as, until და სხვა კავშირებით:

I go home when the lessons are over. მე მივდივარ სახლში, როცა გაკვეთილები მთავრდება. (როდის მივდივარ სახლში?);

ადგილისა, რომელიც წინადადებაში შედის when კავშირებითი სიტყვით:

They stopped where the river ran the sea. ისინი გაჩერდნენ სადაც მდინარე ზღვას უერთდებოდა. (სად გაჩერდნენ ისინი?);

მიზეზისა, რომელიც წინადადებაში შედის because, as, since, კავშირებით.

I cannot come because I have no time. (why can't I come) მე არ შემიძლია მოსვლა, რადგან დრო არ მაქვს. (რატომ არ შემიძლია მოსვლა?);

პირობისა, რომელიც წინადადებაში შედის I, supposing, provided, in case და სხვ. კავშირებით:

თუ დრო მექნა, თეატრში წავალ. If I have time I will go to the cinema.

გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებიც შემოდიან when, before, if, as soon as, after, until, suppose, provided, unless და სხვა კავშირებით, არც ერთი მყოფადი დრო არ იხმარება. მყოფადი მოქმედების გამოსახატავად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ერთ-ერთი აწმყო დრო:

როცა მოხვალ, საინტერესო წიგნს გაჩვენებ. When you come, I shall show you an interesting book (გახოკიძე 1994:197).

§ 5.3.4. წინადადების წევრები

წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი. ქვემდებარე ის წევრია წინადადებისა, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი. ქვემდებარე მიუგებს კითხვებზე ვინ? და რა?

ქვემდებარე შეიძლება გამოიხატოს:

1. არსებითი სახელით საზოგადო ბრუნვაში: დავითი კითხულობს – David is reading.
2. ნაცვალსახელით: ის მასწავლებელი – She is a teacher.
3. რიცხვითი სახელით: ათი ესწრებოდა გაკვეთილს – Ten were present at the lesson.
4. ზედსართავით ან მიმღობით, რომლებსაც აქვთ არსებითი სახელის ფუნქცია:

თეთრები დამარცხდნენ სამოქალაქო ომში – The whites were defeated in the Civil war.

5. ინფინიტივით ან გერუნდივით: ცურვა სასიამოვნოა – To swim is pleasant.

6. სახელზმნით: ბავშვის ტირილმა გამაღვიძა – The crying of the child awoke me.

7. ფრაზით: როგორ გავაკეთო ეს- ძნელი საკითხია. How to do this is a difficult task.

8. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებით: რაც მან გუშინ მითხრა, მართალი აღმოჩნდა. What she told me yesterday proved to be correct (გახოკიძე 1994:223).

§ 5.3.5. პირის ნაცვალსახელი IT როგორც ქვემდებარე

პირის ნაცვალსახელი it ქვემდებარის ფუნქციაში შეიძლება იყოს: 1. სრულმნიშვნელოვანი ქვემდებარის. იხმარება საშუალო სქესში მდგარი არსებითი სახელის შესაცვლელად: სად არის ჩემი წიგნი (საგანი)? ის მაგიდაზეა. Where is my book? (thing). It is on the table.

2. ფორმალური ქვემდებარე: უქვემდებარო წინადადებაში: მშვენიერი დღე იყო სათევზაოდ- It was a fine day for fishing.

§ 5.3.6. შემასმენელი

შემასმენელი წინადადების ის წევრია, რომელიც რაიმეს გვეუბნება ქვემდებარის შესახებ. იგი გამოხატავს ქვემდებარის მოქმედებას ან მდგომარეობას.

დავითი მუშაობს – David works.

1. მარიტივი შემასმენელი გამოხატულია ზმნის პირიანი ფრომით ნებისმიერ დროში, გვარსა და კილოში.

ის სწავლობს კარგად – She studies well;

2. შედგენილი შემასმენელი შედგება მაკავშირებელი ზმნისა და სახელადი ნაწილისაგან: მე მასწავლებელი ვარ – I am a teacher.

- ა) მაკავშირებელი ზმნა აკავშირებს ქვემდებარეს და სახელად ნაწილს. იგი გვიჩვენებს პირს, რიცხვს და დროს. ძირითადი მაკავშირებელი ზმნაა to be, to get, to grow, to feel, to become, to turn.
- ბ) სახელადი ნაწილი შეიძლება გამოიხატოს: 1. არსებითი სახელით საერთო ბრუნვაში: მე ექიმი ვარ – I am a doctor. 2. ნაცვალსახელით. 3. ზედსართავი სახელით. 4. რიცხვითი სახელით. 5. მიმღობით. 6. გერუნდივით. 7. ინფინიტივით. 8. ზმნიზედით. 9. შემასმენლური დამოკიდებული წინადადებით;
3. რთული ზმნური შემასმენელი შედგება ან მოდალური ზმნისაგან+ინფინიტივი ან მოქმედების დასაწყისის, განგრძობის გამომხატველი ზმნისაგან+ინფინიტივი ან გერუნდივი. მე შემიძლია იქ ახლავე წასვლა. I can go there at once.
4. ფრაზული შემასმენელი შედგება ზმნის პირიანი ფორმისა და არსებითი სახელისაგან. ის ზრუნავს ბავშვებზე – She take care of the children (გახოკიძე 1994:207).

§ 5.3.7. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები

წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებია: დამატება, განსაზღვრება და გარემოება (გახოკიძე 1994:223).

§ 5.3.8. დამატება

შემდეგი სახის დამატებანი არსებობს: პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, წინდებულობის დამატება და რთული დამატება.

1. პირდაპირი დამატება – წინადადების ის წევრია, რომელსაც ქვემდებარის მოქმედება პირდაპირ ეხება. იგი მოგვიგებს კითხვებზე: ვის? რა? რას?

პირდაპირი დამატება შეიძლება გამოიხატოს ა) არსებითი სახელით – I am reading a book. მე ვკითხულობ წიგნს. ბ) ნაცვალსახელით, გ) ინფინიტივით, დ) გერუნდივით, ე) რიცხვითი სახელით, ე) დამატებით დამოკიდებული წინადადებით;

2. ირიბი დამატება – წიანდადების ის წევრია, რომელსაც მოქმედება პირდაპირ არ ეხება:
ირიბი დამატება გამოიხატება. ა) არსებითი სახელით (საერთო ბრუნვაში) ბ) პირის
ნაცვალსახელით ობიექტურ ბრუნვაში;
3. წინდებულიანი დამატება – ზოგი ზმნა თავისი შინაარსის შესავსებად დამატებებს
მოითხოვს წინდებულებითურთ. ასეთ დამატებებს წინდებულიანი დამატება ეწოდება:
It all depends *on him* – ეს ყველაფერი დამოკიდებულია მასზე (გახოკიძე 1994:215).

§ 5.3.9. განსაზღვრება

განსაზღვრება წინადადების ის წევრია, რომელიც განსაზღვრავს ქვემდებარეს, დამატებას ან არსებითი სახელით გამოხატულ გარემოებას. იგი მოგვიგებს კითხვებზე: როგორი? ვისი? რომელი? რამდენი?

განსაზღვრება შეიძლება გამოიხატოს, ზედსართავი სახელით: The old man was glad to see me – მოხუც კაცს გაეხარდა ჩემი დანახვა. ნაცვალსახელით. არსებითი სახელით კუთვნილებით ბრუნვაში ან მისი ეკვივალენტით (of-ფრაზით). არსებითი სახელით, რიცხვითი სახელით, მიმღობით, ინფინიტივით (განსაკუთრებით სიტყვებთან soon, shortly, from). განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით (გახოკიძე 1994:218).

§ 5.3.10. გარემოება

გარემოება ის წევრია წინადადებისა, რომელიც აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს, დროს, მიზანს, მიზეზს, ხარისხს, ვითარებას, და სხვ.

ამგვარად გარემოება შეიძლება იყოს: ადგილისა: მე ვცხოვრობ თბილისში – I live in Tbilisi. დროისა, მიზნისა, მიზეზისა, ხარისხისა, ვითარებისა.

გარემოებანი შეიძლება გამოიხატოს ზმნიზედით: He speaks English well – ის კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. წინდებულიანი არსებითი სახელით (წინდებულიანი ფრაზით), მიმღობით, წინდებულიანი გერუნდივით, ინფინიტივით, გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით (გახოკიძე 1994:223).

§ 5.4. ჩინური ენის სინტაქსი

ჩინური ენის განმასხვავებელი თავისებურება ისაა, რომ მასში არ იცვლება სიტყვები მორფოლოგიურად პირის, დროის, სქესის, რიცხვისა თუ ბრუნვის მიხედვით. ამიტომ, ძირითადად, წინადადებაში სიტყვების თანმიმდევრობა განსაზღვრავს წინადადების შინაარსს. თუმცა წინადადებების მეტყველების ნაწილების თანმიმდევრობის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს შინაარსობრივი ცვლილება (ქართულ ენაში კი მეტყველების ნაწილების თანმიმდევრობა მკაცრად განსაზღვრული არ არის და მისი ცვლილება არ იწვევს შინაარსის ცვლილებას).

ჩინურ ენაში წინადადება, ჩვეულებრივ, იწყება ქვემდებარით, რომელსაც მოსდევს შემასმენელი ან მისი ფუნქციის შემსრულებელი დამატება ან დამხმარე სიტყვა, მაგალითად მარტივი წინადადების სტრუქტურა:

你好。Nǐ hǎo – გამარჯობა!

我很好。Wǒ hěn hǎo – მე კარად ვარ.

(我)也很好。(Wǒ) yě hěn hǎo მეც კარგად ვარ.

ამ წინადადებაში ქვემდებარეა 你 Nǐ „შენ“ და 我 Wǒ „მე“, 好 Hǎo „კარგად“ კი შემასმენლის მთავარი კომპონენტია. ზმნიზედები 也 Yě „ასევე“ და 很 Hěn „ძალიან“ დამხმარე სიტყვებია, რომლებიც შემასმენლის 好 Hǎo „კარგად“ შემადგენელი ნაწილებია. ზმნიზედა უსწრებს განსაზღვრებას (ჯიბლაძე 2015:7).

ჩინურ ენაში ზმნიზედა წინ ერთვის სიტყვას, რომელსაც ის ახასიათებს (ჩვეულებრივ, ზმნას ან ზედსართავ სახელს).

ჩინურ ენაში წინადადება შედგება შემდეგი მთავარი წევრებისაგან: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოება 他专心地写文章 Tā zhuānxīn dì xiě wénzhāng „ის ყურადღებით წერს სტატიებს“.

ქვემდებარე და შემასმენელი წინადადების მთავარი წევრები არიან. ქვემდებარე, ჩვეულებრივ, შემასმენლის წინ დგას. ქვემდებარე შეიძლება გამოხატული იყოს არსებითი სახელით, ნაცვალსახელით, ფრაზით და სხვა მეტყველების ნაწილებით.

არსებითი სახელი – 中国在亚洲东部。Zhōngguó zài yàzhōu dōngbù. „ჩინეთი აზიის დასავლეთით არის“.

ნაცვალსახელი – 他很热情。Tā hěn rèqíng. „ის ძალიან თბილი ადამიანია“.

ზმნა – 学习很重要。Xuéxí hěn zhòngyào. „სწავლა ძალიან მნიშვნელოვანია“.

ზედსართავი სახელი – 细心是他的特点。Xìxīn shì tā de tèdiǎn. „ყურადღება მისი თვისებაა“.

რიცხვითი სახელი – 一百等于五个是二十。Yībǎi dèngyú wǔ gè shì èrshí. 100/5=20

გაორმაგებული სათვლელი სიტყვით – (你看那些衬衫) 件件都很好看。Yībǎi dèngyú wǔ gè shì èrshí. „ეს ზედა ნახე, ყველა კარგია“.

ფრაზული წინადადება – 这样，那样，都行。Zhèyàng, nà yàng, dōu xíng. „ეს თუ ის ყველა კარგია“.

ქვემდებარე – შემასმენელური ფრაზა 头疼是很难受的。Tóuténg shì hěn nánshòu de.

„თავის ტკივილი მოუთმენელი ტკივილია“.

ზმნა დამატების ფრაზა – 爬山对身体有好处。Páshān duì shēntǐ yǒu hǎochù. „მთაზე ასვლა ჯანმრთელობისთვის კარგია“.

ენდოცენტრული ფრაზა 能去最好，不去也没关系。Néng qù zuì hǎo, bù qù yě méiguānxi „წასვლა თუ შეგიძლია ყველა კარგია, თუ ვერ წახვალ ამასაც არაუშავს“.

რიცხვითი სახელის და სათვლელი სიტყვის ფრაზები – (这种衬衫很好，) 一件多少钱? (Zhè zhǒng chènshān hěn hǎo,) yī jiàn duōshǎo qián? („ამ სახეობის ზედა ძალიან კარგია“) „რა ღირს?“

დამატებით ფრაზები – 厚一点更好。Hòu yīdiǎn gèng hǎo. ცოტათი სქელი უკეთესია.

ადგილის გამომხატველი ფრაზები – 公园中间是一个湖。Gōngyuán zhōngjiān shì yīgè hú. „სკვერის შუაში ერთი ტბაა“.

დადებითი ემოციის გამომხატველი ფრაზები – <中国妇女>这本杂志很有意思。<Zhōngguó fùnǚ >zhè běn zázhi hěn yǒuyìsi. „გაზეთი «ჩინელი ქალი» ძალიან საინტერესოა“.

მყარი შესიტყვება-ფრაზები – 南京长江大桥是中国人造的。Nánjīng chángjiāng dàqiáo shì zhōngguó rénzào de. „ნანკინის იანძის ხიდი ჩინელი ხალხის მიერ არის აშენებული“.

的 De – ნაწილაკით გამომხატული ფრაზები 红的最好看。Hóng de zuì hǎo kàn. „წითელი ყველაზე კარგია“.

§ 5.4.1. შემასმენელი

შემასმენელი აღწერს ქვემდებარეს და მიგვითითებს, თუ როგორია იგი. მაგალითად: 他是经理 Tā shì jīnglǐ „ის მენეჯერია აქ“ 是经理 Shì jīnglǐ „არის შემასმენელი“.

შემასმენლის გრამატიკული თვისებები:

შემასმენელი ქვემდებარის შემდეგ იწერება. შემასმენელი შეიძლება იყოს ზმნა. ჩინურში ზმნები მორფოლოგიურად არ იცვლებიან. ზმნა შემასმენელს შეიძლება მოსდევდეს დამატება. ზედსართავ შემასმენელსაც ასევე შეიძლება მოსდევდეს დამატება. შემასმენელი შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა გარემოებით.

სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც შემასმენლად შეიძლება გვევლინებოდეს.

ზმნები – 老师教, 学生学。 Lǎoshī jiào, xuéshēng xué. „მასწავლებელი ასწავლის, მოსწავლე სწავლობს“.

ზედსართავი სახელები – 这里的风景美极了。 Zhèlǐ de fēngjǐng měi jíle. „აქაური ბუნება ძალიან ლამაზია“.

არსებითი სახელები – 今天中秋。 Jīntiān zhōngqiū. „დღეს შემოდგომაა“.

რიცხვითი სახელები – 他三十。 Tā sānshí. „ის 30 წლის არის“.

ნაცვალსახელები – 事情已经这样了。 Shìqíng yǐjīng zhèyàngle. „ეს საქმეც ასეა“.

ქვემდებარე შემასმენლის ფრაზები – 她的眼睛很大。 Tā de yǎnjīng hěn dà. „მას დიდი თავლები აქვს“.

რიცხვითი სახელების სიტყვათა ფრაზები – 现在四点。 Xiànzài sì diǎn. „ახლა 4 საათია“.

მყარი შესატყვისები – 他对朋友一视同仁。 Tā duì péngyǒu yīshìtóngrén. „ის მეგობრების მიმართ თანასწორია“.

§ 5.4.2. დამატება

დამატება წინადადების წევრია, რომელიც მოსდევს შემასმენელ ზმნას და გვიჩვენებს მოქმედების მიზანს ან შედეგს. მაგ.:

შემასმენელს + დამატება

看电视

Kàn diànshì

გრამატიკული თვისებები

დამატება მოსდევს ზმნა შემასმენელს, დამატება ძირითადად არის არსებითი სახელი და ნაცვალსახელი, ასევე შეიძლება იყოს მეტყველების სხვა ნაწილები ან ფრაზები. დამატება შეიძლება იყო მოქმედების მიმღები.

სიტყვენი ან ფრაზები, რომლებიც გვხვდება წინადადებაში, როგორც დამატება.

არსებითი სახელები: 他每天自学汉语。Tā měitiān zì xué hànyǔის „ყოველდღე თვითონ სწავლობს ჩინურს“.

ნაცვალსახელები: 昨天我看见她了。Zuótiān wǒ kànjiàn tāle. „გუშინ მე ის დავინახე“.

ზმნები: 他特别喜欢旅游。Tā tèbié xǐhuān lǚyóu. „მას ძალიან უყვარს მოგზაურობა“.

ზედსართავი სახელები: 他不怕苦，不怕累。Tā bùpà kǔ, bùpà lèi. „მას არ ეშინია ტკივილის, არ ეშინია დაღლის“.

რიცხვითი სახელი: 九加二等于十二。Jiǔ jiā èr děngyú shí'èr. „ცხრას დამატებული ორი უდრის ათს“.

§ 5.4.3. განსაზღვრება

განსაზღვრება არის წინადადების წევრი, რომელიც განსაზღვრავს ქვემდებარეს ან დამატებას. განსაზღვრება გვიჩვენებს, ხარისხს, რაოდენობას, კატეგორიას, ადგილს. მაგ.: ქვემდებარის წინ – 他朋友是演员。Tā péngyǒu shì yǎnyuán. „მისი მეგობარი მსახიობია“.

განსაზღვრების თვისებები:

განსაზღვრება ყოველთვის წინ უსწრებს მთავარ სიტყვას. ყველა მნიშვნელობის მქონე სიტყვა ან ფრაზა შეიძლება იყოს განსაზღვრება. სტრუქტურული ნაწილაკი 的 De ახლავს განსაზღვრებას.

სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც განსაზღვრებად გვევლინებიან:

არსებითი სახელი: 那是经理的帽子。Nà shì jīnglǐ de màozi. „ის მენეჯერის ქუდია“.

ნაცვალსახელი: 我父亲不吸烟。Wǒ fùqīn bù xīyān. „მამაჩემი არ არის მწეველი“.

ზედსართავი სახელი: 这座楼有许多空房间。Zhè zuò lóu yǒu xǔduō kōng fángjiān „ამ შენობაში ბევრი თავისუფალი ოთახია“.

ზმნა: 流行的人都走了。Liúxíng de rén dōu zǒule. „მოგზაურები წავიდნენ“.

დაკავშირებული ფრაზები: 父亲答应了我和弟弟的要求。Fùqīn dāyìngle wǒ hé dìdì de yāoqiú. „მამა დათანხმდა ჩემსა და ჩემი ძმის წინადადებას“.

ქვემდებარე შემასმენლის ფრაზები: 他就是我说的那个人。Tā jiùshì wǒ shuō dì nàgè rén. „ის ზუსტად ის ადამიანია, რომელზეც ვსაუბრობდი“.

ზმნა შემასმენლის ფრაზები: 参加比赛的的运动员来到了体育馆。Cānjiā bǐsài de de yùndòngyuán lái dào le tǐyùguǎn. „შეჯიბრის მონაწილე სპორტსმენები სპორტულ დარბაზში მოვიდნენ“.

§ 5.4.4. გარემოება

სიტყვა რომელიც განასზღვრავს მკაცრად შემასმენელს ვუწოდებთ გარემოებას. გარემოება მთავარი სიტყვის წინ დგას. ყველა სახის სიტყვა ან ფრაზა შეილება გადაიქცეს გარემოებად. გარემოებას თან ახლავს 地 De ნაწილაკი.

გარემოება წინადადებაში გვხვდება შემდეგი ფუნქციით, როგორც ზმნიზედა, თანდებულიანი ფრაზები, არსებითი სახელი, დამხმარე ზმნები, ზმნები, ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელები, დაკავშირებული ფრაზები, მყარი შესიტყვებებიდა ა.შ.

§ 5.4.5. კითხვითი წინადადებები ნაწილაკი 吗 Ma

ჩინურ ენაში კითხვის ყველაზე გავრცელებულ სახეობად მიიჩნევა ის, რომელიც იწარმოება კითხვითი ნაწილაკის (ჩინური ტერმინოლოგიის მიხედვით „დამხმარე სიტყვის“) 吗 Ma-ს დახმარებით.

ამ შეკითხვის ტიპი იწარმოება თხრობით წინადადებაზე კითხვითი ნაწილაკის 吗 Ma-ს დართვით. სიტყვების თანმიმდევრობა კი ისეთივეა, როგორც თხრობითში, მაგალითად:

你好。Nǐ hǎo. „გამარჯობა“.

你好吗? Nǐ hǎo ma? „როგორ ხარ?“

我很好。Wǒ hěn hǎo. „მე ძალიან კარგად ვარ“.

წინადადებაში, რომელშიც შემასმენლის მთავარი კომპონენტი ვითარებითი ზედსართავი სახელია, ეწოდება წინადადება ვითარებითი შემასმენლით. ჩინურ ენაში ვითარებითი ზედსართავი სახელი, ძირითადად, ხასიათდება იმავე გრამატიკული თვისებებით, რომელთა საშუალებითაც ხასიათდება ზმნა. მას, ისევე როგორც ზმნას, შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს შემასმენლის როლი. ამ დროს ვითარებით ზედსართავ სახელს წინ ერთვის ვითარების ზმნიზედა.

მაგალითად:

我很好。Wǒ hěn hǎo. „მე კარგად ვარ“.

他很忙。Tā hěn máng. „ის დაკავებულია“.

他们都很好。Tāmen dōu hěn hǎo. „ისინი ყველანი კარგად არიან“.

ასეთი ტიპის წინადადებები იწარმოება ვითარებითი შემასმენლის წინ ზმნიზედა 不 Bù-ს გამოყენებით. მაგალითად, 我不忙 Wǒ bù máng „მე არ ვარ დაკავებული“.

შემასმენლის შემადგენლობაში ერთდროულად ვითარების ზმნიზედისა (很 Hěn) და უარყოფის (不 Bù) გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, საჭირო აზრის გამოხატვის მიზნით, ზმნიზედისა და უარყოფის გამომხატველი ნაწილის ადგილების შეცვლაა შესაძლებელი.

很不好。 „ძალიან ცუდია“.

不很忙。 „არცთუ ისე დაკავებული“.

ქვემდებარე (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი)	ვითარებითი შემასმენელი		კითხვითი ნაწილაკი
	ზმნიზედა	ზედსართავი სახელი	
我 你 我	很 不	好。 好 忙。	吗？

(ჯიბლაძე 2015:48)

ჩინურ წინადადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზმნას. ცალკე გამოვყოფთ 是 Shì მაკავშირებელ ზმნას. წინადადება მაკავშირებელი ზმნით 是 Shì ეწოდება წინადადებას, რომლის შემასმენელი შედგება ზმნა 是 Shì-სა და სხვა სიტყვისაგან (არსებითი სახელისაგან ან ნაცვალსახელისაგან), სიტყვათშეწყობისაგან ან წინადადებისაგან.

ქვემდებარე (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი)	შემასმენელი			კითხვითი ნაწილაკი
	უარყოფა	მაკავშირებელი ზმნა	არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, სიტყვათშეწყობა	
这 这 那	不	是 是 是	你的车 我的车。 她的车。	吗?

ასეთი წინადადების უარყოფითი ფორმა იწარმოება უარყოფის 不-ს დახმარებით, რომელიც გამოიყენება მაკავშირებელი ზმნის 是-ის წინ (ჯიბლაძე 2015:46).

§ 5.4.6. კუთვნილების გამომხატველი განსაზღვრება

ჩინური ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, კუთვნილება გამოიხატება ნაწილაკით „的“ De, რომელიც დაერთვის ნაცვალსახელს ან არსებით სახელს.

როდესაც პირის ნაცვალსახელი ან არსებითი სახელი კუთვნილების გამომხატველი განსაზღვრების როლს ასრულებს, მის შემდეგ გამოიყენება 的 De. მაგალითად,

你的车, Nǐ de chē, 他的车 Tā de chē 妈妈的车 Māmā de chē.

შენი მანქანა მისი მანქანა დედას მანქანა

როდესაც პირის ნაცვალსახელი ასრულებს განსაზღვრების როლს, გამსაზღვრელ სიტყვად გვევლინება არსებითი სახელი, რომელიც ატარებს ნათესაურ კავშირს, საზოგადოებრივი ურთიერთობების, თანამშრომელთა ერთობის, დაწესებულების, სხვადასხვა ორგანოს (ქვეყნის გარდა) მნიშვნელობას, დამხმარე ნაწილაკი 的 De შესაძლებელია გამოვტოვოთ, მაგალითად 我爸爸 Wǒ bàba, მამაჩემი 你哥哥 Nǐ gēgē. შენი ძმა.

ჩინურ ენაში განსაზღვრება ყოველთვის წინ დაერთვის განსასაზღვრელ სიტყვას.

ჩინური წინადადება შედგება ორი ნაწილისაგან: ქვემდებარისა და შემასმენლის ჯგუფებისაგან. ქვემდებარე ხშირად გამოიხატება არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით, ხოლო შემასმენელი – ზმნით ან ზედსართავით. ქვემდებარე წინ უსწრებს შემასმენელს, მაგალითად:

这本书是新的。Zhè běn shū shì xīn de. „ეს წიგნი ჩემია“.

დიალოგის შემთხვევაში ქვემდებარე ხშირად იკვეცება, მაგალითად:

你几点下课? Nǐ jǐ diǎn xiàkè? „რომელ საათზე ამთავრებ ლექციას?“

(我) 四点一刻下课。(Wǒ) sì diǎn yī kè xiàkè. „4:15 საათზე ვამთავრებ ლექციას“.

კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შემასმენელიც ჩამოშორდეს წინადადებას, მაგალითად:

你好吗? Nǐ hǎo ma? „როგორ ხარ?“

我很好, 你呢? Wǒ hěn hǎo, nǐ ne? „მე კარგად, შენ?“

დამატება დგას ზმნის ფუნქციაში და შედის შემასმენლის შემადგენლობაში. დამატების ფუნქციაში, ძირითადად, გამოიყენება არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი, მაგალითად:

我有一个哥哥。Wǒ yǒu yīgè gēgē. „მე მყავს ერთი ძმა“.

我认识他。Wǒ rènshì tā. „მე ვიცნობ მას“.

შემასმენლის ფუნქციაში ზოგიერთ ზმნას მოსდევს ორი დამატება (პირდაპირი ან ირიბი), მაგალითად.

王老师叫我们汉语。Wáng lǎoshī jiào wǒmen hànyǔ. „მასწავლებელი ვანგი გვასწავლის ჩინურს“.

განსაზღვრება ხშირად დგას განსასზღვრელი სიტყვის (ხშირად არსებითი სახელის) წინ. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა: არსებითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, რიცხვითი სახელი (კლასიფიკატორთან შეწყობით), ასევე სახელობითი, ზმნის სიტყვათშეწყობები და პრედიკატული კონსტრუქციები (არასრული წინადადებები) (დალუნდარიძე 2014:91).

გარემოება შეიძლება იყოს განხილული, როგორც შემასმენლის (ზმნის ან ზედსართავის) განსაზღვრება. ზმნა-შემასმენლის შემცველ წინადადებაში გარემოება გამოიხატება ზმნიზედით, ზედსართავით, ზმნით, არსებითი სახელით, წინდებულიანი

კონსტრუქციით და სხვა შესიტყვებებით. ხარისხის აღმნიშვნელი შემასმენლის წინ გარემოების ფუნქციაში ხარისხის ზმნიზედა დგას. გარემოება ყოველთვის წინ უსწრებს შემასმენელს, მაგალითად:

我很好。Wǒ hěn hǎo. „მე ძალიან კარგად ვარ“.

他们都学习汉语。Tāmen dōu xuéxí hànyǔ. „ისინი ყველანი ჩინურს სწავლობენ“.

上午我们没有课。Shàngwǔ wǒmen méiyǒu kè. „დილით ჩვენ არ გვაქვს გაკვეთილი“.

我朋友从北京来。Wǒ péngyǒu cóng běijīng lái. „ჩემი მეგობარი პეკინიდან მოდის“.

§ 5.4.7. განსაზღვრება და დამხმარე ნაწილაკი 的 De

1. როდესაც არსებითი სახელი განსაზღვრების პოზიციაში აღნიშნავს პირს, რომელსაც ეკუთვნის განსაზღვრელი სიტყვა, მის შემდეგ გამოიყენება 的 De. 的 De აუცილებლად გამოიყენება უსულო არსებითი სახელის შემდეგ:

妈妈的车。Māmā de chē. „დედას მანქანა“.

图书馆的书。Túshū guǎn de shū. „ბიბლიოთეკის წიგნი“.

თუ კი განსაზღვრების პოზიციაში მყოფი არსებითი სახელი წარმოადგენს ეროვნულ ან სახელმწიფოებრივ კუთვნილებას, პროფესიას, ენას და ა.შ., მაშინ 的 აღარ არის საჭირო, მაგალითად.:

中国人 中国地图 外语学院

Zhōngguó rén zhōngguó dìtú wàiyǔ xuéyuàn

„ჩინელი“ „ჩინეთის რუკა“ „უცხო ენათა ინსტიტუტი“

京剧票 学上宿舍 法语电影

Jīngjù piào xué shàng sùshè fǎyǔ diànyǐng

„ოპერის ბილეთი“ „სტუდენტური საცხოვრებელი“ „ფრანგული კინო“

2. როდესაც ნაცვალსახელი გამოიყენება როგორც განსაზღვრება და აღნიშნავს კუთვნილებას, მას მოსდევს კუთვნილებითი ნაწილაკი 的, მაგალითად:

他的笔 他们的阅览室 他们的问题

Tā de bǐ tāmen de yuèlǎn shì tāmen de wèntí

„მისი კალამი“ „მათი საკითხავი დარბაზი“ „მათი პრობლემა“

თუ განსაზღვრელი სიტყვა აღნიშნავს ნათსაურ კავშირს ან კოლექტივის ორგანოს და დაწესებულების დასახელებას, 的 აღარ გამოიყენება, მაგალითად:

我哥哥 我家 我们系 我们公司

Wǒ gēgē wǒjiā wǒmen xì wǒmen gōngsī

„ჩემი ძმა“ „ჩემი ახლი“ „ჩემი ფაკულტეტი“ „ჩვენი კომპანია“

3. განსაზღვრების შემდეგ, მაშინ, როდესაც განსაზღვრება გამოიხატება რიცხვითი სახელისა და კლასიფიკატორის (ან ჩვენებითი ნაცვალსახელისა და კლასიფიკატორის) შეწყობით, 的 არ გამოიყენება, მაგალითად:

两张票	九十八个学生	这条裙子
Liǎng zhāng piào	Jiǔshíbā gè xuéshēng	Zhè tiáo qúnzi
„ორი ბილეთი“	„98 მოსწავლე“	„ეს კაბა“

4. როდესაც განსაზღვრება გამოხატულია ერთმარცვლიანი ზედსართავი სახელით, მის შემდეგ 的 არ გამოიყენება, მაგალითად:

男朋友	白衬衫	新地图
Nán péngyǒu	Bái chènshān	Xīn dìtú
„შეყვარებული ბიჭი“	„თეთრი პერანგი“	„თეთრი რუკა“

5. როდესაც ზედსართავისა და ზმნიზედის შეწყობა გამოიყენება, როგორც განსაზღვრება, მის შემდეგ აუცილებლად დგას კუთვნილებითი ნაწილაკი 的 De, მაგალითად: 很好的朋友 Hěnduō péngyǒu „ბევრი მეგობარი“. გამონაკლისია 多 Duō „ბევრი“ და 少 Shǎo „ცოტა“, რომლებიც განსაზღვრების პოზიციაში გამოიყენება 的 De-ს გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინ დგას ზმნიზედა, მაგალითად, 很多朋友 Hěnduō péngyǒu „ბევრი მეგობარი“ (ჯიბლაძე 2015:110).

§ 5.5 ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები

საქმიან საბუთებში განირჩევა სხვადასხვა ტიპის წინადადებები. ამ სხვადასხვაობას განაპირობებს განკერძოებულ გამოთქმათა და გავრცობილ ერთგვაროვან წევრთა აქტივიზაცია და სიხშირე. ეს განსხვავებულობა გვხვდება ისეთ ჟანრებში, როგორებიც ტექსტის ინფორმაციულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. განსაკუთრებით გამოყოფენ მსაზღვრელთა მრავალკომპონენტთან პრეპოზიციურ რიგებს, რომელთა კონსტრუქციებშიც რამდენიმე მეტყველების ნაწილი განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. სამ-, ოთხ-, ხუთ- და მეტკომპონენტური შესიტყვებები ხშირად დასტურდება ოფიციალურ-საქმიან

დოკუმენტებში. როგორც წესი, ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი და გასუბსტანტივებული მიმღეობა შეადგენენ მსაზღვრელის მსგავს კონსტრუქციას. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი ტენდენცია ოფიციალურ დოკუმენტებში გამოვლენილია მსაზღვრელთა სიუხვით, რაც გამოხატავს მინიმალური ენობრივი საშუალებებით მაქსიმალური ინფორმაციას. ეს მიიღწევა პოლივალენტოვანი პრედიკაციული შესიტყვებების გამოყენებით (ლომია 2016).

„ამ პროექტების წარმატებული განვითარება შესაძლებლობას ქმნის ეფექტიანი, ნაყოფიერი და ხანგრძლივი კავშირისათვის კასპიის აუზის ქვეყნებსა და, ძირითადად, შავ ზღვას შორის, რაც, თავისთავად, გულისხმობს კავშირს ევროპასთან“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14).

“Successful development of these projects creates the opportunity for an efficient, fruitful and long-term connection between Caspian Basin countries and mainly the Black Sea, which in itself means the connection with Europe” (President's speech, 21.04.14).

这些项目的发展成功地为里海盆地和黑海地区的国家之间创造了一种高效的、硕果累累的、长期的连接，它本身也是与欧洲的连接。（2014年4月21日总理讲话）

ინგლისურსა და ჩინურ თარგმანში ვხვდებით წინადადების წყობაში სხვაობას. ჩინურზე თარგმნის შემთხვევაში ყოველთვის ვიწყებთ მიზეზის ან მიზნის გარემოებით თარგმნას. ამ წინადადებაში, თვით მთავარი სიტყვაა წარმოდგენილი „ამ პროექტებით“, სწორედ ამ სიტყვას უკავშირდება მთლიანი წინადადების შინაარსი.

1. Project/项目/პროექტი
2. Fruitful/硕果累累的/ეფექტიანი
3. long-term connection /长期的连接/ხანგრძლივი კავშირი

ზემოთ მოყვანილ სიტყვებს არ სჭირდება ყურადღების მიქცევა თუ რა კონტექსტშია მოცემული ანუ ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

„ჩვენი მიზანია, ავამენოთ ნამდვილად დემოკრატიული, პროგრესული, ევროპული სახელმწიფო და შევქმნათ ისეთი ძირითადი კანონი, როგორც ჩვენს ქვეყანას შეეფერება. მეამაყება, რომ ჩვენმა მთავრობამ უკვე უამრავი რამ გააკეთა იმ ინსტიტუტების გასაძლიერებლად, რომლებიც კონსტიტუციის დაცვას უზრუნველყოფენ, იქნება ეს

პარლამენტი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, სასამართლო თუ მედია“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 24.08.15).

“Our goal is to build a truly democratic, progressive, European state and create a basic law that is suited to our country. I am proud that our government has already done a lot to strengthen the institutions that ensure the protection of the constitution, whether it is Parliament, presidential institution, court or media” (Prime Minister's speech, 24.08.15).

我们的目标是建立一个民主进步的欧洲国家，制定符合我们国情的基本法律。我为我们的政府为加强保障宪法保护的体制建设做了很多努力而感到骄傲，无论这些机构是议会、总统机构、法庭还是媒体。”(2015年8月24日总理讲话)

1. to build/建立/შექმნა

2. strengthen /加强/გამლიერება

ინგლისურსა და ქართულ ენაში თარიღის წერის წესი მსგავსია, ჩინურში კი განსხვავდება. ვიწყებთ წლით, რომელსაც მოსდევს თვე და რიცხვი. ამ წინადადებაშიც მსგავსად არის გადმოცემული შინაარსის სტრუქტურა.

სამეცნიერო და მხატვრულ სტილებში ერთგვარ წევრთა სიხშირე გაცილებით დაბალია ოფიციალურ-საქმიან სტილთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ რადგანაც ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ინფორმაციის სწორად გადმოცემა არის ძირითადი მიზანი. სწორედ ეს მოვლენა იწვევს ერთგვარ წევრთა მაღალ სიხშირეს, რითაც ოფიციალური ენა გამოირჩევა. საქმიან დოკუმენტებში ვხვდებით ერთგვარწევრიან წინადადებებს:

„უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ქართველი, აფხაზი და ოსი დედები, მეუღლეები თუ შვილები ცოცხლობენ იმედით, რომ ადრე თუ გვიან შეიტყობენ სიმართლეს დაკარგული ოჯახის წევრებზე“ (გიორგი ვოლსკის განცხადება, 27.08.15.).

“For more than two decades, Georgian, Abkhazian and Ossetian mothers, spouses and children are hoping that sooner or later they will learn the truth about their missing family members” (Giorgi Volski’s statement, 27.08.15).

“二十多年以来，格鲁吉亚、阿布哈兹和奥赛梯的母亲们、配偶们和子女们都在希望他们迟早能知道他们对亲人的思念的事实。”(2015年8月27日乔治·沃斯基日讲话)

ჩინურ წინადადებაში გადმოცემულია ქართულთან და ინგლისურთან შედარებით ლაკონიურად: წინადადებები მოკლეა ქართულთან შედარებით.

思念/missing /დაკარგული

„სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სასამართლო სისტემის სტაბილურობა განაპირობებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის მდგრადობას“ (პრეზიდენტის სიტყვა 11.12.14.).

“That's why I say that the stability of the judiciary system stands for the sustainability of our country, our society, our statehood” (President's speech, 11.12.14.)

“这就是为什么我说司法系统的稳定性代表了我们的国家、社会和各州的可持续发展。”
(2014年12月11日总理讲话)

stability /稳定/სტაბილურობა

„ქართული დიპლომატიის ისტორიაში წელს პირველად ამბასადორიალის გახსნა წარიმართა ფართო წარმომადგენლობით ფორმატში, რომელსაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირები, თბილისში აკრედიტებული დიპლომატიურ კორპუსი და ქართველი დიპლომატები ესწრებოდნენ“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

“This year, in the history of Georgian diplomacy for the first time, the Ambassadorial was opened in a wide range of representations and it was attended by high officials from legislative, executive and judiciary authorities, diplomatic corps accredited in Tbilisi and Georgian diplomats” (Government report, 04.10.13).

“今年，在格鲁吉亚外交历史上，首次在各界代表中设立大使职位，来自立法、行政和司法部门的高级官员、受到认可的外交使团和格鲁吉亚外交官们在第比利斯参加了这次会议。”
(2013年10月4日政府工作报告)

„მტკიცედ უჭერს მხარს ვაშინგტონი საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, დემოკრატიის განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

“Washington strongly supports Georgia's sovereignty, territorial integrity, state restructuring, democracy development and economic strengthening” (Government report, 04.10.13).

“华盛顿当局坚决支持格鲁吉亚的主权、领土完整、国家改革、民主和加强经济发展”
(2013年10月4日政府工作报告)

主权、领土完整、国家改革、民主 /Sovereignty, territorial integrity, national reform ,democracy/სუვერენიტეტი, ტერიტორიულ მთლიანობა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, დემოკრატია

თანწყობილი წინადადებები:

„მუშაობა წარმართა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირსა და ნატოსთან გაღრმავდა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14).

“Work on strengthening the country's security and regional positions, deepening the integration process with the EU and NATO has been conducted” (Government report, 12.09.14).

“我们致力于加强国家安全和地区立场，深化与欧盟和北约一体化进程的工作。” (2014年9月12日政府工作报告)

თარგმანი განხორციელდა ორივე ენაში თანმიმდევრულად. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თარგმნისას არ მოგვიწია სიტყვების გამოტოვება, რომ დაგვეცვა ტექსტის შინაარსი.

რთული ქვეწყობილი წინადადებები:

„ეს არის აბრეშუმის გზის პროექტის ახალი ნაწილი, რომელიც განხორციელდა წარმატებით საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ჩინეთის უშუალო მონაწილეობით“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

“This is part of a new Silk Road project successfully implemented with the direct participation of Georgia, Azerbaijan, Kazakhstan and China” (Prime Minister's speech, 02.09 .15).

“这是在格鲁吉亚、阿塞拜疆、哈萨克斯坦和中国的直接参与下成功实施的新丝绸之路项目的一部分。” (2015年9月2日总理讲话)

სამართლებრივ დოკუმენტებში რთულ თანწყობილ წინადადებაში ვხვდებით შემდეგს: როდესაც ადგილის გარემოებაა ჩინურ ენაში აუცილებლად ადგილის გარემოებით ვიწყებთ თარგმანს. ინგლისური თარგმანი კი ქართულს მიჰყვება.

„მისი ცოდნა და გამოცდილება დაგვეხმარება ვაწარმოოთ ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც კიდევ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

“His knowledge and experience will help us to develop a foreign policy that will be more related to the economic development of our country” (Prime Minister's speech, 02.09.15).

“他的知识和经验将帮助我们制定一项更符合我国经济发展的外交政策。”（2015年9月2日总理讲话）

ამ წინადადებაში კი თარგმანი ორ ენაზე ქვემდებარით იწყება, როგორც წყარო ენაშია მითითებული.

„ამ დარბაზებში მოსამართლეს აღვიქვამთ ჭეშმარიტების მატარებლად, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით ბევრ შეცდომას გაასწორებს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

“In this hall a judge is perceived to be a truth carrier, which will correct many mistakes by his decision” (President's speech, 11.12.14.)

“在这个大厅里，法官被认为是一个真理的载体，可以通过他的决定来纠正许多错误。”（2014年12月11日总理讲话）

სამართლებრივ, საქმიან დოკუმენტებში ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები:

„ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი არის ევროპული არჩევანი, რომელიც არასდროს გადაიხედება, რადგან ეს არის ხალხის არჩევანი და არჩევანი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09.15.).

“The main priority for us is the European choice that will never be revised, because it is the people's choice and the choice that our ancestors did.” (Prime Minister's speech, 02.09.15).

“我们最优先考虑是永远不会改变的欧洲选择，因为这既是人民的选择，也是我们祖先的选择。”（9月2日总理讲话）

ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები როდესაც გვხვდება თარგმანში აშკარაა, რომ ჩინურ ენაში როგორ მცირეა იეროგლიფების რაოდენობა, თუ ქართულ და ინგლისურ ენებში განმეორდა სიტყვა „არჩევანი“. ჩინურ ენაში ლაკონიურად გადმოიცა 也 „აგრეთვე“ სიტყვით. კიდევ „არჩევანის“ გამეორება ტავტოლოგია იქნებოდა ჩინურ ენაში.

„ახლა ოფიციალური პირებისგან გავიგეთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთიც, რომელიც ასევე საქართველოს ცენტრალური რეგიონი – ჩვენ გვაქვს უფლებაც და შესაძლებლობაც გადავჭრათ უამრავი პრობლემა, ვაქციოთ რეალობად ერთიანი, მშვიდობიანი საქართველო, თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის სივრცე ჩვენი მოქალაქეებისთვის – საერთო სახლი ქართველების, აფხაზების, ოსების, ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის, მიმზიდველი ადგილი ყველა სტუმრისათვის“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14.).

“Now we learned from officials that the so-called “South Ossetia”, which is also the central region of Georgia – we have the right and the opportunity to solve a lot of problems, make united, peaceful Georgia a reality, freedom and self-realization space for our citizens – a common house for Georgians, Abkhazians, Ossetians, all peoples living in this land, attractive place for all visitors” (President’s speech, 21.04.14.).

“现在我们从官员那里了解到所谓的“南奥塞梯”，这也是格鲁吉亚的中心地区。我们有权力和机会解决许多问题，为我们的公民创造一个团结、和平、真实、自由和自主的格鲁吉亚，这是一个在这片土地上所有的格鲁吉亚人、阿布哈兹人、奥塞梯人共同生活的地方，是一个吸引所有游客的地方”（2014年4月21日总理讲话）

მაგალითიდან ჩანს, რომ არ შეინიშნება განსხვავება თარგმანებს შორის, აზრი არის იგივე და შეიძლება ითქვას წყობაც, თუ იმას არ გავითვალისწინებთ რა წყობაც ამა თუ იმ ენებისთვის არის დამახასიათებელი.

„აბრეშუმის გზის ფორუმი“ საქართველოს წარმოაჩენს, როგორც ქვეყანას, რომელსაც რეალურად აქვს პოტენციალი, გახდეს რეგიონის ეკონომიკური ჰაბი“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09.15.).

“Silk Road Forum” will show Georgia as a country that has the real potential to become the economic hub of the region” (Prime Minister's speech, 02.09.15).

“‘丝绸之路论坛’将证明格鲁吉亚是一个真正有潜力成为该地区经济中心的国家”（2015年9月2日总理讲话）

ეს გამოწვეულია იმით, რომ როდესაც არსებობს ზოგადად ტერმინი და სპეციფიკური ენა რომელიმე დარგისთვის ან სფეროსთვის, შეიძლება ითქვას, რომ ის ხდება საერთო

ზოგადად სხვა ენებისათვისაც. განსაკუთრებით იმათთვის რომელ ენებზეც ითარგმნება ერთ სტილში.

ოფიციალურ-სამართლებრივ და საქმიან ტექსტებზე დაკვირვების თანახმად, რაოდენობრივად რთული წინადადებები ჭარბობს მარტივ წინადადებებს. სიხშირული თვალსაზრისით, რთული ქვეწყობილი წინადადებები სამჯერ მეტი ვლინდება რთულ თანწყობილ წინადადებებთან შედარებით. როგორც წესი, უფრო ხშირად ვლინდება ორ- და მეტდამოკიდებულიანი ქვეწყობილი წინადადებები. ამ მახასიათებლის მიხედვით, ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტები უფრო ახლოს დგანან არა პუბლიცისტურ, არამედ სამეცნიერო სტილის ტექსტებთან. სხვა სტილებისგან გამორჩეული მახასიათებელია ზერთული სინტაქსური კონსტრუქციების ხმარება ოფიციალურ-საქმიან სტილში. ამგვარი კონსტრუქციებით ნაკლებად ხასიათდება პუბლიცისტური და სამეცნიერო სტილები (ლომია: 2016).

ნორმატიულ აქტებსა (კანონი, ბრძანებულება) და ოფიციალურ-დოკუმენტებში (პროგრამაში, სამოქმედო გეგმაში, ანგარიშში, მოხსენებასა და საინფორმაციო დანიშნულების სხვადასხვა საბუთში) გამოიყენება რთული სინტაქსური კონსტრუქციები. განვიხილოთ ის ტერმინები, რომლებიც ძირითადად კონვენციებში გვხვდება:

Human rights/人权/ადამიანის უფლებები

rule of law/法律规则/უფლების უზენაესობა

Using force/法治/ძალის გამოყენება

Right to security/安全的权利/პირადი ხელშეუხებლობის უფლება

Witness/见证/ბრალდების მოწმე

Derogation/减损/კანონიდან გადახვევა

Marriageable age/适婚年龄/საქორწინო ასაკი

Radiation/辐射/საქმის წარმოების შესიტყვება, არქივში ჩაბარება

Satisfaction/满意度/სამართლიანი კონპენსაცია

ზევით მოცემულ სიტყვებს არ სჭირდებათ ბევრი წვალემა თარგმნისას. მაგ.: Human rights/人权/ადამიანის უფლებები, პირდაპირ ითარგმნება. თუმცა გვაქვს ისეთი სიტყვები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობა, მაგ.: Radiation/辐射 ნიშნავს, „რადიაციას,

გამოსხივებას“ პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო უკვე იურიდიულ ტექსტებში ის იძენს სულ სხვა მნიშვნელობას და ითარგმნება როგორც „საქმის წარმოების შესიტყვება, არქივში ჩაბარება“. ასევე თუ ავიღებთ სიტყვა Satisfaction/满意度-ს, მას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, ესენია: დაკმაყოფილება; ვალის გადახდა, გასტუმრება; ვალდებულების შესრულება, მონაწილეობა, გამოსყიდვა; ჩვენ, როგორც მთარგმნელებს, თუ არ გვეცოდინება იურისპუდენციის ენა და არ გავითვალისწინებთ დოკუმენტის ფორმას, შეიძლება დავუშვათ შეცდომა და თარგმნის დროს ჩავწეროთ მისი პირველი მნიშვნელობა „დაკმაყოფილება“ მაშინ, როცა იურიდიულ კონტექსტში მას აქვს „სამართლიანი კონპენსაციის“ მნიშვნელობა.

ეკვივალენტების თემა აქტუალურია სამართლებრივი ტექსტების თარგმნის დროს. საერთაშორისო სამართლებრივი აქტის ენა, იქნება ეს კონვენცია, თუ ხელშეკრულება გამოირჩევა თანმიმდევრობით, აზრობრივი სრულყოფილებით, სიმკაცრით, სტილის სტერეოტიპით, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ტექსტის ერთგვაროვანი გაგება და გამორიცხოს მისი ნებისმიერი ინტერპრეტაციის ორმაგი ბუნება.

ლინგვისტური ეს სტერეოტიპი ვლინდება იურიდიული ნორმის ლექსიკის დონეზე, სპეციალური ტერმინების გამოყენებით, ხოლო სინტაქსის დონეზე იმ კონსტრუქციის, ფორმულების გამოყენებით, რომლებიც ტიპურია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისთვის, მაგალითად:

„1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ (კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 13).

“1. Commercial secret – information on a plan, formula, process, or means with a commercial value or any other information that is used to produce, prepare, processing or provide service, and/or which represents an innovation or a significant technical accomplishment, as well as other

information, disclosure of which may cause damage to a person's competitiveness” (Law on “General Administrative Code”, Article 13).

“1. 商业机密，是有关商业价值的策划、准则、流程或运营方式的信息，或用于生产、筹备、加工或提供服务的任何其他信息，和/或代表创新或重大技术成就的信息，和其他信息一样，一旦泄露将可能会对个人的竞争力造成损害”（“一般行政法”第 13 条）

სასურველია, რომ მთარგმნელს ჰქონდეს იურიდიულ სფეროში ზოგადი განათლება, რაც ძალიან დაეხმარება მას თარგმნის პროცესში.

„10. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად და რომელიც მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა“ (კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 10).

“The Rules of Procedure of the Parliament of Georgia is a normative act with legal force, which is drafted and adopted in a similar manner as the Law of Georgia and which is deemed to be adopted if approved by a majority of those present at a Parliamentary session, but not less than one third of the total number of the Members of Parliament (Law on Normative Acts”, article 10).”

“格鲁吉亚议会议事规定’是一项具有法律效力的规范性法案，与格鲁吉亚法律的起草和通过的方式相似，即如果得到议会多数议员但不少于议会议员总数的三分之一的赞成，则视为通过。（“规范法”第 10 条）”

ზმნის პასიური ფორმები გვხვდება ინგლისურსა და ჩინურ ენებში. ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტებში კი ვხვდებით ზმნის აქტიურ და პასიურ ფორმებსაც.

მაგალითისთვის ზემოწარმოდგენილ ზერთულ წინადადებაში ცალსახად აზრის გამოტანა თითქმის შეუძლებელია, ენობრივი სიზუსტითა და სისწორით აზრის გამოხატვა არ არის მარტივი. რთულია ასევე მთავარი და დამოკიდებული წევრების მიმართების მართებულად განსაზღვრა, ორაზროვნებისა და სინტაქსური ასიმილაციის გამოუყენებლობა. აზრობრივად ბუნდოვანი და გაუმართავი წინადადებები კონსტრუქციულ უზუსტობათა (სიტყვათა წყობასთან ერთად) და ერთგვარ წევრთა სიჭარბის შედეგია. მაგალითად:

“ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროსა და მოსახლეობაში, ფაქტობრივად, ჯერჯერობით, მხოლოდ ელექტროენერჯია არის ენერჯის ერთადერთი ძირითადი წყარო, რომელზეც მომხმარებელთა თითქმის მთელი მოთხოვნების დაკმაყოფილება არის ორიენტირებული, თანაც, ძირითადად, მუდმივი დებიტორის უფლების შენარჩუნებით, რაც მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არადაკმაყოფილებელი საქმიანობის შედეგაცაა“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, „საქართველოს რესპუბლიკა“ №153, 04.07.97 წ.).

“In all areas of national farming and an in population, in fact, electricity is the only source of energy yet, on which it is oriented satisfaction of almost whole demands of consumers, and mainly by retaining the right to permanent debater, which, along with many other factors in this direction, is the outcome of unsatisfactory performance of local authorities” (Decree of the President of Georgia, “Republic of Georgia”, №153, 04.07.97).

“事实上，在全国农业和人口的所有领域，电力是唯一的能源来源，它满足了消费者几乎所有的需求，主要是通过保留终身议员的权利，在这方面的许多其他因素，是地方当局表现令人不满意的结果。”（“格鲁吉亚共和国总统令”1997年7月4日第153号文件）”

მიგვაჩნია, აზრი, რამდენიმე რთული წინადადებით, რომ გადმოიცეს, მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციების ნაცვლად უკეთესია. მსგავს წინადადებებში გვხვდება უამრავი სიტყვისა და ერთგვარი წევრების გამოყენების მაგალითები. ჩინურ ენაში ეს მოკლედ გადმოიცემა.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივ აქტებს, როგორებიც არის: განკარგულება, დადგენილება, ბრძანება, წერილი, თანამდები წერილი, აქტი ეს არ ეხება. ასეთი დოკუმენტები დანიშნულებით მარტივია და ემსახურება კონკრეტული საკითხის ან თემის წინა პლანზე წამოწევას. მარტივი წინადადებებით ფორმდება და მისთვის ხშირად არც ერთგვარი წევრების გამოყენებაა ნიშანდობლივი, მაგალითად:

„არჩეულ იქნეს გერმანე ფაცაცია საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 10.12.92.).

"Germane Patsatsia to be elected as a Director of the Institute for Democratic Reconstruction and Political Science of the Parliament of Georgia" (Resolution of the Parliament of Georgia, 10.12.92).

“格勒玛尼·帕萨次亚当选为格鲁吉亚议会民主改革和政治学研究所所长“（格鲁吉亚议会1992年12月10日决议）”

ინგლისურსა და ჩინურ ენაზე ქართულთან შედარებით ლაკონიურად ითარგმნება. ჩინურ ენაზე ერთი წინადადებით ითარგმნება.

„საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომისიების კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით“ (პარლამენტის დადგენილება, 10.12.92.).

“1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“ (მინისტრის ბრძანება №29, 24.09.15.).

ინგლისურსა და ჩინურ ენაზე რთული წინადადების ექსპრესიული და სტილისტიკური ეფექტიც საინტერესოა, რაც დამოკიდებულია მახასიათებელ ნიშანთა მარეალიზებულ ერთეულებთან და ამ ერთეულების ტექსტის სიახლოვესთან. ეს მაჩვენებლები გნსაზღვრავს როგორც სამეტყველო ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს, ასევე ფუნქციურ სტილებს (კერძოდ კი, ოფიციალურ მეტყველებას).

მხოლოდ გამოსვლებში, ანგარიშებში, მილოცვებსა თუ სამძიმრის ტექსტებში გვხვდება საუბრისათვის დამახასიათებელი ენობრივი საშუალებები. მეტი ემოციური მუხტი, უშუალო და სასაუბრო ელემენტების გამოყენება უფრო მეტ ბუნებრიობას სძენს ამგვარ ტექსტებს:

„ქართულ ისტორიაში 9 აპრილი სიამაყის ერთადერთი დღე არ არის – ჩვენი წარსული სავსეა ასეთი გამარჯვებებით, სულის გამარჯვებებით, ხშირად, შესაძლოა, ბევრად უფრო ძლიერ მტერზე, მაგრამ გამარჯვებით თავისუფლების მოყვარული სულისა, რომელიც მუდმივად აძლიერებდა ჩვენს ქვეყანას, აძლევდა შესაძლებლობას, მომავალში მყარად გადაედგა ნაბიჯი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 09.04.14.).

“The 9th April 9 is not the only day of pride in Georgian history – our past is full of such victories, the victories of the soul over the enemies that were frequently much more powerful, but this is the

victory of spirit of freedom, which constantly strengthened our country, gave us the opportunity to move strongly forward in the future.” (President's speech, 09.04.14).

“这是第九个 4 月 9 日，它不是格鲁吉亚历史上唯一荣耀的日子，这样的胜利在我们的过去比比皆是，灵魂胜过敌人的胜利往往更加强大，但这是自由精神的胜利，给我们在未来强有力的前进提供了机遇。”（2014 年 4 月 9 日总理讲话）

მოცემულ ტექსტში ჩართულია სასაუბრო ელემენტები და ბუნებრივ და ემოციურ სახეს სძენს თარგმანს.

ხშირად უკავშიროს რთულ წინადადებებს იყენებს საქმიანი დოკუმენტების სინტაქსი, რაც ტექსტს სძენს უფრო მეტ უშუალოებას და სიმსუბუქეს. მათთვის დამახასიათებელი დინამიკურობა აძლიერებს რიტმს და თხრობის დაძაბულობის ეფექტს იძლევა. ამგვარი კონსტრუქციები წინადადებაში სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ შთაბეჭდილებას ქმნის. აკადემიურობით გამორჩეული ოფიციალური მეტყველების უკეთესი აღქმისათვის ეს მეტისმეტად საჭიროა (ლომია 2016).

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა, შეესწავლა სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის პროცესი...“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

“The State Audit Office has decided to study the process of management and disposal of state enterprises ...” (State Audit Report, 2014.).

“国家审计署决定研究国有企业的管理和处置过程.....”（2014 年国家审计报告）

სამივე ენაში, ერთ რთულ წინადადებაში, თხრობის დაძაბულობის შთაბეჭდილებაა გადმოცემული.

„მოსამართლეს ექნება ვალდებულება, დაასაბუთოს კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

“A judge will have an obligation to justify the decision on application, change or abolition of the preventive measure, with indication of specific evidences” (Government Comments, 05.15.).

“法官有义务证明有关申请、更改或废除预防措施的决定是合法的，并附有具体依据。”（2015 年 5 月政府评论）

მოყვანილ მაგალითში განვიხილავთ იმავე შემთხვევას: უკავშირო რთული წინადადებები უშუალობას, სიმსუბუქესა და მეტ თავისუფლებას ჰმატებს ტექსტს სამივე ენაზე.

„განახლდა შსს-ს ვებგვერდი. მისი მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სამინისტროს სტრუქტურას, მიიღონ ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და მათი საქმიანობის შესახებ“ (მთავრობის ანგარიში, 04. 10.13.).

“The website of the Ministry of Internal Affairs has been updated. Through this website the citizens shall be able to get acquainted with the structure of the Ministry, get information about the structural units of the Ministry and their activities” (Government Report, 04. 10.13).

“内务部的网站已经更新。通过这个网站，公民应该能够熟悉内务部的结构，并获得有关该部结构单位及其活动的信息。”（2013年10月4日政府工作报告）

ლექსიკონი არ იძლევა ზოგჯერ საჭირო ეკვივალენტს მოცემული კონტექსტისთვის. სწორად რომ ვთარგმნოთ, სიტყვათშეერთების ერთ-ერთი კომპონენტის შცვლაა საჭირო მისი კონტექსტური სინონიმით და სიტყვასიტყვით გადავთარგმნოთ იგი.

მაგა: მისი მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ – Through this website the citizens shall be able to, 通过这个网站，公民应该.

სიტყვების გამოტოვება დასაშვებია თარგმანში. მაშინ, როდესაც ენის სტილის მიხედვით ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ზედმეტად.

„საქმიანი მიმოწერის დოკუმენტებში, უკავშირო რთულ წინადადებათაგან აღსანიშნავია „გთხოვთ“ კონტექსტიანი, ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქციის წინადადებების ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით – წერილის დასასრულს, რომლებიც აგებულია ჰიპოტაქსური კონსტრუქციისანი არიან, მაგრამ აქვთ მარტივი წინადადების სემანტიკა. მსგავსი შინაარსის კონტექსტი ასეთი სახის წერილების აუცილებელი კომპონენტია, რომელიც გარკვეულწილად აჯამებს სათქმელს და ითხოვს შესაბამისი სახელმწიფო მოხელისაგან კონკრეტულ გადაწყვეტილებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფრაზები ერთგვარად გაცვეთილია და შინაარსობრივზე მეტად ფორმობრივ აუცილებლობას უფრო წარმოადგენს“ (ლომია: დის;2016), მაგალითად:

„გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფა“, „გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“, „გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული საკითხების სათანადოდ შესწავლა“, „გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით“, „გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ წერილში დასმული საკითხი“, „გთხოვთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ შესაბამის უწყებასა და განმცხადებელს“, „გთხოვთ გამათავისუფლოთ“ და მისთ.

“You are asked to instruct the relevant service to provide the financial support of the event”; “You are asked to make a relevant decision”; “You are asked to ensure a proper examination of these issues”; “You are asked to make a decision regarding the mentioned problem”; “You are asked to review the issue raised in the letter within your competence”; “You are asked to communicate the Decision to the relevant agency and the applicant”; “I ask to dismiss me”.

“你被要求指示相关服务提供活动的财政支持”; “你被要求作出相关决定”; “你被要求确保对这些问题进行适当的审查”; “你被要求就上述问题作出决定”; “你被要求审查你职权范围内的信中提出的问题”; “你被要求将决定告知相关机构和申请人”; “我要求解雇我”。

განვიხილოთ სამივე ენის თარგმანი „გთხოვთ“ სიტყვის მაგალითზე. ინგლისურ ენაში „You are asked“ არის გადმოტანილი, „你被要求“ Nǐ bèi yāoqiú არის გადმოტანილი.

თუ დავახასიათებთ ოფიციალურ დოკუმენტებში წინადადებას შინაარსობრივად და განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ძახილისა და კითხვითი წინადადებები დამახასიათებელი არ არის ოფიციალური დოკუმენტებისთვის და ის ძირითადად თხრობით ფორმას იყენებს. ოფიციალურ დოკუმენტების გადმოცემის ფორმა ძირითადად ინფორმაციას ატარებს, ამიტომ საჭიროებს წინადადების თხრობით ფორმას. რაც შეეხება სამართლებრივ აქტებს, მათი გადმოცემის შინაარსი კატეგორიული და მბრძანებლურია, ზმნის კავშირებითის ფორმით გადმოსცემს შინაარს (ლომია: დის;2016), ს. მაგალითად:

„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

„საქართველოს საფოსტო ბანკის“ შესახებ

Resolution of the Head of State of Georgia on “Postal Bank of Georgia”

格魯吉亞國家元首關於“格魯吉亞郵政銀行”的決議

... 1. შეიქმნას „საქართველოს საფოსტო ბანკის“ მზრუნველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით ...

1. To create the Board of Trustees of the “Postal Bank of Georgia” with the following staff:

1. 与以下工作人员一起创建“格魯吉亞郵政銀行”董事會：

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს (ნ. ჯავახიშვილი) გაუწიოს „საქართველოს ეროვნულ ბანკს“ მეთოდოლოგიური დახმარება საბანკო საქმიანობის წარმოების საქმეში.

2. To instruct the National Bank of Georgia (N. Javakhishvili) to render methodological assistance to the National Bank of Georgia in banking activities.

2. 指示格魯吉亞國家銀行（N. 賈瓦赫什維利）向格魯吉亞國家銀行提供銀行業務方法援助。

3. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია) ხელი შეუწყოს ბანკს თავის საქმიანობაში და უზრუნველყოს ბანკის მიერ ...

The Ministry of Communications of the Republic of Georgia (P. 尹佳) shall assist the Bank in its activities and ensure ----- by the Bank...

3. 格魯吉亞共和國通信部（P.Injia）應協助銀行並確保相關活動的開展。——銀行提出。

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) აღმოუჩინოს რეალური დახმარება „საქართველოს საფოსტო ბანკს“ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად და გაუწიოს მეთოდური დახმარება.

ე. შევარდნაძე

ქ. თბილისი, 1995 წლის 12 სექტემბერი“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27.09.95.)

4. The Ministry of Finance of Georgia (D. Iakobidze) shall provide real assistance to the “Postal Bank of Georgia” to participate in formation of securities market and render methodological assistance.

4. 格魯吉亞財政部（D.亞克比澤）應向“格魯吉亞郵政銀行”提供實際援助，以參與證券市場的形成並提供方法援助。

E. Shevardnadze E.沙瓦德納澤

Tbilisi, September 12, 1995 (Newspaper "Republic of Georgia", 27.09.95.)

第比利斯，1995年9月12日（格鲁吉亚共和国报，1995年9月27日）

ამ განკარგულებაშიც როგორც ვხედავთ, ქართულ ტექსტში ზმნის აქტიური ფორმებია გამოყენებული, „შეიქმნას, დაევალოს, ხელი შეუწყოს“, ხოლო ინგლისური და ჩინური ვარიანტები კი პასიურ ფორმებს იყენებს „To create, To instruct, shall assist 创建, 指示, 协助“.

„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 886

2004 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის გამართვის შესახებ

“#886 Order of the President of Georgia

886 号格鲁吉亚总理令

October 6, 2004 2004年10月6日

Tbilisi 第比利斯

On Organizing Georgia-Israel Friendship Week in Georgia

格鲁吉亚举办格鲁吉亚 - 以色列友谊周活动

1. ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეული გაიმართოს საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით.

1.To hold the Israel-Georgia Friendship Week under the patronage of the President of Georgia.

在格鲁吉亚总统的支持下举办以色列 - 格鲁吉亚友谊周话哦懂。

2. დამტკიცდეს საქართველოში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის თანდართული პროგრამა და მზადების გეგმა.

To approve the program and the annexed preparation plan of the Israel-Georgia Friendship Week in Georgia.

批准格鲁吉亚以色列 - 格鲁吉亚友谊周的策划和所附的准备计划。

3. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, თბილისის მერიამ, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის ორგანიზატორებს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მომზადებასა და გამართვაში.

The Administration of the President of Georgia, relevant ministries and departments, Tbilisi City Hall, local governments to take active participation and to assist organizers of the Israel-Georgia Friendship Week to prepare and hold activities under the program.

格魯吉亞總理、有關部委、第比利斯市政府、地方政府積極參與並協助以色列 - 格魯吉亞友誼周，根據該計劃籌備和舉辦活動。

მოყვანილ მაგალითში განვიხილავთ იმავე შემთხვევას: უკავშირო რთული წინადადებები უშუალობას, სიმსუბუქესა და მეტ თავისუფლებას ჰმატებს ტექსტს სამივე ენაზე. როგორც ეს ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, ეს ემყარება ერთგვაროვნების, გამეორების პროცესებს (ლომია: დის;2016).

„რამდენიმე წევრიანი რთული წინადადება ექსპრესიულობის მისაღწევად სასურველი ხარისხის დამატებით უნარს იძენს. ექსპრესიულობა დაკავშირებულია ტექსტის ნაწილებთან, ეს დახასიათდეს შესაძლებელია არა მარტო სინტაქსურ ერთეულთა სტილისტიკის მხრივ, ასევე, პარადიგმატულად, არამედ სინტაგმატიკურად, წინადადების წევრთა თანამიმდევრობასთან დაკავშირებული სტილისტიკური ხერხებითაც, კერძოდ, წინადადების ნაწილებში სხვადასხვა ლექსიკური და სტრუქტურული ელემენტის გამეორება წინადადების შევსების საკუთრივ სტრუქტურული ან ლექსიკური მაჩვენებელი კი აღარ არის, არამედ წინადადების აგებულების სინტაქსურად მოწესრიგების ელემენტი ხდება. ზმნის დრო-კილოთა ფორმების და ერთნაირი მოდალობის გამეორებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპრესიული სინტაქსური ფიგურის აგებისას. ამ ელემენტთა სწორედ ურთიერთგანლაგებასა და ურთიერთმიმართებას, ამასთან ერთგვაროვანი ნაწილების საერთო მიზანდასახულობას, რთულ წინადადებაში შეიძლება ისე განლაგდეს ენობრივი ერთეულები, რომ მათ გარკვეული სიმეტრია შექმნან, რაც კითხვის დროს თვალითაც აღიქმება“ (ლომია: დის;2016), მაგალითად:

„განვიხილო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების მშენებლობის, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობის მიმართულებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“Important steps have been taken in the course of the past period to build institutions based on liberal-democratic values in the direction of inviolability of constitutional rights of citizens, inevitability of imprisonment for criminal offense and inadmissibility of persecution with a political motive” (Government Report, 12.09.14).

“我们在过去一段时间里采取了一些重要措施，基于自由民主价值观、对刑事犯罪的监禁不可避免、不允许有政治动机的迫害方面建立公民宪法权利不可侵犯的体制。”（2014年9月12号政府工作报告）

მოცემულ რთულ წინადადებაში ენობრივი ერთეულები ისეა განლაგებული, რომ მათ გარკვეული სიმეტრია ექმნებათ, ეს კითხვის დროს აღიქმება თვალითაც.

ზოგადად, რთულ წინადადებებში გამოთქმული აზრის მიმართ ექსპრესიასა და მოლოდინს ამბაფრებს თანმიმდევრობის დაცვა და წინადადებებისა და ლექსიკური ერთეულების გამეორება. სათქმელზე ფოკუსირება და აქცენტირება წარმოადგენს ამგვარი გამეორებების ფუნქციას (ლომია 2016). მაგალითად:

„განვიღო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების მშენებლობის, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობის მიმართულებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ოფიციალურ მეტყველებაში ბევრია ამგვარი ტიპის სტრიქონები. წინადადებაში გამეორებული წევრის მიხედვით. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„ეს ნიშნავს გამოხატვის თავისუფლებას, ეს ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას, ეს ნიშნავს მედიის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, ეს ნიშნავს რწმენის არჩევისა და მისი აღსრულების თავისუფლებას; ეს ნიშნავს შრომის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, ეს ნიშნავს უფლებას არა თუ არ იყო დაჩაგრული რაიმე ნიშნით, არამედ იყო დაცული“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

"This means freedom of expression, this means freedom of speech, this means freedom of media, freedom of assembly, this means freedom of choice of faith and freedom of its execution; this means

the right to live in a labor healthy environment, this means the right not to be distressed on any grounds, but be protected” (President's speech, 14.11.14).

“这意味着人们的行为自由，言论自由，媒体自由，集会自由，信仰选择的自由和执行的自由; 这意味着人民在健康环境中生活劳动的权利，不以任何理由受到伤害，而是受到保护的权力” (2014年11月14日总理讲话)

„ჩემთვის ეს კონკრეტული შემთხვევა არის ზოგადი, უფრო ფართო პრობლემის სიმპტომი; სიმპტომი, რომელმაც უნდა გვიბიძგოს სისტემის დახვეწისა და მომავალში ასეთი პრობლემის თავიდან აცილებისკენ“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

“... this particular case for me is a symptom of a general, wider problem?; the symptom that should encourage us to improve the system and avoid such a problem in the future” (President's speech, 14.11.14.).

“对我来说，这个特殊情况是更广泛问题的一般症候; 这个症候应该鼓励我们改进系统并避免将来出现这样的问题。” (2014年11月14日总理讲话)

„მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ დონეზე ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ...მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ განისაზღვროს სამედიცინო მომსახურების დონეების რეგიონალიზაცია...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“Work with technical assistance of the World Bank is in progress for inactivation of the quality management united system on the national level ... the work is underway to define the regionalization of medical service levels ...” (Government Report, 12.09.14).

“世界银行的技术援助工作正在进行，这使国家质量管理统一体系失效.....这项工作正在开展以确定医疗服务水平的区域化” (2014年9月12日政府工作报告)

„განსაკუთრებულ მადლობას გიხდით და განსაკუთრებით მოგმართავთ თქვენ, იმ ადამიანებს, რომელთა ოჯახებმაც იტვირთეს ჩვენი დღევანდელი გამარჯვებისა და სიამაყის ტვირთი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 09.04.14.).

“I would like to express my special gratitude and I address particularly to you, the people whose families have undertaken the burden of our today's victory and pride” (President's speech, 09.04.14.).

“我要表达我的特别感谢，感谢你们，你们的家人为我们今天的胜利和荣誉的所做的付出。”（2014年4月9日总理讲话）

ინგლისურ, ჩინურ და ქართულ სამართლებრივი დოკუმენტების თარგმანში მაკავშირებელ სიტყვებს, ზმნის (შემასმენლის) გამეორებასა და წინადადების ერთგვაროვან წყობას ექსპრესიული ფუნქცია აკისრია.

„მჯერა, რომ ჩვენ დავამტკიცეთ, რამდენად ერთგული ვართ ჩვენი საერთო ფასეულობების მიმართ. მჯერა, რომ ჩვენი მეგობრები მსოფლიოს გარშემო შესაბამისად შეაფასებენ ჩვენს წვლილს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 27.06.14.).

“I believe we have proved how committed we are to our common values. I believe that our friends around the world will therefore appreciate our contribution” (President's speech, 27.06.14.).

“我相信我们已经证明了我们共同价值观的承诺。我相信，我们全世界的朋友都会感激我们的贡献”（2014年6月27日总理讲话）

სამივე ენაში, ამგვარ წინადადებებში მაკავშირებელი სიტყვების, ზმნისა ან სხვა წინადადების წევრების გამეორების აუცილებლობა არ არის, ამ წევრების გარეშე ტექსტი ბუნდოვანი არ იქნება აზრობრივად, აქ მათ მხოლოდ სტილისტიკურ-ექსპრესიული ფუნქცია აქვთ. ტავტოლოგიის მოხერხებულად გამოყენებით მიღებულია ერთგვარი ეფექტი. მოყვანილ მაგალითებში ტავტოლოგიის მიზანია ყურადღების შეჩერება მნიშვნელობაზე და კონცენტრაცია. შემოთავაზებულ ზოგიერთ მაგალითში კი სიტყვის გამეორება წინადადების სინტაქსური გამართულობის აუცილებლობითაა გამოწვეული. ასეთი გამეორება სიტყვიერ ხელოვნებაში ბუნებრივად არის მიჩნეული.

ქვემოთ უნდა გამოვყოთ სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან თუ დღესასწაულთან დაკავშირებით მომზადებული მილოცვის ტექსტები, ასეთი ტექსტები აუცილებლად საჭიროებს ექსპრესიულ-ემოციურ შინაარსს, ეს შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ლექსიკური ერთეულების გამეორებითა და ერთგვაროვანი სინტაქსური კონსტრუქციებით. ასეთი ტექსტები სასაუბრო ენასთან მაქსიმალურად დაახლოებულია, ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი აკადემიზმისაგან შედარებით თავისუფალია, არის უფრო უშუალო, ლაკონიური, ემოციური და ბუნებრივი. მსგავსი სახის ტექსტები უშუალობასთან დადებით-შემფასებლურია და უშუალოა, შესაბამისად დატვირთულია ხატოვანი

გამოთქმებით, ეპითეტებით, მეტაფორებითა და მსგავსია ინტონაციური წყობა, რაც ოფიციალური მეტყველების სხვა ჟანრებისათვის დამახასიათებელი არ არის. მაგალითად:

„წერილი საქართველოს ქალებს

...რადამ უნდა გამაკვირვოს თითქოს და, რადამ უნდა შემძრას, მაგრამ როდესაც გავიგე თქვენი თავგანწირული და მართლაც ქალური განზრახვის შესახებ – ჩამოხვიდეთ აფხაზეთში და ჩადგეთ მებრძოლ მხარეთა შორის, სული შემეხუთა, როგორ გამწარებულხართ, რამდენი დარდი და ცრემლი გიტარებიათ და როგორ არ გაბოროტებულხართ, როგორი სიყვარულით და სხვისთვის ზრუნვით ხართ ისევ აღსავსე. თქვენთვის ნამდვილად ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც. თქვენ, სილამაზისთვის და თაყვანისცემისთვის გაჩენილნი, მძიმე გზას შეუდექით, საქართველოში სიცოცხლის გადარჩენის მძიმე გზას...

თქვენი ედუარდ შევარდნაძე“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.09.93).

“Letter to Women of Georgia

... I could not think if something would surprise or move me, but when I learned about your self-sacrificing and actually feminine intention – to go to Abkhazia and stand between the fighting parties – I felt myself as if I was suffocated; in spite of your grieve, your sadness and your tears, you are not embittered but still take care of someone else with love. It is really worth your life and death. You, who are born for beauty and worship, have made a hard path, the hard way to save life in Georgia ...

Your Eduard Shevardnadze (Newspaper “Republic of Georgia”, 24.09.93).

致格鲁吉亚妇女的一封信

我想不出有什么东西可以让我感到惊讶或感动，但是当我了解到你的自我牺牲和实际的女性意向——去阿布哈兹并置身于战斗的双方之间——我觉得自己好像被窒息了；尽管看到了你的悲痛，哀伤和眼泪，但你没有痛苦，仍然用爱来照顾别人。这真的值得你为此付出生命。为美丽和崇拜而生的你，走上了一条拯救格鲁吉亚人民的艰难的道路。

爱德华 沙瓦德纳泽 (“格鲁吉亚共和国报”，1993 年 9 月 24 日报道)

„ედმონდ კალანდაძეს

ბატონო ედმონდ,

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, მხნეობას, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

თქვენ დიდი ხელოვანი ბრძანდებით, რომელმაც მრავალფეროვანი და განუმეორებელი სამყარო შექმნა, თითოეული ჩვენგანი მშვენიერებას აზიარა და ეს ქვეყანა სიყვარულითა და სითბოთი სავსე ფერებით დაანახვა. თქვენი პალიტრა ტკივილით, სიხარულითა და სიყვარულით სავსე სინამდვილეა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელიც ასე გვიყვარს და რომლითაც ასე ვამაყობთ. თქვენ მრავალ ქვეყანას აჩვენეთ, როგორია ქართველი კაცი, ქართული სული, როგორია საქართველო, საიდან მოვდივართ და საით ვისწრაფვით. თქვენ არაერთი საოცარი წამი გააჩერეთ – და ამით სიხარული და სილამაზე მიანიჭეთ ადამიანებს. თქვენი შემოქმედება ეს ჩვენი ცხოვრებაა, ეს ჩვენი რეალობაა, ეს ნამდვილი ხელოვნებაა, მისთვის დამახასიათებელი სისადავითა და სიდიადით გამორჩეული.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ შესანიშნავი შემოქმედებისათვის, იმ ღვაწლისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას საუკეთესოთა შორის მიუჩენს ადგილს. გისურვებთ წარმატებას ქართული კულტურისა და ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.

პატივისცემით,

მიხეილ სააკაშვილი“ .

“To Mr. Edmond Kalandadze

致艾德蒙德卡兰德兹先生的一封信

Dear Mr. Edmond,

亲爱的艾德蒙德先生，

Let me cordially congratulate on your birthday and wish you goodness, health, and long life.

让我亲切地祝贺你的生日，祝你健康，长寿。

You are the great artist, who has created a diverse and unique world, who gave to each of us the opportunity to share a beauty and made us to see this country in colors full of love and warmth.

Your palette is the reality full of pain, joy and love, in which we live and which we love so much and are so proud of it. You have shown to many countries what Georgian man, Georgian spirit is, what Georgia is and where we do come from and where we go. You've caught many amazing moments – and thus brought happiness and beauty to people. Your creativity is our life, our reality, it is a real art, distinguished by the characteristic of its modesty and the greatness.

你是伟大的艺术家，创造了一个多元化和独特的世界，给了我们每个人分享美的机会，让我们以充满爱和温暖的色彩来看待这个国家。你的调色板充满了痛苦，快乐和爱的现实，我们生活中，我们非常喜欢它，并为此感到骄傲。你向许多国家展示了什么是格鲁吉亚、格鲁吉亚人、格鲁吉亚精神、我们来自哪里以及我们去向何方。你已经抓住了许多令人惊叹的时刻，从而为人们带来了快乐和美。你的创造力是我们的生活，是我们的现实，它是一种以其谦虚和伟大的特点而著称的真正的艺术。

I would like to express my gratitude to you for the great work, for the merits that designates our country to take the place among the best places. I wish you success for Georgian culture and our country.

我要感谢你们的出色工作，你们在我国最优秀的人们中占有一席之地，这是你们的优秀品质。我祝愿你们为格鲁吉亚文化和我们的国家取得成功。

Sincerely, 真诚地，

Mikheil Saakashvili . 米歇尔 萨卡什维利

ოფიციალურ-საქმიან თუ სამართლებრივ ტექსტებში შედარებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებებში ჩნდება „ისე, როგორც“ კავშირი. ამას შემოაქვს ერთგვარი ემოციური მუხტი და კონკრეტულ საკითხზე ყურადღების გამახვილების ფუნქციით გამოირჩევა სამივე ენაში (ლომია 2016).

მაგალითად:

„სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში შეიცვალა მიდგომები ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორცაა, სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ.“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“In the process of revising the Criminal Code, the approaches have been changed on conceptual issues, such as the principle of sentencing, the type of sentence, the conditional sentence, the probationary period, the fine, etc.” (Government Report, 12.09.14.).

“在修改‘刑法’的过程中，方法在概念问题上有所改变，如量刑原则，判刑类型，有条件判决，试用期，罚款等。”（2014年9月12日政府工作报告）

„დისკრიმინაციის აკრძალვა ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“Discrimination is prohibited both in public and private areas” (Government Report, 12.09.14.).

“在公共和私人场合都禁止歧视。”（2014年9月14日政府工作报告）

„ისეთი სახის სამართლებრივი, თუ ოფიციალური დოკუმენტები, როგორცა: დებულება, ანალიზი, საანგარიშო მოხსენება, სამართლებრივი აქტებიდან – განკარგულება, ბრძანებულება, ნიშანდობლივია ჩამონათვალის სახით წინადადებების განლაგება, საკვანძო სიტყვის გამეორება, რაც ასევე სპეციფიკური, დამახასიათებელი თავისებურება გახლავთ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ამგვარი სახეობის საბუთებისათვის“ (ლომია: 2016).

ოფიციალურ ტექსტებში ჩამონათვალი არის ფორმა იმისა, რომელიც ემსახურება და ხელს უწყობს წარმოდგენილი შინაარსის ხაზგასმასა და ამით მისთვის გარკვეული მნიშვნელობის შექმნას. მაგალითად:

1. „ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს სააგენტოსა და ცენტრის დამფუძნებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში“;

1. The Center carries out its activities within the framework of the Memorandum signed between the Agency and the Center founding Higher Education Institutions;

1. 中心在原子能机构与建立高等教育机构中心签署的备忘录框架内开展活动;

2. ცენტრი აწარმოებს სამეცნიერო-აკადემიურ კვლევას სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით, ამზადებს ანალიზს, დასკვნებს წარუდგენს სააგენტოს.

2. The Center conducts scientific-academic research in different directions of the state's religious policy, prepares analysis and submits the reports to the Agency.

中心对国家宗教政策的不同方向进行科学研究，准备分析并向机构提交报告。

3. ცენტრი მართავს დისკუსიებს, სემინარებს, პრეზენტაციებს, ამუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. The Center manages the discussions, workshops, presentations, develops educational programs and projects in accordance with the applicable legislation.

3. 该中心组织讨论，研讨会，演讲，制定教育计划和项目。

4. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი იწვევს დამოუკიდებელ ექსპერტებს და თანამშრომლობს ცენტრის არაწევრ უცხოურ და ადგილობრივ აკადემიურ ინსტიტუტებთან“ (კვლევის ცენტრის დებულება).

4. If necessary, the Center invites independent experts and cooperates with non-member foreign and local academic institutions“ (By law of the Research Center).

4. 如有必要，中心邀请独立专家并与非外国和地方学术机构合作”（根据研究中心法律）。

ეს მიუთითებს იმ ქმედებას, რომელიც, მოცემული ნორმატიული აქტის თანახმად, უნდა შესრულდეს. მაგალითად:

„1. დამტკიცდეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების, მეძუძურ დედათა დაცვისა და ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების თანდართული ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

“1. To approve the annexed united state program for infant natural nutrition, nursing mothers protection and controlled consumption of artificial foods.

“1. 批准美国婴儿天然营养、哺乳母亲保护和控制人工食品消费计划的附件。

2. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა და განათლების დარგის მუშაკებს წახალისონ ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების პრაქტიკა, უზრუნველყონ მოსახლეობა სრული ინფორმაციით ხელოვნური კვების უარყოფითი შედეგებისა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების შესახებ.

To instruct the employees of health care service and education sector to encourage the infant's natural nutrition practice, to provide the population with full information on the adverse effects of artificial nutrition and other related problems.

2. 指导医疗保健服务和教育部门的员工鼓励婴儿的自然营养实践，向人们提供有关人工营养不良影响和其他相关问题的全面信息。

3... შეტანილ იქნეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სპეციალური სალექციო და პრაქტიკული კურსი....

3. To include special lecture and practical course relevant to the infant's natural nutrition state program.

3.包括与婴儿天然营养状态计划相关的特殊讲座和实践课程

4. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციას საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე შემოიღოს რეგულარული გადაცემები...“ (პრეზიდენტის ბრძანებულება, 04.01.97.).

4. To request the Georgian Television and Radio Broadcasting State Corporation to develop regular broadcasting on the first channel of Georgian Television. (Presidential Decree, 04.01.97).

4. 要求格鲁吉亚电视和广播电台国营公司在格鲁吉亚电视台的第一频道开展定期广播。
(1997年1月4日总理令)

შესაძლებლობის, ვარაუდის, პირობის, მიზნის, დაშვებისა და აუცილებლობის სხვა მოდალობათა განსხვავებულ ეფექტთა გამოსახატავად ხშირად გამოიყენება განკერძოებულ სიტყვათა და გამოთქმათა სხვადასხვა ჯგუფი, ანუ ენობრივი ერთეულები, რომლებიც მეტყველების შინაარს სინამდვილეს, რეალობას უკავშირებენ. გნკერძოებული გამოთქმები სინტაქსურად არ უკავშირდებიან წინადადებას. ეს ენობრივი საშუალებები აზუსტებენ არსებულ ვითარებას, ხაზს უსვამენ წინადადებით გამოხატულ აზრს, ყურადღებას ამახვილებენ საგანგებო სიტუაციაზე და უჩვენებენ კომუნიკატორის დამოკიდებულებასა და შეფასებას წინადადებით გამოთქმული აზრის შესახებ. ჩვეულებისამებრ, ოფიციალურ მეტყველებაში ფაქტად არის წარმოდგენილი გამოთქმული მოსაზრება და გადაწყვეტილება. ამიტომ ყველაზე ხშირად ჩართული გამოიყენება სხვა განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთან შედარებით. ჩართული შემდეგი სემანტიკურ-სტილისტიკური

მახასიათებლებით და ფუნქციებით გამოირჩევა: ჩართულის ხშირი გამოყენება ოფიციალურ დოკუმენტებში ექსტრალინგვისტური ფაქტორებით უნდა აიხსნას. კერძოდ, ლოგიკური მსჯელობისა და მოდალური ნიუანსების მქონე წინადადებათა და შესიტყვებათა მაღალი სიხშირე გამოწვეულია საქმიან დოკუმენტებში ინფორმაციულობის მაღალი ხარისხით. ჩართულმა სიტყვებმა და გამოთქმებმა წინადადებაში ნებისმიერი პოზიცია შეიძლება დაიკავონ.

სამართლებრივ და ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად დაიძებნება შემფასებელი, დამაზუსტებელი, განმაზოგადებელი ჩართულები, მთქმელის დარწმუნებულობა და გამოთქმული აზრის სინამდვილის დადასტურება. მაგალითად:

„როგორც ცნობილია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდად დაცული უფლება, მუდმივად ირღვეოდა პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

“As it is known, the privacy of personal life was one of the most poorly protected rights; private confidentiality was permanently violated” (Government Report, 04.10.13).

“众所周知，个人生活的隐私是受保护程度最低的权利之一；否则私人机密性被永久侵犯。”
(2013年10月4日政府工作报告)

„ხაზგასმით მინდა ვთქვა ის, რომ უელსის სამიტისთვის მზადება უნდა იყოს ყველა ჩვენი დიპლომატიური მისიის მიზანი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14.).

“I would like to emphasize that the preparation for the Wales Summit should be the goal of all our diplomatic missions” (President's speech, 04.08.14).

“我想强调，威尔士首脑会议的筹备工作应该成为我们所有外交使团的目标” (2014年8月4日总理讲话)

„საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში განისაზღვრა ახალი ტიპის დაწესებულებები, კერძოდ, დაბალი და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, მისივე წერილობითი თანხმობით, დაეკისრება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს

დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო აქტივობებში“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“In the Georgian penitentiary system new types of establishments have been determined, namely, the penitentiary establishments of low and special risk. The convict placed in a low-risk penitentiary establishment – with his/her written consent – shall be imposed to fulfill the obligations set forth in the penitentiary establishment of low risk, in particular, to study and / or to work as well as to participate in the rehabilitation activities offered by the establishment” (Government Report, 12.09.14).

“在格鲁吉亚监狱系统中，确定了新型机构，即低风险和特殊风险的监狱机构。囚犯置于风险较低的监狱中，经其书面同意，应当履行低风险监狱所规定的义务，特别是学习和/或工作以及参与在该机构提供的康复活动中。”（2014年9月12日政府工作报告）

სამართლებრივ დოკუმენტებში დიდი მნიშვნელობა აქვს გადმოცემულ ინფორმაციაში გამოხატულ აზრს და სამივე ენაში ამგვარ კონტექსტში თავისი ფუნქციით გამოირჩევა და ტექსტში მაღალი სიხშირით გვხვდება შემდეგი ჩართულები: *ჯერ ერთი, მეორეც, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ერთი, მეორე, მიუხედავად ამისა, მაგალითად, სხვათა შორის, აქვე მინდა აღვნიშნო* და მისთ.

„პირველი – ეხება სტიქიური მოვლენების პრევენციას, მეორე – ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, მესამე კი – სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას გულისხმობს“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„მაგალითად, აქტიური ნივთიერება კეტოკონაზოლის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ ბრძანება სააგენტომ 8 თვის დაგვიანებით გამოსცა“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„ამასთანავე, პროგრამაში არ იყენებენ ვალის მდგრადობის ანალიზისა და რისკების შეფასებისათვის საჭირო ფუნქციონალურ მოდულებს“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„სხვათა შორის, ამ მხრივ ბევრი ჩინელი უკვე გაეცნო საქართველოს – ჩვენი ღვინის ექსპორტი ხომ 41 და 31 პროცენტით გაიზარდა 2014 და 2015 წლებში“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 11.09.15.).

ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბაზრების აქტები და მსგავსი ტიპის საბუთები ძირითადად ხასიათდება თანმიმდევრობის გამომხატველი ჩართულობით.

საქმიანი საბუთებში, რომლებიც საინფორმაციო დანიშნულებით გამოირჩევა, ხშირად გვხვდება ამგვარი განკერძოებული სიტყვები. მაგალითად:

„ამასთან, ხშირ შემთხვევაში სახელმძღვანელო ლიტერატურა არის მოძველებული, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი წარმოადგენს ერთსა და იმავე პიროვნებას“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014).

„ამდენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიმაჩნია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება, მისი აღჭურვა კონტროლის განხორციელებისა და რეაგირების მეტი, ეფექტური მექანიზმებით“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„ამასთან, გათვალისწინებულია ასევე საერთაშორისო სტანდარტი იძულების ღონისძიებების გამოყენებით მინიმალური ზიანის მიყენებასთან მიმართებით“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

განვიხილოთ ოფიციალური-საქმიანი, თუ სამართლებრივი დოკუმენტების, აუცილებელი კომპონენტი, რომლებიც მიღებულია კანონისა თუ გადაწყვეტილების წყაროდ, ჩართული, რომლის საფუძველზეც გამოცემულია ან რომელსაც ეყრდნობა ესა თუ ის დოკუმენტი. მსგავსი სემანტიკის ჩართულობა: *შესაბამისად, საფუძველზე, თანახმად, მიხედვით, განმარტებით* და მისთ. მაგალითად:

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 257-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ადგენს: 1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ...“ (პარლამენტის დადგენილება ბიუჯეტის შესახებ).

“According to the paragraphs 1 and 2 of the article 257 of the Rules of Procedure of the Parliament of Georgia, the Parliament of Georgia resolves the following: 1. To approve the draft budget of 2016 of the Parliament of Georgia ... (Parliament Resolution on Budget).

“根据格鲁吉亚议会议事规则第 257 条第 1 和第 2 款, 格鲁吉亚议会通过以下方式解决: 1. 批准格鲁吉亚议会 2016 年预算草案.....” (议会预算决议)

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ... გათავისუფლდეს გიორგი გორგილაძე პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან...“ (პრეზიდენტის განკარგულება № 29/07/02, 29.07.15.).

On the basis of the paragraph 6 of the article 6 of the Law of Georgia on Diplomatic Service, Mr. Giorgi Gorgiladze shall be dismissed from the position of Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the Republic of Portugal ... “ (President Ordinance № 29/07/02, 29.07.15.) .

根据格鲁吉亚外交事务法第 6 条第 6 款，乔治 高吉拉泽先生将被解除格鲁吉亚共和国特命全权大使的职位.....“（总理条例№ 29/07 / 02,29.07.15。）。。

„წინასწარი მონაცემებით, დანარჩენები წარმატებით ასრულებენ მკურნალობას“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“According to preliminary data, the rest of the patients are successfully completing the medical treatment” (Government Report, 12.09.14).

“根据初步数据，其余患者正在顺利完成医疗”（2014 年 9 月 12 日政府工作报告）

„რეზოლუციის მსგავსად, კანონი ითვალისწინებს პოლიციელის მიერ იძულების ღონისძიებების გამოყენების შედეგად დაზარალებული პირის მიმართ სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენის ვალდებულებასაც“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

მოვლენასა თუ ფაქტზე ყურადღების გასამახვილებლად თუ აზრის ხაზგასასმელად შემდეგი ჩართულები გამოიყენება საქმიან საბუთებში: *უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, საგულისხმოა, რაც მთავარია და სხვ.*

„უპირველეს ყოვლისა, დღეს ჩვენი მიზანია ავაშენოთ ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებისთვის“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

“First of all, today our goal is to build a Georgian state for citizens of Georgia” (President's speech, 14.11.14.).

“首先，我们的目标是为格鲁吉亚公民建立一个格鲁吉亚国家。”（2014 年 11 月 14 日总理讲话）

„სამწუხაროდ, ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი რეგიონის და, ალბათ, არა მარტო ჩვენი რეგიონის უსაფრთხოების სისტემები მნიშვნელოვანწილად შეირყა და გამოცდის წინაშე დადგა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14.).

"Unfortunately, in recent years, our regions' – and perhaps not only the pour regions' – security systems have been significantly shaken and faced a test" (President's speech, 04.08.14).

“不幸的是，近年来，我们地区 - 也许不仅仅是倾倒地地区 - 安全系统受到严重影响并面临考验。”（2014年8月4日总理讲话）

„რასაკვირველია, ხელისუფლება უმთავრესია, ვისაც თითოეული ჩვენგანის განვითარების პირობათა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

“Of course, the government is the most important, it is responsible for ensuring the conditions for the development and security of each of us” (President's speech, 14.11.14).

“当然，政府是最重要的，它负责确保我们每个人的发展和安全的条件。”（2014年11月14日总理讲话）

„საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს ევროპის საბჭოსთან ერთად შემუშავდა სამწლიანი სამოქმედო გეგმა...“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13).

“It is noteworthy to note that this year a three-year action plan has been developed with the Council of Europe ...” (Government Report, 04.10.13).

“值得注意的是，今年已与欧洲委员会制定了一项为期三年的执行计划.....”（2013年10月4号政府工作报告）

„რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მიმდინარეობს დაზვერვის სამსახურის საქართველოს საგარეო უსაფრთხოების რეალობასთან მორგების პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს მის ინსტიტუციონალურ დახვეწას“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“Taking into account the current challenges in the region, the process of tailoring of the Intelligence Service of Georgia to the foreign security reality is underway, which, first of all, provides for its institutional improvement” (Government Report, 12.09.14).

“考虑到该地区目前面临的挑战，格鲁吉亚情报局正在根据外国安全现实进行调整的过程正在进行之中，首先，它为其制度改进提供了条件。”（2014年9月12日政府工作报告）

ექსპრესიულობის გამომხატველი ჩართულები ოფიციალურ ტექსტებში მეტისმეტად შეზღუდულია და, ფაქტობრივად, არ დასტურდება.

წინადადების ამა თუ იმ წევრის შესახებ დამატებით ინფორმაციას იძლევა აზრობრივად და ინტონაციურად გამოყოფილი განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფი (განკერძოებულ სიტყვებთან ერთად). ეს განკერძოებული გამოთქმები – დანართები ხშირად გამოიყენება ოფიციალურ ტექსტებში: წინადადების ამა თუ იმ წევრს ან მთლიან წინადადებას გამომსახველობით ეფექტს უძლიერებს. საქმიან საბუთებში განკერძოება შეიძლება მიემართებოდეს წინადადების ნებისმიერ წევრს: როგორც მთავარ, ასევე მეორეხარისხოვან წევრებს. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დამაზუსტებელი წევრი, ცნებითი თვალსაზრისით, უფრო ფართოა დასაზუსტებელ წევრთან შედარებით და შესაძლებელია, რომ დამაზუსტებელ წევრს უძლოდეს ან მოსდევდეს თავისი დამაზუსტებელიც. ხანდახან განმმარტებელი სიტყვა ჩართულია წინადადებაში (და ხშირად ჩასმულია ფრჩხილებში) შენიშვნისა თუ ახსნა-განმარტების მიზნით (ლომია 2016). განვიხილავთ სხვადასხვა მაგალითს:

„პრეზიდენტი ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს – კონსტიტუციურ ორგანოს, ნიშნავს მის მდივანს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

“The President heads the National Security Council of Georgia – a constitutional body, and appoints its Secretary” (President's speech, 21.02.14).

“总理领导格鲁吉亚国家安全委员会 ——这是一个宪法机构，并任命其秘书。”（2014年2月21日总理讲话）

„ერთ-ერთი მთავარი ადამიანური ფასეულობის – თავისუფლების – სრულფასოვნად განსახორციელებლად საკმარისი არაა ადამიანები დაცულნი იყვნენ პოლიტიკური ზეწოლისაგან“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

“For full implementation of one of the key human values – freedom – it is not sufficient that people are protected from political pressure” (President's speech, 21.02.14.).

“为了充分实现人类的一个重要价值观——自由，因为人们不受政治压力的保护是不够的。”（2014年2月21日总理讲话）

ერთმანეთის გვერდიგვერდ მოქმედებს სამეტყველო ფორმულთა განახლების ტენდენცია და ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ენის გამომსახველობითი საშალებები. ენის ბუნება და ლექსიკურ-გრამატიკული პოლივალენტურობა ზღუდავს ცოცხალ ენათა სტანდარტიზაციას. ამ შეზღუდვათა ძლიერი ტენდენციის მიუხედავად, ენები საკმაო რაოდენობის მზა სამეტყველო ფორმულებით გამოირჩევიან, რომელთაც აღსანიშნავად ენათმეცნიერებაში შემდეგი სინონიმური ტერმინები გამოიყენება: მყარი გამონათქვამები, კლიშე, შტამპი, შაბლონი, ტრაფარეტი (კვარაცხელია 1990: 132). ამ სამეტყველო სტერეოტიპებს სტანდარტიზაციის შინაგანი მოთხოვნა წარმოქმნის ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ენაში. ამგვარი სამეტყველო სტერეოტიპები კომუნიკაციის პროცესს აადვილებენ. რაციონალური და მშრალი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაწყვეტად სიტყვიერი ფორმულა (ოფიციალური ენის სემანტიკური და სტრუქტურული ტევადობის გათვალისწინებით, რომელსაც ამგვარი ფორმულები განპირობებენ) დიდ ადგილს იკავებს.

ამგვარი ფორმულები უფრო ზუსტად და ობიექტურად ახერხებენ დამოკიდებულებათა გამოხატვას, მოვლენათა განსჯასა და ახსნას, მოვლენებსა და ინფორმაციაზე ოპერატიულად რეაგირებას, აადვილებენ ურთიერთგაგებისა და პროფესიული კომუნიკაციის პროცესს, ზოგავენ დროსა და ენერგიას სააზროვნო ამოცანის შესასრულებლად (არაბული 2004: 251). მაგრამ რეგულარული გამოყენება ამკრთალებს მათ ემოციურ-ექსპრესიულ შეფერილობას და ასეთი გამონათქვამები ერთგვარი სავალდებულო ფორმულების სახეს იღებენ. ასეთი სტერეოტიპები მაღალი სიხშირით გვხვდება საქმიან საბუთებში. ოფიციალურ საბუთებს შემდეგი სტანდარტული გამონათქვამები ახასიათებს: „მიღებულ იქნეს ცნობად“, „ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“, „ცნობა ეძლევა მასზედ, რომ“ და ა. შ. ხშირად გამოიყენება ისეთი სტანდარტული განკერძოებული გამოთქმები, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავისებური და ოფიციალური სტილისტიკური ეფექტი: საზოგადოდ, ამგვარად, ამდენად, არა მხოლოდ, კერძოდ, ძირითადად, ე. ი., ე. წ., როგორც ვხედავთ, როგორც ცნობილია, ამასთან, შესაძლებელია, თავის მხრივ და ა. შ. სავალდებულო ფორმულების სახე აქვთ შემდეგი სიტყვათშეთანხმებები და

ფიგურალური გამოთქმები: საქმის კურსშია, გავლენის ქვეშ მოექცა, მოკლე ვადებში, ხაზგასმით აღინიშნა, წვლილი შეიტანა, მიიღო ზომები, ზეგავლენას ახდენს, ყურადღება გაამახვილა, სახეზეა, ახორციელებს ჩანაფიქრს, შედეგს მიაღწიეს, მჭიდრო კავშირი, გულწრფელი თანაგრძნობა, ნათელი დადასტურება, წარმოებს მოლაპარაკება, ზიანი მიადგა, პრობლემის გადაწყვეტა, პოზიციის დაფიქსირება, სიახლეთა დანერგვა, აღებული ვალდებულება, დასახული ამოცანა, ადგილი აქვს, ხელს უწყობს და ა. შ. ოფიციალური ენა მეტყველების სხვა ტიპებისაგან ამგვარი გამოთქმებით განსხვავდება, მაგრამ ხშირად ამგვარი ფორმები (ადგილი აქვს – რუს. имеет место; საქმე იმაშია, რომ – რუს. дело в том, что; თვალყურის დევნება რამეზე – რუს. наблюдать за чем то; სახეზეა – რუს. налицо და სხვ.) უცხოენოვანი კალკები არაბუნებრივი სტრუქტურული ერთეულებია. მათი გამოყენებით ენა ღარიბდება და სალიტერატურო ენის სიწმინდესა და ბუნებრიობის დაცვას დამატებითი პრობლემა ექმნება (არაბული 2004: 252).

ზემოგანხილულის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ოფიციალურ-საქმიანი ენის სინტაქსი ემყარება საერთო ენობრივ წესებსა და პრინციპებს, მაგრამ მისი სტილის მახასიათებლებისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, ხშირად ტექსტის აგებით, სტრუქტურირებით და სხვადასხვა წესით გამოირჩევა დანარჩენი სტილებისგან;

2. ოფიციალურ-საქმიან საბუთებში მაღალი სიხშირით გამოირჩევა რთული წინადადებები არართულ წინადადებებთან შედარებით. იშვიათად გამოიყენება შერწყმული წინადადებები და რთულ წინადადებათა ქვეწყობა სამჯერ მეტია თანწყობაზე. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ჭარბობს ერთზე მეტდამოკიდებულებიანი სინტაქსური კონსტრუქციები ერთდამოკიდებულებიან ქვეწყობილ კონსტრუქციებს. ზერთული სინტაქსური კონსტრუქციებით ხასიათდება საკანონმდებლო და ნორმატიული სამართლებრივი აქტები, ანგარიშები, მოხსენებები და სამოქმედო გეგმები. ასეთი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებისას ხშირად შეუძლებელია ტექსტიდან ზუსტი შინაარსის გამოტანა და, ფაქტობრივად, ორაზროვნება და სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევებს ხშირად ვხვდებით. ჭარბსიტყვაობის ფაქტორი ნიშანდობლივია. უკავშირო რთული წინადადებებიც მაღალი სიხშირით გხვდება საქმიან საბუთებში;

3. სტილისტიკური ზეაწეულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა ოფიციალურ საბუთებში მუდმივად გამოყენებული ზოგიერთი სინტაქსური ფიგურა და საქცევი. ეს ფიგურები ხასიათდებიან ერთგვაროვნებისა და გამეორების პროცესით;

4. მრავალფეროვნებით ხასიათდება ოფიციალურ-საქმიან საბუთებში გამოყენებული განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. წინადადების ან მის რომელიმე წევრს სინტაქსურად არ უკავშირდება მიმართვა, ჩართული, დანართი, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვანი ფუნქცია და აზუსტებენ არსებულ ვითარებას, ხაზს უსვამენ წინადადებით გამოხატულ მნიშვნელობას, ამახვილებენ ყურადღებას საგანგებო სიტუაციაზე და აგრეთვე გადმოსცემს კომუნიკატორის შეფასებასა და დამოკიდებულებას წინადადებით გამოხატულ შინაარსთან. ამრიგად, ამგვარი ტექსტების კონტექსტი უჩვენებს დადებით ან უარყოფით შეფასებას.

ზემოთ მოცემულმა თარგმანმა კიდევ ერთხელ ცხადი გახადა სამართლის სფეროს სირთულე, მისი კომპლექსურობა და დაგვანახა, რომ იურიდიული ტერმინების თარგმნის პროცესი საკმაოდ შრომატევად პროცესს წარმოადგენს და დიდ კომპეტენციას, წინდახედულობას და სიფრთხილეს მოითხოვს.

ჩვენი კვლევა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამი ენის მაგალითზე იყო (ქართული, ინლისური და ჩინური). როდესაც რამდენიმე ენის ტერმინოლოგიას ადარებ, ეს საქმეს ცოტა უფრო ართულებს იმ გაგებით, რომ შეიძლება ამან უფრო რთულად წარმოაჩინოს ეს სფერო და ზოგადად იურიდიული ტერმინების თარგმნის თავისებურებები. მართალია, სფერო ერთია სამივე ენისათვის, თუმცა რამაც შეიძლება პრობლემა წარმოშვას, ის არის, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი სამართლებრივი სისტემა აქვს და თარგმნის პროცესს შეიძლება ენების განსხვავებულმა წყობამაც შეუშალოს ხელი, ეს იქნება სინტაქსური, გრამატიკული თუ მორფოლოგიური თვალსაზრისით.

ჩვენს კვლევაში ცხადად გამოჩნდა და გამოიკვეთა ის ძირეული და მნიშვნელოვანი საკითხები და დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის გამართულ თარგმანს. საკითხები რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თარგმანის და განსაკუთრებით იურიდიული ტერმინების თარგმნის განხორციელების დროს; ესენია: უპიველეს ყოვლისა, თვითონ სფერო, ჩვენს შემთხვევაში სამართლის სფერო; შემდეგ უკვე სფეროს სპეციალიზებული ენა ანუ იურიდიული ენა; ტერმინები, რომელთა თარგმნაც დიდ სიფრთხილეს და კომპეტეტურობას მოითხოვს; საკმაოდ რთული თემაა სიტყვის პოლისემიურობა და ეკვივალენტების საკითხი; დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნებას და კონტექსტს.

დაბრკოლებები, რომლებიც იწვევს თარგმნის დამახინჯებას, ესენია: მშობლიური ენის გამართულად არცოდნა; სათარგმნელი სფეროს უცოდინარობა ზოგადი განათლების ნაკლებობა; ჩვენს შეთანხმებაში იურიდიული ენის არცოდნა; პოლისემიისა და ეკვივალენტების იგნორირება და მისთ.

იმისათვის, რომ იურიდიული ენის და ტერმინების თარგმნა მოვახერხოთ კარგად და ჩვენმა ნათარგმნმა დაიმსახუროს ნდობა, მოწონება და ის იყოს ერთნაირად ნათელი ყველა დაინტერესებული პირისათვის, აუცილებელია მთარგმნელი კარგად უნდა იყოს

მომზადებული. მას შეიძლება წაეყენოს შემდეგი მოთხოვნები: მას უნდა გააჩნდეს კარგი ინტელექტუალური დონე, მას მოეთხოვება მშობლიური ენის საკმარის დონეზე ცოდნა; სათარგმნი სფეროს ცოდნა... მშობლიური თუ სათარგმნი ენის გრამატიკის ცოდნა და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს ლექსიკონის საჭიროება. ის წარმოადგენს მთარგმნელის მარჯვენა ხელს. ლექსიკონები უნდა იყოს მისი სამაგიდო წიგნები და განსაკუთრებით თარგმნის დროს აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს უკვე ნაცნობი სიტყვებისა და ტერმინების გადასამოწმებლად. დღეს, ამ მხრივ, პრობლემა ნამდვილად არ არსებობს.

თუმცა კარგი თარგმანის ინსტრუმენტად მაინც მიიჩნევა არა ლექსიკონი, არა მთარგმნელი, არამედ ლოგიკა. ლოგიკური მიდგომით შესაძლებელია სწორად თარგმნა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლექსიკონი გვერდით უნდა გადავდოთ.

იურიდიული ტექსტის თარგმნისას საჭიროა უაღრესად დიდი ოსტატობა. მთარგმნელი საკმაოდ კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო სამართალმცოდნეობაში, არამედ ეკონომიკაში, ისტორიაში და ბევრს სხვა მეცნიერებაში. პროფესიონალი მთარგმნელი ადვილად პოულობს შესატყვის სიტყვებს და პროფესიონალურად იყენებს საჭირო ტერმინებს, მან ასევე დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ანალოგიური სიტყვების აზრობრივ გამოყენებას მშობლიურ ენაში, სხვაგვარად ტექსტის სტანდარტიზებული აზრი დაკარგული იქნება.

დასკვნა

ბოლოსკენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ეპოქაში უკვე იმდენად გამარტივებულია ყველაფერი, ისეთი საშუალებები არსებობს, რაც აადვილებს ნებისმიერი ხელობის მაღალ დონეზე განხორციელებას და მათ შორის მთარგმნელისაც. მიუხედავად ენის თავისებურებებისა და ტერმინების სირთულისა, დღეს სწორად თარგმნა არ წარმოადგენს პრობლემას მაშინ, როდესაც ასე განვითარებულია ტექნოლოგიები, იბეჭდება იურიდიული ტერმინების ძალიან ბევრი ლექსიკონი და იბეჭდება ბევრი ლიტერატურა თარგმნის პრაქტიკასთან დაკავშირებით, იხსნება სპეციალური დაწესებულებები, სადაც მომავალ მთარგმნელებს შეუძლიათ ხელობის დახვეწა და განვითარება. მთავარია, ვინც თარგმნის, მას ჰქონდეს საჭირო კომპეტენცია, უნარი და ლოგიკა სათარგმნელად.

თავი VI

მოდალობა- ქართული, ინგლისური და ჩინური სამართლებრივი დოკუმენტების თარგმნისას

§ 6.1. მოდალობა ინგლისურ, ქართულ და ჩინურ ენებში და მისი გამოხატვის საშუალებები

§ 6.1.1. ზოგადი შესავალი

ინგლისურ ენაში განსხვავდება მოდალობის გამოხატვის შემდეგი ძირითადი საშუალებები: ლექსიკურ-გრამატიკული მოდალური ზმნები, ლექსიკურ – მოდალური სიტყვები, გრამატიკული – კილოს კატეგორია. მოქმედების სინამდვილესთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გვაქვს: რეალური მოდალობა, მოქმედება აღიქმება როგორც რეალური, ნამდვილი ფაქტი -ეს თხრობითი კილოს ფორმებით გამოიხატება; ირეალური მოდალობა, მოქმედება როდესაც აღიქმება არარეალური ფაქტი კავშირებითი კილოს ფორმებითა და მოდალური ზმნებით ან მოდალური სიტყვები გამოიხატება; მოდალობის კატეგორია გვხვდება აგრეთვე ბრძანებითი კილოს სხვადასხვა ფორმებში, ეს ფორმები გამოხატავენ ბრძანებას ან თხოვნას (ჯორბენამე2005:268).

§ 6.2. მოდალური ზმნები

მოდალურ ზმნებს ძირითადად ეკისრებათ მოდალური შინაარსის გამოხატვა. მოდალური ზმნების საერთო სურათი ინგლისურში საკმაოდ მოუწესრიგებელია. არსებობს ასეთი მოსაზრება, ეს კვლევას მრავალ სირთულეს უქმნის. მოდალური ზმნები თავიანთი შინაარსით გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ მოქმედებისადმი დამოკიდებულებას – ვარაუდს, ეჭვს, შესაძლებლობას, აუცილებლობას... მოდალური ზმნები ქმნიან დეფექტური ზმნების პატარა ჯგუფს, ისინი დამოუკიდებლად არ იხმარებიან. წინადადებაში მოდალური ზმნები გვევლინებიან ინფინიტივთან კავშირში და ინფინიტივთან კავშირში ქმნიან

შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასმენელს, აქ ინფინიტივი მოქმედებას გამოხატავს, რომლის შესრულება შესაძლებელია, აუცილებელია სავარაუდო მოსაუბრის თვალსაზრისი (მამაცაშვილი 1989:43). თანამედროვე ინგლისურში გამოიყოფა მოდალური ზმნების დაყოფა ქვევით მოცემულ ჯგუფებად: ცენტრალური მოდალური ზმნები – can /could/, may /might/, must, will /shall, should /would; მარგინალური მოდალური ზმნები – dare, need, ought to, used to; ნახევარ-მოდალები – have to, be about to, be able to, be going to, be supposed to და ა.შ.; მოდალური იდიომები – had better, would rather /sooner, be to, have got to...; კატენატივები – appear to, happen to, seem to (ჯორბენაძე 2005: 268).

შინაარსის მხრივ მოდალური ზმნებს ყოფენ სამ ჯგუფად, მათი საშუალებით გამოხატულია: შესაძლებლობა, უნარი, ნების დართვა; აუცილებლობა, ვალდებულება; ნებასურვილი, ვარაუდი ნდომა. მოდალური ზმნების უმეტესობა პოლისემიურია: კონტექსტის მიხედვით თითოეულს აქვს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა, მათ აერთიანებს მოდალობის კატეგორია. მოდალური ზმნის შემცველი კონსტრუქცია (მამაცაშვილი 1989:45).

§ 6.3. მოდალური სიტყვები

მოდალურს სიტყვებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გადმოცემულ ფაქტსა და რეალობას შორის. მეტყველების უცვლელი ნაწილებია მოდალური სიტყვები. მოდალური სიტყვები დგანან განყენებულად და სინტაქსურად ასრულებენ ჩართულის ფუნქციას. მოდალური სიტყვები სემანტიკურად დაყოფილია სამ ჯგუფად, გამოხატავენ: დარწმუნებულობას certainly „უდავოდ“, of course „რასაკვირველია“, sure „რა თქმა უნდა“, no doubt „ეჭვგარეშეა“, really „ნამდვილად“, indeed „მართლაც“...; სურვილს desirability – luckily, fortunately „საბედნიეროდ“, happily „საბედნიეროდ“, unfortunately „სამწუხაროდ“...; ვარაუდს supposition – perhaps „ალბათ“, maybe „შესაძლოა“, probably „როგორც ჩანს“, obviously „ამკარად“... მოდალობის ზოგადი კატეგორიის კონკრეტულ-ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით განსხვავებული სურათი გვაქვს ქართულში. მოდალობის გამომხატველად გვევლინება: კილოს კატეგორია, მოდალური ზმნები და ნაწილაკები, ინფინიტიური

კონსტრუქცია (მამაცაშვილი1989:47).

§ 6.4. კილო

კილოს კატეგორია ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა ქართულ ენაში. იგი გარკვეულ პრობლემებს აჩენს. ეს განსაკუთრებით ეხება ირიბ, ირეალურ კილოებს. უნდა ავღნიშნოთ, რომ ძველ ქართულთან შედარებით თანამედროვე ქართულში ირიბ, ირეალურ კილოთა რაოდენობა შემცირებულია და შესაბამისად ფართოვდება თხრობითი კილოს ფორმების არათხრობითი შინაარსით გამოყენების სფერო (მამისთვალისძვილი1989:265). ირეალური და რეალური კილოების დამთხვევის გამოხატულება ქართულში დადასტურებულია, ქართულში კავშირებითის ფუნქციას თხრობითი კილოს ფორმა იძენს, როგორც ეს II თურმეობითის შემთხვევაში მოხდა. ნიშანდობლივია ასევე, კავშირებითი კილოს კატეგორიულობის საკითხი: მორფოლოგიურ კატეგორიად კილოს განხილვის ტრადიციის (შანიძე1976:56; ჩიქობავა1937:45) საპირისპიროდ გამოთქმულია ვარაუდი, თუ კილო რამდენად არის ფორმალური გამოხატვის მხრივ მორფოლოგიური კატეგორია (არაბული1984:65) და ა.შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კილო ერთ-ერთი რთული კატეგორიაა, კილოს გამოხატვაში ჩართულია როგორც ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული, და ისე ინტონაციური... საშუალებები (პაპიძე1989:262).

ქართულში გვაქვს ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი, დამოკიდებულების თვალსაზრისით სამი კილო: პირდაპირი, რეალური – თხრობითი და ირიბი, ირეალური – კავშირებითი და ბრძანებითი. მოდალობის თვალსაზრისით ირიბ კილოებზე, განსაკუთრებით, კავშირებით კილოზე სწორედ მოდის ძირითადი დატვირთვა (ჯორბენაძე2005:69).

§ 6.5.1. კავშირებითი კილო

კავშირებითი კილო ირეალურ მოქმედებას გამოხატავს და გვიჩვენებს მას როგორც სავარაუდოს, შესაძლებელს, სასურველს და ა.შ. შესაბამისი შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია გრამატიკული, ლექსიკური საშუალებები, ინტონაცია. კავშირებითი კილოს ფორმები გამოიყენება დამოუკიდებლად, ასევე, უმრავლეს შემთხვევაში კავშირებთან, მოდალურ ზმნებსა და ნაწილაკებთან ერთად მოდალური შინაარსის გადმოსაცემად. კონტექსტის როლი აღსანიშნავია, მოდალური შინაარსის გადმოცემისას. ქართულ ენაში გარკვეული მოდალური სიტყვებისა და ნაწილაკების მეშვეობით, კავშირებითის შინაარსის გამოსახატავად თხრობითი კილო გამოიყენება (შანიძე1984:70).

§ 6.5.2 .ბრძანებითი კილო

ბრძანებითი კილოს შინაარსი შეიძლება გამოიხატოს ბრძანების, თხოვნის, ხვეწნის ან წაქეზების ფორმით. ბრძანებითს მორფოლოგიური გამოხატულება არა აქვს თანამედროვე ქართულ ენაში: ბრძანებითი კილო იყენებს თხრობითის ფორმებს, მაგრამ ინტონაციით განსხვავდება მათგან.

§ 6.6. მოდალური ზმნები და ნაწილაკები

ქართულ ენაში მოდალური ზმნები და ნაწილაკები მოდალობის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა: ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ლამის, უნდა/გინდა და სხვა. ზოგიერთი მოდალური ზმნა და ნაწილაკი მხოლოდ მოდალური შინაარსით გვევლინება (ეგებ/ეგება, ლამის), სხვებს ვიყენებთ როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე ზმნური ფუნქციით (ბ. ჯორბენაძე1984:89). ქართულ ენაში მოდალურ ფორმათა ფუნქციური ცვლილება იწყება XV საუკუნიდან. სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურებამ და ამ ზმნათა სემანტიკამ გამოიწვია აღნიშნულ ფორმათა მიერ ნელნელა ზმნური ნიშნების

დაკარგვა. მოდალური მახასიათებლებით თავიდანვე ეს ზმნები გამოირჩეოდნენ და გადმოსცემდნენ ზმნურ შინაარს სხვა ზმნურ ფორმებთან ერთად. ზემოთ ხსენებული მოდალური ზმნები შესაბამის შინაარსს გადმოსცემენ, კავშირებითი კილოს ფორმებთან ერთად, ასევესე დამოუკიდებლად – თხრობითი კილოს ფორმებთან (ჯორბენაძე2006:324).

§ 6.7. ინფინიტივის შემცვლელი კონსტრუქცია

წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოდალური შინაარსის გადმოცემა. ამ ფუნქციით გამოიყენება ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქცია თანამედროვე ქართულ ენაში, რომელიც შედგება მოდალური ნაწილაკებისაგან ან მოდალური შინაარსის ზმნებისა და სახელზმნისა ან კავშირებითის ფორმებისაგან. ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის კავშირებითის ფორმაზე, ნაწილაკები ან მოდალური ზმნები მოდალურ ელფერს სძენენ კონსტრუქციას (ჯორბენაძე2006:327).

§ 6.8. მოდალური ზმნა CAN ინგლისურ ენაში და ქართულ ენაში მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები

CAN მოდალური ზმნის საშუალებით ინგლისურ ენაში ძირითადად გამოხატულია: ფიზიკური ან მენტალური შესაძლებლობა, უნარი. CAN-ის პარაფრაზად ამ მნიშვნელობით შესაძლოა შეგვხვდეს: TO BE ABLE TO, TO BE CAPABLE TO, KNOW HOW TO; ის შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია ობიექტურ მომენტზე. განსხვავებულ კონტექსტში ეს მნიშვნელობები ბევრ სემანტიკურ ნიუანსს იძენს, როგორც არის თხოვნა/ნების დართვა (ამ მნიშვნელობით CAN ძირითადად გვევლინება სასაუბრო მეტყველებაში); აკრძალვა; თავაზიანი თხოვნა; საყვედური; ეჭვი/დაურწმუნებლობა/ვარაუდი. CAN მოდალური ზმნა გვხვდება შემდეგ კონსტრუქციებში: CAN + SIMPLE INFINITIVE და CAN + PERFECT INFINITIVE. ქართულ ენაში კავშირებით კილოს, მოდალურ ზმნებს, მოდალურ ნაწილაკებს ძირითადად ეკისრება გრამატიკული კონსტრუქციებისა და მათთან დაკავშირებული მოდალური ნიუანსების

გამოხატვა. CAN + SIMPLE INFINITIVE-ის ფორმები „შეძლება“ ზმნის შემცველი ინფინიტიური კონსტრუქციით აწყო დროის მნიშვნელობით ქართულ ენაში, ჩვეულებრივ, გადმოცემულია: “Let us dinner and over dinner we will put our heads together and see what can be done”. – „კეთილი, კეთილი, – თქვა პუარომ. მოდით ვისადილოთ და საუზმის შემდეგ ერთად მოვიფიქროთ და ვნახოთ რისი გაკეთება შეიძლება“. თხრობითი კილოს ფორმების გამოყენებაც შესაძლებელია: “I can hear you sighing through the telephone. Is anything the matter?” – „ტელეფონში მესმის, რომ ოხრავ. რამე ხომ არ მომხდარა?“ ამ და სხვა შემთხვევაში სავსებით ბუნებრივი ჩანს თხრობითი ფორმის გამოყენება, რამდენადაც ობიექტური წყობის ზმნა „მესმის“ თავისი სემანტიკით გულისხმობს, რომ მოლაპარაკეს (სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორების პირობებში) შეუძლია მოსმენა, თუ რა ხდება მეორე მხარეს. ქართულ ენაში მომავალი დროის ფორმათა გადმოსაცემად გამოყენებულია ისევ „შეძლება“ ზმნის შემცველი ინფინიტიური კონსტრუქცია ან მყოფადის ფორმები: “I’ve a good classmate there, I can borrow from – he had declared”. – „მე იქ ერთი კარგი ჯგუფელი მყავს, ვისგანაც შემიძლია ფული ვისესხო, – განაცხადა მან.“ ინგლისურში წარსულის მნიშვნელობითაც გამოყენებულია განხილული კონსტრუქცია. სათანადო შინაარსის გამოსახატავად ასეთ შემთხვევებში გამოიყენებოდეს ქართულ ენაში შეიძლება წარსული წყვეტილის ფორმები: “Now I can see, why, he cannot read he feels your negative attitude.“ – „ახლა კი მივხვდი, რატომ არ კითხულობს, შენს არაკეთილგანწყობას გრძნობს“. ქართულ ენაში უარყოფითი შინაარსის მოდალობის გადმოსაცემად, როგორც წესი, ვიყენებთ თხრობითი კილოს მწკრივებს და „არ“, „ვერ“, „ნუ“ უარყოფითი ნაწილაკებს, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლების მოდალურ შინაარს გამოხატავენ:

“I can’t think why. It’s Nick’s birthday and I can’t believe he is so particularly anxious for our company” – „არ მესმის რატომ? წვეულება ხომ ნიკასთვის იმართება, მას კი მაინცდამაინც ჩვენი კომპანია რაში უნდა ეპიტნავებოდეს?“ “Why you want to get into such stades about everything. I can’t think” – „ვერ გამიგია, ყველაფერში რატომ ერევი?“ (ბერსენაძე:2002,8).

CAN + PERFECT INFINITIVE-ის ფორმებს ქართულ ენაში ძირითადად ინფინიტიური კონსტრუქცია შეესაბამება. შეძლება + II თურმეობითი: “I’m beginning to believe that is what happened – that, It’s only thing that can have happened”... – «თანდათან ვრწმუნდები, რომ ასეც

იყო. სხვა არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო“. ზოგჯერ მოდალური ნაწილაკი „უნდა“, „შეძლებას“ ინფინიტიურ კონსტრუქციაში ენაცვლება რომელსაც კატეგორიული აუცილებლობის სემანტიკა რამდენადმე შესუსტებული აქვს: How can it have been done? – „მაგრამ, როგორ უნდა მომხდარიყო მკვლელობა?“. ქართულ ენაში CAN წარსული დროის ფორმად გვევლინება COULD მოდალური ზმნა, მაგრამ სხვა დროებშიც რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით იგი ხშირად გამოიყენება. გრამატიკულად COULD-ის შემცველი კონსტრუქციები გამოხატულია COULD + SIMPLE INFINITIVE და COULD + PERFECT INFINITIVE-ის ფორმებით. COULD + SIMPLE INFINITIVE აღნიშნავს როგორც წარსულ, ისე ახლანდელ და მომავალ დროებს. COULD-ის ძირითადი მნიშვნელობაა მოქმედების შესაძლებლობის გამოხატვა წარსულში. ქართულში ამ ფორმის შესაბამის კონტექსტში შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა მწკრივი: II თურმეობითი, აწმყო, წყვეტილი, წარსული უწყვეტელი, ხოლმეობითი, II კავშირებითი, მყოფადი. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ფართო კონტექსტი, რომელსაც მოდალური საშუალებების გარეშე შეუძლია შესაბამისი მოდალური შინაარსის გადმოცემა (მამაცაშვილი1989:49). .

§ 6.8.1 II თურმეობითი

ყველაზე ხშირი სწორედ COULD + SIMPLE INFINITIVE-ის მნიშვნელობით გამოიყენება ეს ფორმა. მას კავშირებითის შინაარსიც აქვს სალიტერატურო ენაში (ა. შანიძე 1976:97). გვხვდება ზმნის უპირო, ისე პირიან ფორმებთან როგორც „შეძლება“: “They were ran by a man who could make noises” – „მათ თან მოსდევდათ კაცი, რომელსაც შეეძლო სხვადასხვა ბგერა გამოეცა“ (ბერსენაძე:2002; 9).

§ 6.8.2. წარსული წყვეტილი

წარსული წყვეტილი COULD + SIMPLE INFINITIVE-ის შესატყვისები, ხშირად, უარყოფით კონსტრუქციებში გვხვდება, უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“ გამოიყენება მათთან. წარსული წყვეტილი, როდესაც დაკავშირებულია მოქმედების შეძლების გამოხატვასთან, იგი თვითონ COULD-ის მოდალურ მნიშვნელობას ითავსებს და ამიტომ ძირითადი ზმნისთვის კავშირებითი ფორმის საჭიროება იხსნება: “I followed her, but search as we could find no trace of any living soul having passed that way”. – „მეც გავყევი, მაგრამ როგორადაც არ ვეცადეთ, კვალიც კი ვერ ვიპოვე, იმ სულიერისა იქ რომ ჩაიარა“. “But had he been so fond of Anna, that her death could effect him so powerfully?” – „ნუთუ იმდენად უყვარდა ანა, რომ მისმა სიკვდილმა ასე იმოქმედა მასზე“. ქართულ ენაში წყვეტილის ფორმების გამოყენება შესაძლებელია ისეთ შემთხვევებშიც, როცა მოდალური ზმნა მიემართება საგანთა მთელ კლასს და მოდალობის გამოხატვა აუცილებელი არ არის: “Into this she could put all her ability, all her ambition. – „აქ პოვა ასპარეზი მისმა მიდრეკილებებმა. ძალა ერჩოდა“ (ბერსენაძე 2002:7).

§ 6.8.3. ნამყო უწყვეტელი

ამ თხრობითი მოდალობის მწკრივის გამოყენება COULD + SIMPLE INFINITIVE-ის შინაარსის შესაბამისად ქართულში თვით უწყვეტელის სემანტიკასთან ჩანს დაკავშირებული. წარსული უწყვეტელი გამოხატავს გაგრძელებულ, უწყვეტ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვეულ მოქმედებას, რითაც ხშირად შესაფერისი სიტუაციების გამოხატვისას ირიბი მოდალობის აღნიშვნის საჭიროება იხსნება: “EVERY DIFFICULTY COULD ALWAYS BE SMOOTHEN OUT BY MR.DAVID CAPABLE FINGERS”. – „ბატონი დავითის გამოცდილი ხელები ყოველგვარ სირთულეს ადვილად სძლევენ“. ხანდახან წარსული უწყვეტლის, როგორც უსრულასპექტიანი ფორმის, გამოყენება განპირობებულია მოქმედებათა თანადროულობის აღნიშვნის საჭიროებით: “Anna said: “Than’s why I asked you secong if you could trust me. You’d have to my reasons on trust” – „ამიტომ გკითხე მეორედ, გჯეროდა თუ არა ჩემი, – უთხრა ანამ. შენ უნდა მენდო“.

§ 6.8.4. ხოლმეობითი

ქართულ ენაში COULD + SIMPLE INFINITIVE-ის შესატყვისად ხოლმეობითის მწკრივის გამოყენება მოხერხებული ჩანს ინგლისურ წინადადებათა პირობითი შინაარსის გადმოსაცემად. რამდენადაც ხოლმეობითი პირობითის შინაარსსაც ითავსებს (ა. შანიძე, ა. პაპიძე 1989:260):

§ 6.8.5. აწმყო

ახლანდელ დროში COULD გადმოსცემს ვარაუდს, ეჭვს, დაურწმუნებლობას, შესაძლებლობას, თხოვნას: “It could be false. But even if it is, it’s not the real reason”. – «შეიძლება მცდარიცაა, მაგრამ ასეც რომ იყოს, მთავარი მიზეზი ეს არ არის“.

§ 6.8.5. II კავშირებითი

COULD + SIMPLE INFINITIVE აღნიშნავს თავაზიან თხოვნას, ვარაუდს, შესაძლებლობას, ვალდებულებას: “I could suggest a reason”. – „შემიძლია ვივარაუდო მიზეზი“.

§ 6.8.6. მომავალი

მომავლის მნიშვნელობით COULD ქართულ ენაში მყოფადი მწკრივით გადმოიცემა. გადმოიცემა დარწმუნებულობა, შეუძლებლობა, ვარაუდი, ალბათობა: “I shall keep a little – said Nick so that if ever wanted to, I could be grand and walk out and leave you” – „ცოტას მაინც დავიტოვებ ჩემთვის, – უპასუხა ნიკამ. იმ შემთხვევისათვის, თუ ოდესმე წასვლას მოვისურვებ“.

§ 6.9. ინგლისური მოდალური ზმნა may და ქართულ ენაში მისი გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები

მოქმედების შესაძლებლობა MAY მოდალური ზმნის საშუალებით გამოიხატება, ასევე, დამოკიდებულება ობიექტურ ფაქტორებზე, შანსი, ნების დართვა, ფაქტის შესაძლებლობა, აკრძალვა. ამ მნიშვნელობით MAY იშვიათია, უფრო ხშირად გამოიყენება CAN'T, DON'T, MUSTN'T. MAY + SIMPLE INFINITIVE-ის შესაბამისად ქართულ ენაში ჩვეულებრივია II კავშირებითის ფორმები, რომელთაც თან ერთვის „იქნებ“, „შეიძლება“, „უნდა“. მოდალური ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ შესაძლებლობას, ვარაუდს, დაეჭვებას: “YOU MAY THINK ME A FOOLISH, CREDULOUS WOMAN, BUT MONSIEUR POIROT, I AM AFRAID” – „იქნებ ბრიყვად და გულუბრყვილოდ მიმიჩნიოდ, მაგრამ ბატონი პუარო, მე მაინც მეშინია“ (ვარიანტი) „შეიძლება უგუნურ, უმეცარ ქალად მიმიჩნიოთ, მაგრამ ბ-ნო პუარო, მეშინია“. წარსული დროის აღსანიშნავად გამოყენებულია II თურმეობითის ფორმები: “He knew young Bleibner, too, remember and may have suspected. Something or again the doctor may have thought that a further death motiveless and would strengthen the coils of superstition”. – „ისიც იცნობდა ახალგაზრდა ბლეიბნერს და შესაძლოა ეჭვობდა კიდევ რაღაცას ან იქნებ, ისევ დოქტორი ფიქრობდა, რომ კიდევ ერთი, უმოტივო და უმიზნო სიკვდილი გააძლიერებდა ცრურწმენის გორგალს“. ამავე შინაარსის გადმოსაცემად ქართულში გამოყენებულია თხრობითი კილოს ფორმებიც. მოდალობის შინაარსს ამ შემთხვევაში გადმოსცემენ მხოლოდ მოდალური ნაწილაკები. სათანადო კონტექსტში შეიძლება შეგვხვდეს აწმყოს ფორმაც, მოდალური ნაწილაკების გარეშე: “You may be correct in thinking Mrs. Brown wrote this letter. but there is

nothing to indicate that, it was written to me” – „თქვენ მართალი ხართ, როგორც ჩანს როდესაც ვარაუდობთ, რომ ეს წერილი ქ-ნი ბრაუნის დაწერილია, მაგრამ აქ არავითარი მითითება არ გვაქვს, რომ იგი ჩემდამია მომართული“. MAY + PERFECT INFINITIVE-ის შინაარსის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს წყვეტილის მწკრივის ფორმა + „შეძლება“. სემანტიკური მნიშვნელობა – ვარაუდი/შესაძლებლობა/ალბათობა: “She may have cried out’ or gasped – but nobody heard anything”. – „შეიძლება მან შეჰყვირა კიდეც, მაგრამ არავის არაფერი გაუგონია“. იგივე მნიშვნელობით შესაძლებელის შეგვხვდეს აწმყოს კავშირებითი. სემანტიკური მნიშვნელობა იგივე რჩება: “Well, yes. At heart I did. Of course I may have been wrong”. – „ყოველ შემთხვევაში, მეგონა რომ ვხვდებოდი. ცხადია, შეიძლება ვცდებოდე კიდეც“. თხოვნის/ნების აღების მნიშვნელობით კითხვით ფორმებში MAY-ს შესატყვისი ქართულში ჩვეულებრივია „ნების აღება“ + II კავშირებითის ფორმები (ბერსენაძე2002:9).

“May I just mention how appreciative we are. Mr. Brown, that you are-er-coming back to us?”. – „ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ ბატონო ბრაუნ, იმის გამო, რომ... ჰმ... კვლავ პატივი დაგვდეთ“. MAY მოდალური ზმნის შესატყვისად ქართულში შეიძლება შეგვხვდეს „დაე“ + II კავშირებითი ფორმა. სემანტიკური მნიშვნელობა – ნატვრა, სურვილი, ნება: “Ana Brown, may her shadow never grow less” – „ანა ბრაუნ, დაე, არასდროს არაფერმა ჩრდილი არ მიაყენოს შენ სიცოცხლეს“. MAY მოდალური ზმნის წარსული დროის ფორმა MIGHT გხვდება როგორც SIMPLE INFINITIVE-ის, ისე PERFECT INFINITIVE-ის ფორმებთან. MIGHT თანამედროვე ინგლისურში ხშირად იხმარება აწმყოს მნიშვნელობითაც და ნელ-ნელა დამოუკიდებელი ზმნის სტატუსს იღებს. MAY-MIGHT დროის განსხვავებას იძლევა უპირატესად მაშინ, როდესაც აღნიშნავს შესაძლებლობას, ნების დართვას არაპირდაპირ მეტყველებაში: “She asked me if I might lend her my book” – „მან მკითხა, თუ შემეძლო წიგნი მეთხოვებინა მისთვის“. სხვა შემთხვევებში MIGHT გამოხატავს: ახლანდელ ან მომავალ შესაძლებლობას, ძლიერ ეჭვს, ვარაუდს, საყვედურს, დიდ ტაქტს, თავაზიანი თხოვნის დროს, ნების დართვას. MIGHT + SIMPLE INFINITIVE მომავლის მნიშვნელობით ქართულში გამოიხატება II კავშირებითის ფორმებითაც: “Miss Brown, might I have a word with you before I go? On a strictly business matter?” – „მის ბრაუნ, სანამ დაგემშვიდობებოდეთ შემიძლია თუ არა რამდენიმე სიტყვით გაგესაუბროთ საიდუმლო საქმეზე?“

§ 6.10. ინგლისურსა და ქართულ ენაში ვალდებულება/აუცილებლობის გამოხატვის გრამატიკულ-სემანტიკური საშუალებები

მოდალური ზმნები MUST, HAVE TO, TO BE TO, OUGHT TO, NEED გამოხატავენ ვალდებულება / აუცილებლობის შინაარსს ინგლისურ ენაში: მოდალური ზმნა MUST-ის ძირითადი მნიშვნელობებია: ვალდებულება, აუცილებლობა, იძულება, ბრძანება, ემფატიკური რჩევა, აკრძალვა, გაძლიერება, მოწვევა; რაღაცის ლოგიკური ახსნა, ვარაუდი, დარწმუნებულობა. MUST-ის ფორმალურად შემცველი კონსტრუქცია შეიძლება იყოს: MUST + SIMPLE INFINITIVE და MUST + PERFECT INFINITIVE. MUST+SIMPLE INFINITIVE-ის ფორმას შეუძლია გამოხატოს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი და წარსული დროები. როდესაც MUST + SIMPLE INFINITIVE გამოხატავს მომავლის მნიშვნელობას, ქართულ ენაში შესაბამისად გამოყენებულია მოდალური ნაწილაკი უნდა + II კავშირებითის ფორმები (ზოგჯერ ლექსიკური საშუალებებიც): “I can not come with you now, Ana. Rita and I must settle things” – „მე ვერ წამოვალ შენთან ერთად, ნარიტას უნდა მოველაპარაკო ყველაფერზე“. ბრძანება/თხოვნა/მოთხოვნა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სემანტიკური მნიშვნელობებია. ნიუანსები კარგად ჩანს ზეპირ მეტყველებაში, სადაც ამის დადგენა ინტონაციის საშუალებით შეიძლება. მათი ზუსტი გამიჯვნა წერილობით ტექსტებში უმეტეს შემთხვევაში ფართო კონტექსტის საშუალებით ხდება შესაძლებელი. ქართულ ენაში მომავლის მნიშვნელობით მყოფადის მწკრივის ფორმითაც გვაქვს ვარაუდის, ლოგიკური დასკვნის, ალბათობის სემანტიკით: “Because, if it was not Nick Brown, it must be Anna Brown” – „ხოლო, თუკი ნიკი ბრაუნი არ აღმოჩნდა, მაშინ ანა ბრაუნი იქნება“ (კითხვით-პირობითი კონტექსტია). ქართული „უნდა“ + II თურმეობითის ფორმები წარსულის მნიშვნელობით შინაარსს გადმოსცემს. მოდალური შინაარსი შეიძლება გადმოიცეს უნდა ნაწილაკის გარეშეც. ძირითადი მნიშვნელობაა ვალდებულება/აუცილებლობა: “No, one must guess, no one must know, what he was felling-except Anna herself”. – „არავის უნდა სცოდნოდა, არავინ უნდა მიმხვდარიყო, თუ რას გრძნობდა იგი, თვით ანას გარდა“. ქართულ ენაში აწმყოს მნიშვნელობით გადმოცემულია აწმყოს მწკრივით. კილო თხრობითია, თუმცა მასთან ხშირად გვხვდება „ალბათ“, „ნეტავ“, „იქნება“ და ა. შ. აწმყოს მწკრივის ფორმებს

მოდალურ მნიშვნელობას აძლევენ მოდალური სიტყვები და ნაწილაკები. მოცემული ფორმებით გამოიხატება – ვარაუდი/ექვი/ალბათობა, იძულება/ადიარება, აუცილებლობა: “and I must say that Miss Ana was really very sympathetic for once and offered to do everything she could – to take the burden off my shoulders”. – „ვადიარებ, ქ-ნი ანა ძალიან კეთილად მოიქცა, ყველაფრის მოგვარება თვითონ იკისრა და ამით უზარმაზარი ტვირთი შემიმსუბუქა“.

უარყოფითი ფორმა MUST NOT ინგლისურ ენაში გამოხატავს აკრძალვას, ლოგიკური დასკვნას, დიდ დარწმუნებულობას. ასეთი მნიშვნელობები ქართულ ენაში გადმოცემულია უარყოფითი ნაწილაკებით – „არ“, „ვერ“, „ნუ“.

მოდალური ზმნა MUST + PERFECT INFINITIVE შემდეგ მნიშვნელობებს გამოხატავს: აუცილებლობას წარსულში, დარწმუნებულობას, ლოგიკური დასკვნით მიღწეულ დარწმუნებულობას. შესაბამისად აღნიშნული შინაარსისათვის ქართულ ენაში გამოყენებულია „უნდა“ + II თურმეობითი: “whoever killed must have had a reason” – „უცნობ მკვლელს რაიმე მიზეზი უნდა ჰქონოდა“.

“MUST + PERFECT INFINITIVE-ის შინაარსი გამოხატულია წყვეტილის ფორმითაც, რომელთანაც მოდალური სიტყვები „ალბათ“, „იქნებ“ „თითქოს“ გადმოსცემენ ვარაუდს /ექვს /ალბათობას: “And his aunt, I know, insists that he must carelessly have mentioned having them in his possession”. – „დეიდამისმა დაიჟინა, რომ თითქოს მან ნართაულად გადაუკრა, ობლიგაციები ჩემთან არისო“. ეს შინაარსი აწმყოს კავშირებითისა და უწყვეტლის ფორმებითაც გადმოიცემა. უწყვეტლის ფორმით გადმოიცემა ნატვრაც: “It must have been nice when there were gold sovereigns”. – „რა კარგი იქნებოდა ოქროს სოვერენი რომ მიეცა“.

მოდალურ ზმნას MUST აქვს თავისი ეკვივალენტები: TO HAVE TO, TO BE TO. OUGHT TO მხოლოდ აწმყო დროის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ შეუძლია გამოხატოს წარსული და მომავალი დროებიც. გვხვდება, როგორც SIMPLE INFINITIVE-თან, ასევე PERFECT INFINITIVE-თან.

OUGHT TO + SIMPLE INFINITIVE გამოხატავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება ვერ შესრულდეს, მორალურ ვალს; შერბილებულ ბრძანებას, ტაქტიან რჩევას. უარყოფითი OUGHT NOT TO გამოხატავს შერბილებულ აკრძალვას; უარყოფით რჩევას; აუცილებლობის შინაგან უარყოფას. OUGHT TO + SIMPLE INFINITIVE-ის შესატყვისად ქართულში გვაქვს

უნდა + II კავშირებითი (ზოგჯერ მხოლოდ კავშირებითის ფორმა ნაწილაკ უნდა-ს გარეშე). ქართულში OUGHT TO-ს მომავალი მნიშვნელობით გამოყენებისას მყოფადის მწკრივი ვლინდება: “You ought to see Iris Marlo, all the same”. – „აირის მარლოსთან შეხვედრა მაინც მოგიწევთ“. აღნიშნული ფორმები გამოხატავს, აგრეთვე, გაკვირვებას, საყვედურს, ტაქტიან რჩევას, თავაზიან თხოვნას (ირონიული ელფერით). OUGHT TO + SIMPLE INFINITIVE-ის წარსული მნიშვნელობით ქართულში გადმოსცემს „უნდა“ + II თურმეობითი ან მხოლოდ II თურმეობითის ფორმა: სემანტიკური მნიშვნელობით: კითხვა / ვარაუდი / ეჭვი / შემფოთება / ტაქტიანი რჩევა / თხოვნა.

ინგლისურში OUGHT NOT TO მომავალი მნიშვნელობით მყოფადის მწკრივით გადმოიცემა. სემანტიკური მნიშვნელობა: ვარაუდი, აუცილებლობის შინაგანი უარყოფა (INTERNAL NEGATION OF NECESSITY) OUGHT TO + PERFECT INFINITIVE ქართულში გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივით.

ინგლისურში კიდევ ერთი ზმნა, რომელიც „ვალდებულების“ ჯგუფს განეკუთვნება, არის NEED, იგი გამოიყენება როგორც სრულმნიშვნელოვანი ზმნა: “SHE NEEDS YOUR HELP? DOES SHE NEED YOUR HELP? SHE DOESN’T NEED YOUR HELP? DOESN’T SHE NEED YOUR HELP?” და როგორც კატენატიური ზმნა: “HE NEEDS TO GO NOW”. მოდალური NEED – ძირითადად გამოიყენება კითხვით და უარყოფით ფორმებში. NEEDN’T + SIMPLE INFINITIVE გამოხატავს აუცილებლობისა და ვალდებულების არარსებობას: “At least he need not think again”. – „მას გადაწყვეტილი ჰქონდა აღარ ეფიქრა ამაზე“. NEEDN’T + SIMPLE INFINITIVE-ს მომავლის მნიშვნელობით ქართულში შეესატყვისება „უნდა“ + II კავშირებითი“. „ჩვენ არ უნდა წავიდეთ!“ WE MUST NOT GO! NEED და MUST – ჩანაცვლებადი ზმნებიაა, თუმცა განსხვავებული სემანტიკური ნიუანსით: THEY MUSTN’T GO – „ისინი არ უნდა წავიდეთ“. (კატეგორიული ვალდებულება) SHE NEEDN’T GO – „ის არ უნდა წავიდეს“ (ამის გაკეთების საჭიროება არ არის).

შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ზოგად დასკვნებში ნაშრომში გრამატიკული და სემანტიკური ეკვივალენტობის დონეზე მოცემულია მოდალურ შინაარსთა შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობები ინგლისური და ქართული ენებისათვის, ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა ენასთან შედარებით თარგმანის ენა მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით მეტი შეზღუდულობით ხასიათდება.

§ 6.11. ჩინური მოდალური ზმნების თარგმნა

მოდალური ზმნები “想 XIǎNG სურვილი, დაპირება, ნდომა, 要 YÀO ხაზს უსვამს გადაწყვეტილებას („უნდა“), 会 HUÌ, აღნიშნავს, „ფლობას“, „ცოდნას“. 能, NÉNG შეძლება 可以 KĒYǐ აქვთ შესაძლებლობის მნიშვნელობა, 应该 YĪNGGĀI გამოხატავს რაღაცის კეთების აუცილებლობას ეთიკის ან ლოგიკის წესების გამო, და ა.შ. გამოხატავს რაიმე მოქმედების შესრულების უნარს, შესაძლებლობას, აუცილებლობას ან სურვილს. წინადადებაში მოდალური ზმნა ყოველთვის შეეწყობა სხვა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნებს და წარმოქმნის მათთან ერთად შემასმენელს.

უარყოფითი ფორმა მოდალური ზმნისა იწარმოება ზმნიზედა 不 BÙ-ს გამოყენებით. ალტერნატიული კითხვის მტკიცებით-უარყოფითი ფორმა იწარმოება მოდალური ზმნის გამეორებით მტკიცებით და უარყოფით ფორმაში.

ჩინურ ენაში ზოგიერთი ზმნა გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვად (ანუ ძირითად ზმნად), ისე მოდალურ ზმნადაც. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რამდენიმე მოდალური ზმნის მნიშვნელობა (ჯიბლაძე 2015: 383).

1. ზმნები 要 YÀO ხაზს უსვამს გადაწყვეტილებას („უნდა“) და 想 XIǎNG სურვილი, დაპირება, ნდომა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ზმნები, ისე მოდალური ზმნები. მოდალური ზმნის როლში ისინი გამოხატავენ სურვილს ან აუცილებლობას, მაგრამ 要 YÀO ხაზს უსვამს გადაწყვეტილებას („უნდა“) 想 XIǎNG კი სურვილს, დაპირებას („მინდა“). მოდალური ზმნის 要 YÀO-ს უარყოფითი ფორმა არის 不想 BÙXIǎNG ისევე, როგორც მოდალური ზმნის 想 XIǎNG . მაგალითად:

1) 朋友，我要买那本书。 Péngyǒu, wǒ yāomǎi nà běn shū. „მეგობარო, მე მინდა ვიყიდო ის წიგნი“.

朋友，我想买本字典，你们这儿有吗？ Péngyǒu, wǒ xiǎng mǎi běnzi diǎn, nǐmen zhè'er yǒu ma? „მეგობარო, მე მინდა ვიყიდო ლექსიკონი, გააქვთ?“

2) 星期天你想进城吗？ Xīngqítīān nǐ xiǎng jìn chéng ma? „გინდა, კვირას წავიდეთ ქალაქში?“

我不想去，我要回家 Wǒ bùxiǎng qù, wǒ yào huí jiā. „მე არ მინდა ქალაქში წასვლა, მე მინდა (უნდა) დავბრუნდე სახლში“.

2. ზმნა 会HUÌ შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ძირითადი, ისე მოდალური ზმნის როლში, როგორც მოდალური ზმნა იგი აღნიშნავს „ფლობას“, „ცოდნას“. მაგალითად:

你会不会游泳 Nǐ huì bù huì yóuyǒng? „შენ იცი ცურვა?“

她不会说英语 Tā bù huì shuō yīngyǔ. „ის არ ლაპარაკობს ინგლისურად“ („არ ფლობს ინგლისურ ენას“).

这个练习不会做，请你帮助我 Zhège liànxí bù huì zuò, qǐng nǐ bāngzhù wǒ. „მე არ ვიცი როგორ დავწერო ეს სავარჯიშო. გთხოვ, დამეხმარე“.

3. 能 NÉNG და 可以 KĒYǐ გამოიყენება როგორც მოდალური ზმნები და აქვთ შესაძლებლობის მნიშვნელობა. მაგალითად:

他现在能看中文杂志 Tā xiànzài néng kàn zhōng wén zázhì. „მას ახლა შეუძლია ჩინურ ენაზე ჟურნალების კითხვა“.

每星期你能学几课 Měi xīngqī nǐ néng xué jǐ kè? „კვირაში რამდენი გაკვეთილის შესწავლა შეგიძლია?“

我可以翻译这本书 Wǒ kěyǐ fānyì zhè běn shū. „მე შემიძლია, ვთარგმნო ეს წიგნი“.

მოდალური ზმნები 能 NÉNG 可以 KĒYǐ ასევე გამოხატავს მოქმედების შესრულების შესაძლებლობას ან შეუძლებლობას (გარემოებიდან გამომდინარე).

你们今天能不能去 Nǐmen jīntiān néng bùnéng qù? „დღეს თქვენ შეგიძლიათ, რომ წახვიდეთ?“

可以进来吗 Kěyǐ jìnlái ma? „შეიძლება, შემოვიდე?“

阅览室不能吸烟 Yuèlǎn shì bùnéng xīyān. „სამკითხველო დარბაზში არ შეიძლება მოწევა“. ზემოხსენებული ზმნების 能 NÉNG-სა და 可以 KĒYǐ-ის უარყოფითი ფორმა არის 不能 BUNÉNG. ზმნა 可以 KĒYǐ -ს მოეპოვება სხვა მნიშვნელობებიც. ერთ-ერთი მათგანია „რამე

ქმედებისთვის ნების დართვა“. ამ შემთხვევაში უარყოფითი ფორმა იქნება 不可以 BÙ KĒYĪ.

4. მოდალური ზმნა 应该 YĪNGGĀI გამოხატავს რაღაცის კეთების აუცილებლობას ეთიკის ან ლოგიკის წესების გამო, მაგალითად:

5. მოდალური ზმნა 应该 YĪNGGĀI“ გამოხატავს რაღაცის კეთების აუცილებლობას ეთიკის ან ლოგიკის წესების გამო. მაგალითად:

你们学得不错，应该去中国 Nǐmen xué dé bùcuò, yīnggāi qù zhōngguó., თქვენ კარგად სწავლობთ, უნდა წახვიდეთ ჩინეთში“.

你们学习汉语，应该会听，会说，会写 Nǐmen xuéxí hànyǔ, yīnggāi huì tīng, huì xiě., თქვენ სწავლობთ ჩინურ ენას და უნდა შეგეძლოსთ ლაპარაკი, გაგება და წერა“.

მოდალურ ზმნებს არ აქვთ დროის ფორმები, ისინი არ ორმაგდებიან და მათ შემდეგ არ გამოიყენება დამხმარე სიტყვები (ჯიბლაძე 2015: 385).

მოდალობის მიხედვით წინადადებათა ტიპები საინტერესოა, ამგვარად წინადადებაში გამოთქმული აზრის მიზანი სხვადასხვაგვარია. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები ინფორმაციას გადმოგვცემს, გარემომცველი სინამდვილიდან ცნობას ან ნება-სურვილს გამოხატავს, დავალებას, რომლის შესრულებასაც ადრესატისაგან მოითხოვს. მოდალურ წინადადებაში ჩანს მთქმელის დამოკიდებულება და თქმულის შინაარსისადმი მიზანდასახულობა. საქმიან საბუთებში მოდალობის მიხედვით თხრობითი და ბრძანებითი წინადადებებია ძირითადად მიღებული. ნათქვამის მიმართება სინამდვილესთან, მოდალობა სხვადასხვა სახით გადმოიცემა. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თხრობითი ტიპის ტექსტები ყოველთვის გამოხატავს უტყუარობას, უეჭველობას, დადასტურებას. თქმულის შინაარსში მთავარია, სინამდვილის თვალსაზრისით, რომ მთქმელმა აზრი გადმოსცეს როგორც ნამდვილი, უტყუარი ფაქტი. საქმიანი დოკუმენტების საბუთებში ამ ტიპის წინადადებები მთავარია. სამართლებრივ აქტებში ასევე მეორე პირისადმი მიმართული მთქმელის გადაწყვეტილება ძირითადია, იმოქმედოს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მსგავსი წინადადებები სინამდვილის რაიმე ფაქტს კი არ გადმოგვცემს, არამედ ბრძანებას, რომელიც უნდა შეასრულოს მისამართმა პირმა. ამ დანიშნულების გათვალისწინებით წინადადებები სწორედ უნდა აიგოს ოფიციალურ-საქმიან-სამართლებრივ ტექსტებში. თქმულის შინაარსისადმი, ამდენად, წინადადებაში

ჩანს მთქმელის დამოკიდებულება და მიზანდასახულობა. საქმიან სამართლებრივ დოკუმენტებში ძირითადად თხრობითი და ბრძანებითი წინადადებებია მიღებული მოდალობის მიხედვით. მოდალობა ანუ ნათქვამის მიმართება სინამდვილესთან სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა. სამართლებრივი და ოფიციალური დოკუმენტების თხრობითი ტიპის ტექსტები ყოველთვის გამოხატავს, უტყუარობას, უეჭველობას, რისამე დადასტურებას. თქმულის შინაარსში სინამდვილის თვალსაზრისით, მთავარია ის, რომ მთქმელმა აზრი გადმოსცეს.

§ 6.12. მოდალობის სისტემის კვლევა ჩინური, ინგლისური და ქართულ ენების იურიდიულ თარგმანში სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის (SFG) პერსპექტივიდან

იურიდიული დისკურსის სპეციფიკური ჟანრი მოიცავს გამოთქმების უჩვეულო ფორმების გამოყენებას, სიტყვების შერჩევასა და წინადადებების შედგენას. სისტემურ-ფუნქციურ გრამატიკაში (SFG) მოდალობის სისტემის და სამართლებრივი ლინგვისტიკის სამართლებრივი ენის თეორიის საფუძველზე, მოცემული კვლევა დაიგეგმა ჩინური იურიდიული მთავარი დისკურსების ინგლისურად თარგმანში მოდალობის სისტემის შეფასებისა და თარგმანთან დაკავშირებული პრობლემების განხილვის მიზნით. ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით ჩინური იურიდიული დოკუმენტების დახმარებით დადგინდა, რომ ჩინური სამართლებრივი დისკურსების მოდალობის სისტემის ინგლისურ თარგმანში სამი აშკარად განსხვავებული თვისება არსებობს. ამ თვისებებით ვლინდება, რომ ჩინური იურიდიული დისკურსების თარგმანში გამოიყენება ენის მრავალფეროვნება, კანონმდებლობის სიზუსტისა და უფლებამოსილების ხარჯზე. ასევე წარმოდგენილია რამდენიმე ტაქტიკის და შემოთავაზების განხილვა, ჩინური იურიდიული დისკურსების მოდალობის სისტემის ჩინურიდან ინგლისურ ენაზე თარგმანთან დაკავშირებით.

ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალობის სისტემის ინგლისური თარგმანის რა წესები და ფუნქციები არსებობს? ახდენენ თუ არა თარჯიმნები ჩინური იურიდიული

დისკურსების კომუნიკაციური ფუნქციების ფუნქციურად და ადეკვატურად გადმოცემას, კანონის სიზუსტის და უფლებამოსილების დაცვის გზით? არსებობს თუ არა რაიმე სახის დეფიციტი ჩინური იურიდიული დისკურსებში მოდალური ოპერატორების ინგლისურ თარგმანებში? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მოცემულ კვლევაში ხდება ჩინურ იურიდიულ დისკურსებში გამოყენებული მოდალური ოპერატორების ინგლისურ თარგმანზე კონცენტრირება; ასევე მასში გამოკვლეულია თარგმნის უჩვეულო თვისებები და შემოთავაზებები ჩინეთში იურიდიული თარგმანის ხელშეწყობის მიზნით.

§ 6.13. ჩინური იურიდიული ენის თარგმნის კვლევის მიმოხილვა

იურიდიული ენა, იურიდიული ჟანრი უფლებამოსილი და დამავალდებულებელი ძალით, განსხვავდება ზოგადი ენისგან (დუ 2004: 1). როგორც სამართლებრივი ენის ძირითადი ნაწილი, იურიდიული ენა წარმოადგენს წერილობით გაფორმებულ იურიდიულ დოკუმენტს, რისი მიზანიც არის ნაციონალური უფლებებისა და ნების ასახვა ენის გამოყენებით. საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ზრდასთან ერთად, ჩინური კანონის და რეგულაციების თარგმანი ჩინური უცხოური ვაჭრობისა და გაცვლის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სამართლებრივი თარგმნის პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებული კვლევები ადგილობრივი მეცნიერების ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს (ჭანგი2004:22) ისევე, როგორც იურიდიული ენის სტილისტური ფუნქციები და მათი თარგმნის სტრატეგიები (ჰუანგი2002:12), იურიდიული თარგმნის განხილვა კონკრეტული ლექსიკონებისა და იურიდიული ტერმინების პერსპექტივიდან (სიაო2001:14). იურიდიულ დისკურსებში მოდალობის სისტემის თარგმნის მკვლევრები ხარისხობრივი კვლევებიდან (ლი2007) კორპუსზე დაფუძნებულ რაოდენობრივ კვლევებზე (კაო2010:10) გადავიდნენ. ეს მკვლევრები სამართლებრივი თარგმნის პრაქტიკის შესახებ მდიდარ ინფორმაციას იძლევიან.

ამ კვლევების უმრავლესობა რაოდენობითი კვლევებით შემოიფარგლება, რასაც აკლია დამაჯერებელი მონაცემების მხარდაჭერა. რამდენიმე კვლევა მხოლოდ ძირითად მოდალურ ზმნებს იხილავს. ამასთან, შედარებით ნაკლები კვლევა არსებობს სხვა მოდალურ ოპერატორებთან დაკავშირებით, როგორც არის მოდალური პირობითი ზმნები, მოდალური ზედსართავი სახელები და სხვა. ამ მიზეზით მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია კორპუსზე დაფუძნებული რაოდენობრივი კვლევა მოდალურ ოპერატორებში ჩინური იურიდიული დისკურსების ინგლისურ თარგმანში, სისტემური ფუნქციური გრამატიკის თეორიის საფუძველზე. ავტორი ცდილობს აღმოაჩინოს თარგმნის პრობლემები და მათი მოგვარების გზები. მოცემულ კვლევაში პარალელური ორენოვანი ტექსტები ჩინური იურიდიული დოკუმენტების პარალელური კორპუსიდან (შემდგომში PCLLD) არის ამოღებული, რომელიც შაოქინგის უნივერსიტეტის უცხო ენების სკოლის

მიერ არის შედგენილი. ორენოვანი ტექსტი მოიცავს 235 იურიდიულ ტექსტს და მათი თარგმნის ვერსიებს, მათ შორის 1427777 ჩინურ იეროგლიფს და 1067798 ინგლისურ სიტყვას (სუნი2009:11).

§ 6.14. მოდალობის სისტემის თეორია

სისტემურ-ფუნქციურ ლინგვისტიკაში ენა მიჩნეულია მნიშვნელობის პოტენციურ სისტემად სამი მეტაფუნქციით: იდეოლოგიური ფუნქცია, ინტერპერსონალური ფუნქცია და ტექსტური ფუნქცია. მათ შორის ენის ინტერპერსონალური ფუნქცია მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის ენის გამოყენებას, მათთან ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების, მათ ქცევაზე ზემოქმედების ან მსოფლიოში არსებულ ნივთებზე ჩვენი აზრის გამოთქმის მიზნით. ენის ინტერპერსონალური ფუნქცია ხორციელდება განწყობის სისტემით, მოდალობის სისტემით და შეფასების სისტემით. როგორც ინტერპერსონალური ფუნქციის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მოდალობის სისტემა არა მხოლოდ მოლაპარაკის აზრს და მსჯელობებს გადმოსცემს, არამედ ასევე ასახავს წინადადების ვალიდურობის მოსაუბრისეულ შეფასებასაც. „მოდლობა ეხება იმ მნიშვნელობის სფეროს, რომელიც დიახ და არა პასუხს შორის(ჰელიდეი2008:18). ძვეს – შუალედური საფუძველი დადებით და უარყოფით პოლუსებს შორის“. სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის თეორიულ სტრუქტურაში მოდალობის სისტემა მოიცავს მოდალურ ოპერატორებს, წინადადების თავისუფალ მოდალურ წევრებსა და ინტერპერსონალურ მეტაფორებს. ამასთან, იურიდიულ დისკურსებში წინადადების თავისუფალი მოდალური წევრები და ინტერპერსონალური მეტაფორები იმდენად დაბალი სიხშირით გამოიყენება, რომ ისინი შესაძლოა გამოვრიცხოთ ანალიზიდან. შესაბამისად, ეს კვლევა ეხება მოდალური ოპერატორების თარგმნას (მათ შორის მოდალური ზმნებისა და მოდალური ზედსართავის პრედიკატული ზედსართავი ჩათვლით) ჩინურ იურიდიულ დისკურსებში. მოდალობის სისტემაში წინადადებების მართებულობის შეფასების სამი მაჩვენებელი არსებობს – კონკრეტულად მაღალი, საშუალო და დაბალი მოდალური მაჩვენებელი. მოდალური ოპერატორები გამოიყენება წინადადებების ალბათობის, ან წინადადებების ვალდებულების

სხვადასხვა ხარისხის გამოსახატავად. მაგალითად, მაღალი მნიშვნელობის მქონე მოდალური ოპერატორი „უნდა“ მაღალ ვალდებულებას ატარებს, საშუალო ხარისხს ვალდებულების თავლსაზრისით. მოდალური ოპერატორი will დან shall (*მომავალი დროის გამოსახატავი დამხმარე ზმნები*) გულისხმობს საშუალო ვალდებულებას და დაბალი მნიშვნელობის მოდალური ოპერატორი „შეძლება“, „შესაძლოა“ (can, may) ვალდებულების დაბალ ხარისხს გულისხმობენ.

მოდალობის სისტემა შესაძლოა დამატებით მოდალიზაციად და მოდულაციად დაიყოს. მოდალობის გამოყენებისას წინადადებების ალბათობის ან სიხშირის წარმოსაჩენად საქმე გვაქვს მოდალიზაციასთან. თუ მოდალობა გამოიყენება წინადადებების ვალდებულების ან მიდრეკილების წარმოსაჩენად – ხვდება მოდულაციას. იურიდიული პროცესი რწმენას, ღირებულებებსა და მორალურ სტანდარტებს ზოგად წესებად და რეგულაციებად აქცევს, რომლებსაც იურიდიული სისტემა აძლევს ძალას. იურიდიულ დისკურსებში მოდალობის სისტემის შეფასების მთავარ მიზანს წარმოადგენს „ადამიანის პასუხისმგებლობის კვლევა მომავალ ქმედებებზე იურიდიულ წინადადებებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში“ (ში2008:56). კონტექსტურ სიტუაციაში იურიდიული დისკურსების ფუნქციას წარმოადგენს დირექტივების გაცემა და ვალდებულებების დაკისრება. ამ მიზეზით იურიდიულ დისკურსებში მოდალობის სისტემის კვლევა ორიენტირებულია მოდულაციაზე მოდალურ ოპერატორებში. დადგენისა და აკრძალვის დადებითი და ნეგატიური პოლუსების, ასევე შუალედურ საფუძველზე ვალდებულების და გადახრების სხვადასხვა ხარისხის გამო მოდალობის სისტემა კლასიფიცირდება სხვადასხვა მოდალური ამოცანის მიხედვით. კვლევაში ინგლისურ და ჩინურ მოდალურ ოპერატორებს შორის განსხვავება ეფუძნება ინგლისური მოდალური ოპერატორების ჰალიდეისა და მათიესენისეულ (ჭანგი2008:116) კლასიფიკაციას და ჩინური მოდალური ოპერატორების პენგ სუანვეისეულ კლასიფიკაციებს.

**§ 6.15. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალობის გამომხატველი
საშუალებების ინგლისური და ქართული თარგმანი: მახასიათებლები და
პრობლემები**

**§ 6.15.1. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალური ოპერატორების
ინგლისური თარგმნის ზოგადი მახასიათებლები**

მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია PLLCD-დან მიღებული სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ჩინური და ინგლისური მოდალური ოპერატორები. მიღებულ იქნა კლებადი თანმიმდევრობით წარმოდგენილი მონაცემები (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1.

PLLCD-ში ჩინური და ინგლისური მოდალური ოპერატორის სიხშირის გადანაწილება

ჩინური მოდალური ოპერატორი	სიხშირე	პროცენტულობა	ინგლისური მოდალური ოპერატორი	სიხშირე	პროცენტუ ლობა
应当(yīngdāng)	6104	44%	Shall (უნდა, მომავალი დრო)	15181	63%
可以(kěyǐ)	2812	20.20%	May (შესაძლოა)	3764	16%
不得(bùdé)	1713	12.30%	Must (უნდა)	1188	5%
必须(bìxū)	1420	10.20%	shall not (არ, მომავალი დრო)	1014	4.2%
需要(xūyào)	722	5.20%	Should (უნდა, მომავალი დრო)	997	4.20%
禁止(jìnzhǐ)	422	3%	may not (არ შეიძლება)	453	1.9%
不能(bùnéng)	332	2.40%	be required (მოთხოვნილია)	361	1.60%
可能(kěnéng)	260	1.90%	Can (შეძლება)	304	1.30%
能够(nénggòu)	72	0.50%	be allowed (ნებადართულია)	216	0.90%

严禁(yánjìn)	24	0.17%	Need (საჭიროა)	151	0.67%
务必(wùbì)	4	0.03%	be forbidden (აკრძალულია)	119	0.50%
应该(yīnggāi)	3	0.02%	must not (არ უნდა)	83	0.35%
			Might (შესაძლოა, წარსული დრო)	28	0.01%
			Could (შესაძლოა, წარსული დრო)	21	0.08%
			will not (არ, მომავალი დრო)	21	0.08%
			Ought (უნდა)	19	0.08%
			need not (საჭირო არ არის)	11	0.04%
სულ	13888			23931	

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, დიდი სხვაობა არსებობს ჩინური მოდალური ოპერატორებისა და ინგლისური მოდალური ოპერატორის გამოყენებას შორის. ჩინურ იურიდიულ დისკურსებში ინგლისური მოდალური ოპერატორების ინგლისური თარგმანის ზოგადი მახასიათებლები არის შემდეგი:

პირველი – ჩინურ იურიდიულ დისკურსებში მოდალური ოპერატორების დიდი უმრავლესობა მაღალი მნიშვნელობის მოდალური ზმნებია, როგორც არის 应当(yīngdāng, უნდა), 不得(bùdé „აკრძალული“) და 必须(bìxū „უნდა“), ხოლო ინგლისურ თარგმანში მთარგმნელები უმეტესად იყენებენ საშუალო და დაბალი მნიშვნელობის მოდალურ ზმნებს, როგორც არის shall, may და should და რომლითაც ცდილობენ სტანდარტიზაციას შედარებით ზომიერი ინტონაციით და არა იძულებითი ფორმით. ამასთან, ამ გზით შესაძლოა თავიდან იქნას აცილებული „კანონების ზედმეტი აბსტრაქცია და უსახურობა“.

მეორე – ჩინური იურიდიული დისკურსის ინგლისურ თარგმანში, მთარგმნელები? ხშირად იყენებენ მიზეზობრივი კონსტრუქციის ვნებით გვარს მოდულაციის სხვადასხვა

ხარისხის წარმოსაჩენად, როგორც არის be required to, be allowed to და be forbidden. ამის მიზეზი ის არის, რომ ვალდებულებები ან სურვილის ქონა შესაძლოა გამოიხატოს „პრედიკატების (შეგრძნებაზე დაფუძნებული სიტყვების) გაფართოების“ გზით(ხუ2005:146). სტრუქტურები არა მხოლოდ მოდულაციას უზრუნველყოფენ სიტუაციური მნიშვნელობებთან სავალდებულო პირობებში, არამედ ასევე აძლიერებენ კანონის აღსრულების ძალას და მის არაკონსულტირების ხარისხს.

მესამე – ჩინურ იურიდიული დისკურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული უარყოფითი მოდალური ზმნა არც ძლიერი ინტონაციით წარმოთქმული 禁止 (jìnzhǐ „აკრძალვა“) არის და არც 严禁 (yánjìn „აკრძალვა“) იმავე ინტონაციით. ეს არის 不得. რაც შეეხება ინგლისურ თარგმანს, ყველაზე ხშირად გამოყენებული ნეგატიური მოდალური ზმნა არის shall not და შემდეგ may not. თუმცა must not ყველაზე ძლიერი ინტონაციით მოდალური ზმნების მხოლოდ 0,35%-ს შეადგენს. შედეგად ვლინდება, რომ თარჯიმნები ცდილობენ „საზოგადოების აზრი პოზიტიური და მოტივირებული და არა ნეგატიური და პასიური ფორმით წარმართონ“ (კაო 2010: 73), რადგან იურიდიულ ენებში 禁止 უნდა ჩაითვალოს ნებართვის გაძლიერებად და არა ნეგატიურ ბრძანებად.

§ 6.15.2. პრობლემური საკითხები მოდალობის გამომხატველი საშუალებების თარგმანში ჩინურ იურიდიულ დისკურსებში

ჩინური მოდალური ოპერატორების თარგმნის ტენდენციების დეტალურად განსახილველად მოცემულ კვლევაში, უპირველეს ყოვლისა, შერჩეულია წარმოშობის მაღალი სიხშირის მქონე პოზიტიური და ნეგატიური ჩინური მოდალური ოპერატორები და შემდეგ წარმოდგენილია ინგლისური შესაბამისობა PLLCD-ში და ბოლოს მოცემულია შესაბამისი კორპუსი. პარალელურ ტექსტებში წარმოდგენილი მოდალური ოპერატორების ანოტაციისა და განლაგების საფუძველზე, მოცემული კვლევაში გამოიყოფა ქვემოთ მოცემული მოდალური ოპერატორები და გაანგარიშდება მათი წარმოშობის სიხშირე პროგრამული უზრუნველყოფის WorldSmith- გამოყენებით. ამ ჩინური მოდალური ოპერატორებისა და მათი ინგლისური თარგმნის შეფასებისას, აღმოჩენილია რამდენიმე პრობლემური საკითხი ამ მოდალური ოპერატორების ინგლისურ თარგმანში:

პირველი – ჩინური იურიდიული დისკურსების ინგლისურ თარგმანში თარჯიმნები ხშირად იყენებენ საშუალო მნიშვნელობის სასრულ მოდალურ ზმნას shall. როგორც ყველაზე ხშირად გამოყენებული მოდალური ზმნა იურიდიულ დისკურსებში shall მესამე პირთან მიმართებაში მოიცავს ბრძანებას, ვალდებულებას, პასუხისმგებლობას, უფლებას, პრივილეგიასა და დაპირებას. №1 ცხრილის შესაბამისად, shall-ის ხმარების სიხშირეა 15181, რაც ყველა მოდალური ზმნის 63%-ს წარმოადგენს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თარჯიმნები უპირატესობას საშუალო მნიშვნელობის მოდალურ ზმნებს ანიჭებენ.

ჩინური მოდალური ზმნების ძიებისა და ამ სიტყვების თარგმნით ტექსტებთან შედარებით დადგინდა, რომ 应当 (yīngdāng, უნდა)-ის 86% ნათარგმნია როგორც shall, 必须 (bìxū „უნდა“-ის 34% და 须-xū must უნდა) 46% ნათარგმნია როგორც shall, ხოლო 不得 (bùdé „აკრძალული“) -ის 45% ნათარგმნია როგორც shall not ან no...shall. shall-ის შესაბამის ჩინურ მოდალურ ზმნებში 必须(bìxū „უნდა“), და 禁止(jìnzhǐ „აკრძალვა“-ის აღსრულების ძალა უფრო ძლიერია, როგორც 必须 მაგალითში (1) და 禁止(yánjìn „აკრძალვა“)მაგალითში (2). 须 xū-ის აღსრულების ძალა, რაც 必须 (bìxū „უნდა“), -ის აბრევირებულ ფორმას წარმოადგენს, მეორე ადგილზე დგას. ხოლო 应当(yīngdāng, უნდა)ან 应yīngმესამე ადგილზე არიან. 可以 (kěyǐ can) შეძლება თითქმის არ გააჩნია აღსრულების ძალა ნებართვის და შერჩევის უფლების გამო, რაც (3) მაგალითშია წარმოდგენილი.

(1) 第二十五条在有线、无线通信中传递国家秘密的, 必须采取保密措施。(保守秘密法c062)

dì èr shí wǔ tiáo zài yǒu xiàn wú xiàn tōng xìn zhōng chuán dì guó jiā mì mì de bì xū cǎi qǔ bǎo mì cuò shī bǎoshōu mì mì fǎ

ინგლისური თარგმანი: Article 25 Transmission of state secrets through wire or wireless communications **shall** be protected by security measures. (Law of Keeping Confidential information c062)

ქართული თარგმანი: მუხლი 25. სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემა საკაბელო ან უკაბელო კომუნიკაციის გზით დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომებით. (კანონი კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის შესახებ c062).

(2) 禁止在荒漠草原、半荒漠草原和沙化地区砍挖灌木、药材及其他固沙植物。未经

jìn zhǐ zài huāng mò cǎo yuán bàn huāng mò cǎo yuán hé shā huà dì qū kǎn wā guān mù yào
cái jí qí tā gù shā zhí wù wèi jīng

县级人民政府批准，不得采集草原上的珍稀野生植物。(草原法c025)

xiàn jí rén mín zhèng fǔ pī zhǔn bù dé cǎi jí cǎo yuán shàng de zhēn xī yě shēng zhí wù cǎo
yuán fǎ

ინგლისური თარგმანი: Cutting or digging shrubs, medicinal herbs or other sand-fixation
plants on desert or semi-desert grasslands or in arid areas **shall** be prohibited. (Grassland Law c025)

ქართული თარგმანი: უნდა აიკრძალოს უდაბნოში, ნახევარუდაბნოში არსებულ
ბალახით დაფარულ მიწებზე ან არიდულ ტერიტორიებზე ბუჩქების, სამედიცინო
მცენარეების ან ქვიშის სამაგრი სხვა მცენარეების დარგვა-დათესვა (კანონი მინდვრების
შესახებ c025)

(3) 第二十二条省、自治区、直辖市的人民代表大会常务委员会可以根据本法

dì èr shí èr tiáo shēng zì zhì qū zhí xiá shì de rén mín dài biǎo dà huì cháng wù wěi yuán huì
kě yǐ gēn jù běn fǎ

制定实施办法。(城市组织法C046)

zhì dìng shí shī bàn fǎ chéng shì zǔ zhī fǎ

ინგლისური თარგმანი: Article 22 Measures for the implementation of this Law **shall** be
formulated, in accordance with this Law, by the standing committees of the people's congresses of
provinces, autonomous regions and municipalities directly under the Central Government. (City
Organization Law C046)

ქართული თარგმანი: მუხლი 22 წინამდებარე კანონის განხორციელების ღონისძიებები
უნდა იყოს ფორმულირებული წინამდებარე კანონის შესაბამისად, პროვინციების
ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ხალხთა კონგრესების, ავტონომიური
რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მუდმივმოქმედი კომიტეტების მიერ (ქალაქის
ორგანიზების კანონი C046).

მაგალითებში (1) და (2) საშუალო ხარისხის მნიშვნელობის მოდალური ზმნა shall
გამოიყენება საჭიროების, ვალდებულების და 必须 ან 禁止 -ის აღსრულების ყველაზე

ძლიერი ძალის წარმოსაჩენად ჩვეულებრივ წინადადებებში. თუმცა ის ასუსტებს კანონის აღსრულების ძალას და არაკონსულტირების ხარისხს. ამ მიზეზით სათარგმნი წინადადების იურიდიული კონტექსტი უნდა შესრულდეს მაღალი მნიშვნელობის მოდალური ზმნით must, რაც ხაზს უსვამს კანონის ავტორიტეტს, ხელისუფლების იმპერატიულობას და კანონმდებლობის უფლებას. ამასთან, ჩინური კანონების და რეგულაციების ინგლისურ ვერსიებში, როგორც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონის ძირითადი კანონის ინგლისური ვერსიები, არსებული კონცეფციით 必须 ითარგმნება, როგორც must. მაგალითში (3), 可以 -ს არ აქვს აღსრულების ძალა სათარგმნი წინადადებაში, რომელიც ხელისუფლებას ანიჭებს თავისუფლებას იმის გადაწყვეტაში, განახორციელოს თუ არა ეს კანონი, ხოლო shall ზედმეტად გაზრდიდა ხელისუფლების ვალდებულების ხარისხს. შესაბამისად, მოდალური ზმნა may შესაბამისია 可以-ის სათარგმნად. კანონებში არსებული კონვენციების და სიტყვათა კომბინაციის გამოყენების მხრივ, საშუალო მნიშვნელობის მოდალური ზმნის shall მთავარი ფუნქციაა ადამიანის იძულება რამის გასაკეთებლად. შესაბამისად, shall გამოყენებულ უნდა იქნეს ჩინური მოდალური ზმნების სათარგმნად აღსრულების უფრო ძლიერი ძალით, როგორც არის: 应当, 须, 不得.

